ვაჟი მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ივნისი **შაბათი** 2011
№ 135 (13432) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ოქროს დიდი ვრიზი

ქართველებმა განძი ნახეს

ჩვენებურებმა 3 ოქრო, 1 ვერცხლი, 6 ბრინჯაო

10

ლაშა გოგიტაძე ფინალში ასპარეზობისას

ლიპარტელიანმა ლიგვა დაზვერა

11

ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

ხვალის პარსკვლავი დღეს ითამაშა

9

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლელო წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

სეზონის აღმოჩენა ირაკლი ქოგალია

ერთი წლის წინ ამას ვერც დავიჯერებდი

2

ნათლი, რა დაგიშავე...

სამშობიაროს პატრონმა რომ გუნდი შექმნას, აუცილებლად „ჭიპლარი“ უნდა დაარეცვას?

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

4

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

საუკეთესო დებიუტანტი: ირაკლი ქობალია (ბაია)

ირაკლი ქობალია "ლელომ" საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად დაასახელა, რადგან საკმაოდ შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა - იანვარში რეგიონული ლიგის სენაკის "ეგრისის" თავდამსხმელი უმაღლესი ლიგის ზუგდიდის "ბაიაში" მიიწვიეს, შემდეგ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, ახლა კი რუსთავის"ოლიმპმა" ევროტურნირისთვის დაიმატა.

დოსიე

დაიბადა 13.03.1992

პარიერა:

მერანი (თბილისი)
ეგრისი (სენაკი)
2011 წლიდან ბაია (ზუგდიდი)
უმაღლეს ლიგაში 17 მატჩი, 7 გოლი

ახალგაზრდული ნაკრების წევრი

ერთი წლის წინ ამას ვერც დავიჯერებდი

ირაკლი ქობალია: მოკლე გზა გართოებიდან ფეხბურთისკენ

- ნახევარ წელიწადში რეგიონული ლიგის კლუბიდან ახალგაზრდულ ნაკრებში და ევროპის ლიგაზე გასულ "ოლიმპში" მოხვედრა პატარა საქმე არ არის. "ლელოს" აღიარებამ არანაკლებ გამახარა. ერთი წლის წინ ასეთი რამ რომ ეთქვათ, ვერ დავიჯერებდი. ეს ჩემთვის დიდი წარმატებაა.

- "ბაიას" მწვრთნელმა ელგუჯა ქომეთიანმა სად შეგნიშნა?

- ეგრისელები ზუგდიდელების ჭაბუკთა გუნდს შევხვდით და მოვეწონე. მაშინ "ეგრისში" საკმაოდ ბევრი მქონდა გატანილი, 20 თუ 22 გოლი. ეტყობა, ამიტომაც დაინტერესდა და "ბაიაში" მიმიწვია. ბატონმა გუჯამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, უმაღლესი ლიგის გუნდში თუ ვითამაშებდი, აღარაფერს ვამბობ ახალგაზრდულში მიწვევაზე. გულახდილად რომ გითხრათ, მანამდე ფეხბურთით ვერთობოდი, დრო გამყავდა.

- რატომ?

- გული ამიცრუვდა და კარიერაზე სერიოზულად აღარც ვფიქრობდი. სხვათა შორის, "ეგრისამდე" ორი წელი არც ვთამაშობდი. არადა, მანამდე ცანკერმა 17-წლამდელებში მიმიწვია, მაგარ ფორმაში ვიყავი. მერე გადავედი თბილისში, ვიყავი "მერანში", 35-ე საფეხბურთო სკოლაში, შემდეგ კი თამაშს თავი დავანებე.

ვარჯიშიც იმიტომ განვაახლე, რომ თამაში მსიამოვნებდა, ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლო იყო და გულის ჭიას ვახარებდი.

- რომელი იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში და მოვლენა?

- ბოლნისის "სიონთან" ზუგდიდში სადებიუტო შეხვედრა, რომელშიც გავიტანე, იგივე მოხდა მეორე და მეოთხე მატჩშებიც. მთავარი კი ის იყო, რომ ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვია. უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, ეს რომ გავიგე.

- რუსთავის "ოლიმპში" ევროსეზონის შემდეგაც რჩები?

- მირჩევნია, სახლთან ახლოს ვიყო და "ბაიაში" ვითამაშო, მაგრამ რუსთავში უკეთესი პირობებია და ალბათ, აქ დავრჩები.

- მართალია, თითქოს საფეხბურთო სკოლის ეტაპი არ გაგივლია?

- სერიოზული სკოლა მართლაც არ გამივლია. ალბათ, იმიტომაც, რომ აფხაზეთიდან დევნილი ვარ. სამი თვის ვიყავი, ომი რომ დაიწყო და ოჯახმა ოჩამჩირიდან სამშვიდობოს გამოაღწია. ასეთ პირობებში ძნელი იყო ფეხბურთისთვის სერიოზულად მოცლა. თუკი რამე ვისწავლე, სენაკის "ეგრისის" მწვრთნელის გურამ ჩიქობავას დამსახურებაა.

- ცოტა დაუჯერებელია, რომ 18 წლის ბიჭს უკვე მეუღლე და შვილი გყოლია.

- ნაადრევად, 16 წლისა დავოჯახდი. სწორედ მაშინ შევეშვი ფეხბურთს, უპერსპექტივო საქმედ მიმაჩნდა. მაგრამ უსაქმოდ ყოფნა არ მიყვარს, სახლში ჯდომას ვერ შევეგუე და გამიმართლა - "ეგრისში" თამაში შემომთავაზეს.

ირაკლი ქობალია (მარცხნივ)

- რეგიონულ ლიგაში გეგულება პერსპექტიული ფეხბურთელები?

- რა თქმა უნდა. მე გამიმართლა და კეთილი ადამიანები შემხვდნენ, ბევრს კი ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, "ეგრისში" ძალიან ძლიერი მარჯვენა მცველია, 20 წლის დათა გუგუნავა. დარწმუნებული ვარ, არათუ უმაღლეს ლიგაში, უფრო მაღალი დონეზეც ითამაშებს. მეკარე ნიკა ჯალაღონიასაც დავასახელებ, 17 წლის ბიჭი პირველი ლიგაში თამაშობდა და ვერ ვხვდები, რატომ ვერ შენიშნეს. სხვაც ბევრი მინახავს და გამკვირვებია, ასეთი ნიჭიერებს რეგიონულ ლიგაში რა უნდათ-მეთქი, მაგრამ მათი გვარები არ ვიცი.

- დაბალი ლიგის კლუბში არც მოთხოვნებია დიდი და რეჟიმსაც ნაკლებად იცავენ. უმაღლესი ლიგის გამკაცრებული მოთხოვნები არ გბოჭავს?

- პირიქით, მსიამოვნებს, საქმეს სერიოზულად რომ მოვკიდე ხელი. ეს ჩემი სამსახურია და ასეც უნდა იყოს.

- გაძლიერებულ ფიზიკურ დატვირთვებს როგორ შეეგუე?

- თავიდან გამიჭირდა, სად რეგიონული ლიგის მოთხოვნები და სად უმაღლესის, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ეტყობა, საკმაოდ ძლიერი ორგანიზმი მაქვს და გავუძელი. ახლა კი ბევრად მძიმე ვარჯიშებსაც შევეგუები.

- ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებობ?

- რა თქმა უნდა, მაგრამ საამისოდ ბევრად მეტი გამოცდილება და მაღალი კლასია საჭირო. "ოლიმპის" შემადგენლობაში ევროპის ლიგაზე თამაშის პერსპექტივა ამიტომაც მახარებს. იმედია, გამოცდილებას შევიძენ.

- თავად წლის აღმოჩენად ვის დაასახელებდი?

- მიჭირს დასახელება. სიმართლე გითხრათ, საქართველოს ჩემპიონატს კარგად არც ვიცნობ.

- როგორ თუ არ იცნობ?!

- ხომ გითხარით, "ეგრისში" თამაშისას, ჩემს ჭიას ვახარებდი, საქართველოს ჩემპიონატით კი არ ვინტერესდებოდი და, ცხადია, არ ვიცი, ვინ იყო წლეულს დებიუტანტი, ვინ უკეთ ითამაშა და ვინ უარესად. თორემ, დარწმუნებული ვარ, არიან ნიჭიერი ბიჭები, რომლებსაც დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. საქართველო ხომ საფეხბურთო ქვეყანაა.

მერაბ მამულაშვილი

● ეროვნული ჩემპიონატი

ეროვნული ჩემპიონატი

კალენდარი მალე გამოქვეყნდება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მომავალი ეროვნული ჩემპიონატის კალენდარს წილი უყარეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კლუბებს 1-დან 12-ის ჩათვლით ნომრები მიენიჭათ, რის საფუძველზეც საშეჯიბრო კომიტეტი კალენდარს შეადგენს და რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს.

ნომრები კი წილისყრის შედეგად ასე განაწილდა:

1. ოლიმპი
2. ბაია
3. გაგრა
4. სპარტაკი
5. ვიტ ჯორჯია
6. ტორპედო
7. ზესტაფონი
8. დილა
9. დინამო
10. მერანი
11. სიონი
12. ყოლხეთი

ჩემპიონატს უმაღლესი ლიგა 7-აგვისტოს დაიწყებს, პირველი ლიგის გათამაშება კი წინა დღეს აიღებს სტარტს.

ლევან ჯანეზაშვილი

● ინფრასტრუქტურა

რა და როგორ, უეფაზე ჰკიდია

მიხეილ მესხზე

რეკონსტრუქცია დაიწყო

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა.

"რამდენიმე დღეა, მიხეილ მესხის სტადიონზე ტექნიკა შევიდა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო.

პირველ ეტაპზე აიღეს მოედნის საფარი. შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა მიწის აღება და გატანა, რათა მოედანი ახალი დრენაჟისთვის მოემზადებინათ.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ მესხის სტადიონისა და კიდევ სხვა რამდენიმე მოედნის საფარს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეკვეთით ბერძნული კომპანია SIMOUNOVITS KRISTIAN&SIA O.E. გააკეთებს.

ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა სტადიონის 1 სექტემბრისთვის მომზადებაა, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ საშინაო შეხვედრას ესპანეთის ნაკრებთან გამართავს.

ამისთვის, დაჩქარებული ტემპებით გაკეთდება ახალი გასახდელები, ვიპ-ლოჟა, პრესლოჟა...".

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თქმით, ჩანაფიქრის განხორციელება უეფაზეა დამოკიდებული.

"სტადიონზე რა მასშტაბის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ჩავატარებთ, მალე გვეცოდინება, რადგან უეფა უახლოეს დღეებში გვეტყვის, რა ოდენობის თანხას გამოყოფს. ჩვენ ვაპირებთ ინდივიდუალური სკამების გამოცვლას, ტრიბუნების ნაწილობრივ გადახურვას..." – გვითხრა სიჭინავამ.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სატრანსფერო ბაზარი

საქართველოს ნაკრებები შეგვიფასეს

ქართველ გულშემატკივარს ყოველთვის აინტერესებს ჩვენი ფეხბურთის და მოთამაშეების რეიტინგი და ევროპელთა შეფასებები. ეს წერილი ცნობილი გერმანული ინტერნეტ-პორტალ „ტრანსფერმარკტის“ ბოლო ინფორმაციას ეყრდნობა.

„ტრანსფერმარკტი“ ლამის ყოველთვიურად ასახავს სატრანსფერო ბაზარზე მომხდარ ცვლილებებს. გამონაკლისი არც დასრულებული სეზონია. ლამის ყველა მოთამაშის ფასი შეიცვალა, ზოგი უფრო დაფასდა, ზოგი - გაუფასურდა, ციფრები კი სიტყვებზე მეტყველია.

წინასწარ გეტყვით, რომ თანხები მოცემულია ევროში. "ტრანსფერმარკტმა" საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებიც შეაფასა.

ეროვნული ნაკრები	20.950.000
U21	3.625.000
U19	325.000
U17	50.000

ეროვნული ნაკრები ხორვატიასთან გამოძახებული ფეხბურთელების მიხედვით შეფასდა, მაგრამ ამ მატჩში წამყვანი ქართველი ფეხბურთელების ნაწილი არ მონაწილეობდა. ასაკობრივი ნაკრებებიც ბოლო ტურნირების შემადგენლობით შეფასდა, მაგრამ მხოლოდ ორიოდე მოთამაშის ფასია აღნიშნული.

ცნობებში ბევრ უცნაურ ფაქტს წავაწყდით: მიუხედავად იმისა, რომ **დავით სირაძემ** რამდენიმე მნიშვნელოვანი სანაკრებო და საკლუბო გოლი გაიტანა და მთლიანობაში 2010 წელი კარგად ჩაატარა, მისი ფასი არ გაზრდილა და კვლავ 400 ათას ევროდ აფასებენ. უცნაური კია - რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებს ფასი აქვთ, მით უფრო, ეროვნული ნაკრების წევრებს.

მიუხედავად იმისა, რომ **გიორგი დემეტრაძე** დაკავებულია, მისი სატრანსფერო ფასი დიდხანს აღემატებოდა ეროვნული ნაკრების ზოგიერთი წევრისა და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ყველა ფეხბურთელისას და 600.000 ევროს შეადგენდა. "ტრანსფერმარკტმა" მხოლოდ ახლა გააუქმა მისი შეფასება.

უნგრეთის "დიორი ეტოს" თავდამსხმელ **რატი ალექსიძეს** ნაკრებში ორი წელია აღარ ინვევენ. თუმცა ამას 32 წლის გამოცდილი ფორვარდის ფასზე უარყოფითად არ უმოქმედია, პირიქით, 50 ათასი ევროთი გაიზარდა - 400.000.

ასევე უცნაურია **სანდრო იაშვილის** ამბავი. 25 წლის თავდამსხმელი დიდხანს იყო უგუნდოდ, მაგრამ 325 ათას ევროდ შეაფასეს, რაც საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ბევრი ფეხბურთელისთვის მიუღწეველი ზღვარია.

მოსკოვის "ლოკომოტივიდან" დეკემბერში წასული და დღემდე უგუნდო **მალხაზ ასათიანი** კვლავაც ინარჩუნებს ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელის პოზიციას – 3,8 მილიონი ევრო. ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩენილთა შორის ყველაზე ძვირადღირებულები არიან **გოგიტა გოგუა** (2.000.000), საბერძნეთის "ერგოტელისის" მცველი **გიორგი შაშიაშვილის** (800.000), **ლევან მჭედლიძე** (650.000) და **ლევან გვაზავა** (500.000).

500.000-ად შეფასდა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველ **გია გრიგალავას** ტრანსფერი, რომელმაც 3 ივნისს სპლიტში პირველად მოირგო საქართველოს ნაკრების ფორმა.

„ტრანსფერმარკტის“ ინფორმაცია რეალობას ყოველთვის ვერ ასახავს. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ვებგვერდის ადმინისტრაცია პოსტსაბჭოური სივრცის ფასებში ისე ვერ ერკვევა, როგორც დასავლეთის ბაზრის შემთხვევაში. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც **უჩა ლობჟანიძის** ამბავი: ქართველი მცველი „დნიპრომ“ 2010 წელს 2 მილიონ ევროდ იყიდა, გერმანულმა ინტერნეტ-პორტალმა კი შარშან მხოლოდ 750 ათასად შეაფასა და მხოლოდ ახლა გაუზარდა ფასი – 1.200.000. „ვოლგა“ **გოჩა ხოჯავას** 2-2,5 მილიონ ევროდ აფასებს, მას კი მხოლოდ 700 ათასი ევრო უწერია, არნემის "ვიტესის" **გიორგი ჭანტურიას** - 500.000, თუმცა ამ ფასში ჰოლანდიური კლუბი 19 წლის ქართველს ნამდვილად ვერ შეელევა.

ეროვნული ნაკრების იმ წევრების ფასი გაიზარდა, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობენ. თბილისის "დინამოს" მეკარე **გიორგი ლორიასა** (450.000) და "ზესტაფონის" ნახევარმცველ **მურთაზ დაუშვილის** (550.000) ამბავი ცნობილია – ეს უკანასკნელი ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე ძვირადღირებულია. "ზესტაფონის" ფორვარდ **ნიკა გელაშვილს** ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირობა დაუფასდა და მისი ტრანსფერი 400 ათასი ევროდ შეფასდა, შარშან ამ დროს კი 300 ათასი ღირდა. უფრო დაფასდნენ "ზესტაფონის" მცველი **გიორგი ხიდეშელი** (450.000), თავდამსხმელი **რატი წინამძღვრიშვილი** (350) და რუსთავის "ოლიმპის" ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** (300 ათასი).

თუმცა თვალშისაცემია კურიოზული ფაქტი: 2009 წელს, როდესაც ეროვნულმა გუნდმა არსებობის ისტორიაში ყველაზე კატასტროფული სეზონი ჩაატარა, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების წევრთა ტრანსფერები უფრო ძვირად ფასობდა.

საწყენია, რომ საქართველოს ჩემპიონატის არც ერთ ფეხბურთელს არ აფასებენ მილიონ ევროდ. თუმცა ასე იყო უჩა ლობჟანიძეც, მაგრამ 2010 წლის დასაწყისში "ზესტაფონმა" დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" 2 მილიონ ევროდ გაყიდა. ბუნებრივია, ქართველებს ამაზე საკუთარი შეხედულება გვაქვს, „დინამოს“ ყოფილი მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** ამბობდა, რომ საქართველოში კიდევ არიან ფეხბურთელები, რომლებიც ლობჟანიძეზე ნაკლებ ფასში არ უნდა იყიდებოდნენ, მაგრამ ევროპულ ბაზარს თავისი კრიტერიუმები გააჩნია, ფასებს თავად არეგულირებს და ჩვენ რას შეგვეკითხებიან...

ევროპაში მილიონ ევროზე მეტად სულ ჩვენი თორმეტი ფეხბურთელი ფასობს. არ არის დიდი რიცხვი, ჩვენ მეტს ველით 2011-12 წლების სეზონისგან. იმედია, ის ქართული ფეხბურთისთვის ბევრად წარმატებული და იღბლიანი იქნება, ვიდრე გასული, 2010-11 წლების სეზონი ჩვენს ფეხბურთს, ნაკრებებსა და მოთამაშეებს უფრო დააფასებენ.

მერაბ მამულაშვილი

● ხორვატია-საქართველო 3:1

სვასტიკა სასტიკად ისჯება

სპლიტური სვასტიკა ხორვატიას ძვირი დაუჯდება

16 ივნისს უეფას სადისციპლინო კომიტეტის სხდომაა დაგეგმილი, სადაც, სავარაუდოდ, ხორვატიის საფეხბურთო კავშირს სერიოზული სანქცია არ ასცდება.

საქმე ისაა. რომ 3 ივნისს, ხორვატია-საქართველოს ევროშესარჩევი მატჩისას, ხორვატი გულშემატკივრები მეტისმეტად აგრესიულად იქცეოდნენ და ტრიბუნიდან მოედანზე პეტარდებს ისროდნენ, მატჩის დელეგატის განსაკუთრებული ყურადღება კი ტრიბუნაზე გამოფენილმა სვასტიკიანმა დროშამ მიიპყრო.

ძნელი სათქმელია, როგორ დასჯის უეფა ხორვატებს. სავარაუდოა, რომ მათ სოლიდურ ფინანსურ ჯარიმას დააკისრებენ და არც ის არის გამორიცხული, ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს ერთი ან რამდენიმე მომდევნო საშინაო მატჩის ჩატარებამ ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მოუნიოს, რაც, რაღა თქმა უნდა, ასევე მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ნიშნავს.

თანამემამულეთა უსაქციელობას აკრიტიკებს ხორვატიის საფეხბურთო კავშირის უსაფრთხოების კომისარი **ზორან ცვრკი**: *"ცოტა ხნის წინ ხორვატიაში უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი იმყოფებოდა და მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ გულშემატკივრებთან დაკავშირებული პრობლემებისთვის მიგვეხედა. ხორვატია იმ ოთხ ევროპულ ქვეყანას შორისაა, სადაც ქომაგებში რასიზმი და ფაშიზმია ფეხმოკიდებული და საუბედუროდ, საქართველოსთან მატჩმა დაგვანახა, რომ ეს საშინელება ხორვატიაში კვლავ მძვინვარებს. სასჯელი უდავოდ უმკაცრესი იქნება და ახლა მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ მაყურებელთა საქციელი ხორვატიის ნაკრების შედეგებზე არ აისახება"*, - განაცხადა ცვრკმა.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

შერიფის შერიფს დაანინაურებენ

ვაჟა თარხნიშვილი

მოლდოვური პრესის ცნობით, ტირასპოლის "შერიფის" ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** კარიერა დაასრულა. მან ეს გადაწყვეტილება 39 წლის ასაკში მიიღო.

გორელმა მცველმა თამაში "დილაში" დაიწყო, საიდანაც თბილისის "ლოკომოტივში" გადავიდა, კარიერის საუკეთესო წლები კი "შერიფში" გაატარა. დნესტრისპირელებთან ერთად იგი 10-ჯერ გახდა მოლდოვის ჩემპიონი, 7-ჯერ თასი, 4-ჯერ კი სუპერთასი მოიგო. "შერიფის" შემადგენლობაში თარხნიშვილმა "თანამეგობრობის თასზეც" გაიმარჯვა და ბოლო ორ სეზონში ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშა.

"შერიფში" ჩატარებული მატჩებით ვაჟა რეკორდსმენია – 491 შეხვედრაში 24 გოლი გაიტანა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი ორი მატჩი ჩაატარა.

"შერიფის" ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ თარხნიშვილს კლუბში ერთ-ერთ მმართველ პოსტს შესთავაზებს და ალბათ, ასეც იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონი

მარცვალაძის დუბლი და ძირითადში დაბრუნებული ქართველები

გუშინ რუსული პრემიერლიგის მე-12 ტურის მატჩები გაიმართა და ტურის ერთ-ერთ გმირად **ოთარ მარცვალაძე** იქცა. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველმა ფორვარდმა "კრილია სოვეტოვთან" 2:0 მოგებულ მატჩში დუბლი შეასრულა. მარცვალაძემ სრულად ითამაშა და "ჩემპიონატ.რუ"-სგან 6.5 ბალი მიიღო. **გოგიტა გოგუა** (6) 84-ე წუთზე შეცვალეს, **გია გრიგალავამ** და **ლაშა სალუქვაძემ** კი ბოლომდე ითამაშეს და 5.5-იანი შეფასება დაიმსახურეს. **მათე ვაწაძე** სათადარიგო იყო.

"ანჟიმ" ნალჩიკის "სპარტაკს" 2:0 სძლია და მახაჩყალელთა კარი **ნუკრი რევიშვილმა** დაიცვა, რომელიც რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ტრავმის გამო ვერ დაეხმარა. რევიშვილი 6-იანით შეაფასეს. "სპარტაკის" ძირითადში იყო **დავით სირაძე**, რომელიც 70-ე წუთზე შეცვალეს და 5-იანი დაუწერეს.

სეზონში პირველად გაამწესეს **ჯანო ანანიძე** მოსკოვის "სპარტაკის" სასტარტოში. ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი 78-ე წუთზე დაასვენეს. "სახალხო გუნდმა" შინ ყაზანის "რუბინს" ვერაფერი დააკლო - 0:0.

გროზნოს "ტერეკმა" საკუთარ მოედანზე 2:4 წააგო მოსკოვის ცსკა-სთან. მასპინძელთა რიგებში მეორე ტაიმი ჩაატარა **ლევან გვაზავამ**, რომელმაც 6-იანი დაიმსახურა.

"კრასნოდარმა" სტუმრად 3:1 სძლია "როსტოვს". კრასნოდარელთა გამოჯანმრთელებულმა კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და 6-იანი დაიმსახურა.

ლევან ჯანეზაშვილი

● ბავშვთა ფესტივალი

დიდი ჭრიამული 13 ივნისიდან

ორშაბათს, 13 ივნისს დაიწყება ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალი. ტურნირს 13-დან 18 ივნისამდე თბილისი უმასპინძლებს. მეოთხე ფესტივალის ორგანიზატორი, ტრადიციულად, თბილისის ფეხბურთის ფედერაციაა.

ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ 2000-02 წლებში დაბადებული ბავშვები.

წლეულს ფესტივალში იასპარეზებს აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის 58 სკოლა. ორგანიზატორებს ხუთი უცხოური სკოლის ჩამოყვანა სურდათ, მაგრამ თანხმობა მხოლოდ ყაზახებისგან მიიღეს, არ არის გამორიცხული, შარშანდელი სტუმარი, სომხეთის გუნდიც ვიხილოთ.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები. გარდა ამისა, წლეულს ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის, დავით ყიფიანის 60 წლისთავია და ფესტივალზე "საუკეთესო ათიანის" სპეციალური პრიზიც დაწესდა.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

● რეტრო-ბრენდინგი?

ნათლიებო, ვიფიქროთ!

დავარქვათ გუნდებს შვილების, მამების, ქარხნების, პროფესიების სახელები?

საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების უმრავლესობა „დამსახურებულ“ შვებულებაში იმყოფება და ამ დროისათვის მხოლოდ ორ-სამ გუნდს თუ აქვს დაწყებული ახალი სეზონისათვის მზადება. ერთი შეხედვით, XXIII ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო არ არის დარჩენილი, თუმცა გუშინვე გაირკვა მომავალი სეზონის პირველი ტურის წყვილები. ახალი ჩემპიონატი, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, არაერთ სიახლეს გვპირდება: რეგლამენტის შეცვლას თავი რომ დავანებოთ, ზოგი გუნდი ახალი სახელითაც იასპარეზებს! ჰო, ესეც გუშინ გაუწყეთ, რომ რუსთაველ ქომაგთა გარკვეული ნაწილის დიდი ხნის ოცნება ასრულდა და ამ ქალაქის გუნდი ახალ სეზონში „ოლიმპის“ ნაცვლად... „მეტალურგის“ სახელწოდებით იასპარეზებს! კიდევ ვიმეორებთ — 7 აგვისტომდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი და არავინ იცის, კიდევ რამდენი გუნდი მიბაძავს რუსთაველებს; მოკლედ, არაფერი გამოვრიცხოთ, მით უფრო, რომ ჩვენთან ხშირად უყვართ ხოლმე სხვათა „სიახლეთა გადამღერება“...

ქართული „მილანი“ და „ინტერი“

კაცია და გუნება: ამა თუ იმ კლუბის მეპატრონეს ნებისმიერ დროს შეიძლება მოეპრიანოს და საკუთარ გუნდს, რასაც უნდა, იმას დაარქმევს. არცთუ შორეულ წარსულს გავიხსენებთ, საქართველოს ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში ერთიმეორეს მიყოლებით რომ გამოჩნდნენ „მილანი“, „ინტერი“, „ვალენსია“, „არსენალი“ და ასე შემდეგ; ეგ კი არა, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, ესა თუ ის მეპატრონე (ანუ, დამფინანსებელი) გუნდს... საკუთარი შვილის სახელს რომ არქმევდა; ან, პირიქით — თვითონ გუნდს გამოუთქვამს სურვილი და სახელწოდება მეპატრონე-დამფინანსებლის პატივსაცემად შეუცვლია! ჰო, ნუ გიკვირთ, მართლაც იყო ასეთი შემთხვევა. როცა ერთ-ერთი კახური გუნდი გარკვეული პერიოდის განმავლობაში „პეტროვიჩის“ სახელით ასპარეზობდა; ოღონდ, ისე არ იფიქროთ, თითქოს კახელებმა ვინმე სერბი სპეციალისტის პატივსაცემად დაირქვეს ეს ორიგინალური სახელი: მოგეხსენებათ, ჩვენთან (თანაც, არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროში) დღესაც „მოდაშია“ მამის სახელის რუსული ვარიანტით მიმართვა და აი, სწორედ ასეთი ორიგინალური მიგნება ჰქონდათ კიდეც კახელებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ „ნოვაციას“... გაგრძელება არ მოჰყოლია და საქართველოს ჩემპიონატში რაღაც ვერ ვიხსენებთ ისეთ შემთხვევებს, სხვადასხვა ლიგაში „ზაზაევიჩს“, „ვარდენიჩს“, „აქვსენტიჩს“, „შოთაევიჩსა“ თუ „ჯემალიჩს“ რომ ეასპარეზათ. კი, იყო სხვა მართლაც „ორიგინალური“ სახელწოდების მქონე გუნდებიც (უფრო, დაბალ ლიგებში), მაგრამ რა შედარებაა იმასთან, რაც ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ხდებოდა...

გავიხსენოთ ჩვენი პოტენციალი

პირველ ეროვნულ ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობდა და აქედან თერთმეტს გათამაშების დაწყების წინ შეეცვალა სახელი! ანუ, მხოლოდ შვიდმა გუნდმა დაიტოვა ძველი სახელწოდება: ლანჩხუთის „გურიამ“, ხობის „კოლხეთმა“, გორის „დილამ“, ოზურგეთის „მერცხალმა“, ონამჩირის „ამირანმა“, გალის „მზიურმა“ და ხაშურის „ივერიამ“. აი, დანარჩენებმა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელი შეიცვალეს და საბჭოურს ქართული ამჯობინეს! თბილისის „დინამოს“ „იბერია“ ეწოდა, ზუგდიდის „დინამოს“ — „ოდიში“, ბათუმის „დინამოს“, — „ბათუმი“, ქუთაისის „ტორპედოს“ — „ქუთაისი“, სოხუმის „დინამოს“ — „ცხუმი“, ფოთის „კოლხეთს“ — „კოლხეთი-1913“, თბილისის „შევარდენს“ — „შევარდენი-1906“, რუსთავის „მეტალურგს“ — „გორდა“, სამტრედიის „ლოკომოტივს“ — „სანავარდო“, ცხინვალის „სპარტაკს“ — „ლიახვი“, წყალტუბოს „შადრევანს“ — „სამგურალი“. თუმცა, გარკვეული პერიოდის მერე ზოგმა გუნდმა ისევ ძველი სახელწოდება დაიბრუნა: „ქუთაისი“ ერთი წლის შემდეგ ისევ „ტორპედო“ გახდა, „იბერიამ“ სამი სეზონი იასპრეზა და ისევ „დინამო“ დაერქვა და ასე შემდეგ. ამ ორ შემთხვევას კიდევ რა უშავდა: ბოლოს და ბოლოს, საქმე უდიდეს ტრადიციებთან გვქონდა; რაც მთავარია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში აღარავის მოსვლია აზრად, რომ მართლაც „ისტორიული“ სახელწოდებები აღედგინათ; ჰო, შესაძლოა, იმ დროს (გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში) ბევრს „ნოსტალგიაც“ მოეძალებოდა, რადგან ვერ იხილავდა **„მენავთობესა“** თუ **„მეფრინველეს“**, **„ფოჩტამტსა“** თუ **„მეტალისტს“**, **„პიშჩევიკსა“** თუ **„ბურევესტნიკს“**; აღარაფერს ვამბობთ ისეთ გუნდებზე, როგორებიც იყვნენ: **„ტაქსომოტორი №3“**, **„ტრამვაი-ტროლეიბუსების სამართველო“** თუ **„ხის დამამუშავებელი კომბინატი“**...

ისე, არავის ეგონოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გუნდები მხოლოდ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ასპარეზობდნენ იმ მართლაც ორიგინალური სახელწოდებებით, ასე, მაგალითად, 1989 წელს, ქუთაისის საქალაქო პირველობაზე მოასპარეზე 11 გუნდიდან მხოლოდ და მხოლოდ ორს ერქვა ისეთი სახელი, არავისთვის საქილიკო რომ არ უნდა ყოფილიყო („აისი“, და „აია“); აი, დანარჩენი ცხრა გუნდის სახელებს კი ახლა შემოგთავაზებთ და დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია: **„მეავეჯე“**, **„ფეიქარი“**, **„სოკოლი“**, **„მე-4 სამშენებლო ტრესტი“**, **„ქიმიკოსი“**, **„სატრაქტორო,“ „ტრანსპორტელი“**, **„კოლხიდა“** და... **„პოტენციალი“**!

... გუშინაც აღვნიშნეთ, რომ გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ, იმედია, აღარავის გაუჩნდება სურვილი თავის გუნდს „მეფრინველე“, „მეავეჯე“, „მენავთობე“ თუ... „პოტენციალი“ დაარქვას. აი, წყალტუბოელებს კი, ალბათ, მართლაც მართებთ სახელწოდების შეცვლაზე დაფიქრება — 1990 წლამდე ამ ქალაქის გუნდი ხომ დღესდღეობით მოდური, „შადრევანის“ სახელწოდებით (თანაც, საკმაოდ წარმატებითაც) ასპარეზობდა...

გია ტუხაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. სიონი

7		სულ							შინ							ერიტუზრალი						
	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	ბურთები		ქ	თ	მ	ფ	ნ	ბურთები		ქ	ბურთებ						
						გატ	გაშვ						გატ	გაშვ		ბიგლიოლა	ბურთებ					
	სიონი	36	10	9	17	27	45	39	18	9	4	5	21	16	31	18	1	5	12	6	29	8

დინამო-ბაია 2:1

„სიონის“ ყველა მატჩი

I ეტაპი

I წრე

II ტური	სიონი-კოლხეთი	0:0
III ტური	სამტრედია-სიონი	0:1
IV ტური	სპარტაკი-სიონი	3:0
V ტური	სიონი-ვიტ ჯორჯია	0:0
I ტური	ბაია-სიონი	2:2
VI ტური	ტორპედო-სიონი	0:0
VII ტური	სიონი-დინამო	1:0
VIII ტური	სიონი-ზესტაფონი	1:3
IX ტური	სიონი-ოლიმპი	2:1

II წრე

I ტური	სიონი-ბაია	1:3
XI ტური	კოლხეთი-სიონი	0:0
XIV ტური	ვიტ ჯორჯია-სიონი	1:0
XII ტური	სიონი-სამტრედია	1:0
XIII ტური	სიონი-სპარტაკი	2:0
XV ტური	სიონი-ტორპედო	0:0
XVI ტური	დინამო-სიონი	2:0
XVII ტური	ზესტაფონი-სიონი	4:0
XVIII ტური	ოლიმპი-სიონი	3:1

II ეტაპი

III წრე

XIX ტური	ბაია-სიონი	1:0
XX ტური	სიონი-კოლხეთი	2:0
XXI ტური	სამტრედია-სიონი	1:1
XXII ტური	სპარტაკი-სიონი	3:0
XXIII ტური	სიონი-ვიტ ჯორჯია	1:2
XXIV ტური	ტორპედო-სიონი	2:0
XXV ტური	სიონი-დინამო	0:2
XXVI ტური	ზესტაფონი-სიონი	0:0
XXVII ტური	სიონი-ოლიმპი	1:0

IV წრე

XXVIII ტური	სიონი-ბაია	1:0
XXIX ტური	კოლხეთი-სიონი	1:0
XXX ტური	სიონი-სამტრედია	5:0
XXXI ტური	სიონი-სპარტაკი	1:1
XXXII ტური	ვიტ ჯორჯია-სიონი	3:0
XXXIII ტური	სიონი-ტორპედო	1:4
XXXIV ტური	დინამო-სიონი	1:0
XXXV ტური	სიონი-ზესტაფონი	1:0
XXXVI ტური	ოლიმპი-სიონი	2:1

„სიონის“ ფეხბურთელების მონაგარი

ხვიჩა ქასრაშვილი

მწვრთნელი

გიორგი ყიფშიანი (I-XVIII ტური)
გიორგი ყიფშიანი (XIX-XXV ტური)
ხვიჩა ქასრაშვილი (XXVI-XXXVI ტური)

მეკარეები: მინდია ბობღიაშვილი-23, მირზა მერლანი-10, ვლადიმერ ზუხბაია-4, დავით ლეგაშვილი-2;

მცველები: სერგი ორბელაძე-30 (2), გივი დიდავა-30 (2), მიხეილ კობაური-27, გიორგი თარგამაძე-19, დავით სვანიძე-14 (1), მურმან ქურასბედიანი-14, ლაშა ჭელიძე-13 (1), ვაჟა ქორიძე-12, თემურ რაქვიაშვილი-9, საბა ადამაშვილი-9, დავით ლომაია-8, გიორგი კვანტალიანი-1;

ნახევარმცველები: ლაშა ნოზაძე-35 (1), ალექსანდრე გოგობერიშვილი-17 (1), ვლადიმერ უგრეხელიძე-17(1), ლაშა ვაშაკიძე-17 (1), ირაკლი ჩირიკაშვილი-15 (2), ნიკა კვასხვაძე-10, გიორგი ქუცურუა-9, გიორგი ოქროპირიძე-9, კობა შალამბერიძე-9(2), ვაჟა ნემსაძე-8, გიორგი მელქაძე-7(1), გიორგი ჩივაძე-6, ლევან სანიკიძე-6, ლევან ჩხეტიანი-5;

თავდამსხმელები: ვილი ისიანი-28 (3), რევაზ ჯიქია-15 (5), რევაზ გოცირიძე-16 (2), გიორგი რეხვიაშვილი-14, გია თოდუა-12, მიხეილ ბობოხიძე-11(1), მანუჩარ ოქროპირიძე-9, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე-1.

ლაშა ნოზაძე

● სკანდალი



ეს სამარცხვინო გიგზი

ინგლისურმა პრესამ გამოქექა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 37 წლის ვარსკვლავი, **რაიან გიგზი** რომელსაც საკუთარი ძმის, **როდრის** ცოლ **ნატაშასთან** რომანი ჰქონდა, მდგომარეობიდან გამოძვრომას ფულით ცდილობს. რაიანს როდრისთვის შეუთვლია, თუ ამ ისტორიის მეტ დეტალებს აღარ გამოამზეურებ 250 ათას ფუნტს მოგცემო. შეგახსენებთ, რომ ნატაშა, რომელიც უმცროსმა გიგზმა ცოლად დაახლოებით ერთი წლის წინ მოიყვანა, თუმცა მანამდე მასთან ვაჟი ჰყავდა, რვა წლის განმავლობაში „იუნაიტედის“ ვარსკვლავის საყვარელი იყო.

რაიან გიგზი, რომელსაც მეუღლე და ორი შვილი ჰყავს, ბოლო დრომდე სანიმუშო მეოჯახედ იყო ცნობილი, მაგრამ, როგორც გაირკვა, სასიყვარულო თავგადასავლების დამალვის უნიკალური უნარი ჰქონია. თუმცა, ბოლოს და ბოლოს უელსელს საქმეები აერია და ჯერ ტელეშოუ Big Brother-ის მონანილის, **იმოგენ ტომასის** ამბავი გაუმჟღავნდა, შემდეგ კი საკუთარი რძლის.

ოჯახის საქმეებში ჩახედულმა მავანმა კი ტაბლოიდებს განუცხადა, რომ გიგზი სხვა სასიყვარულო ისტორიების გახმაურებას ელოდება და ძმას, რომელმაც მის შესახებ აშკარად ბევრი რამ იცის, ამიტომაც სთავაზობს ფულს.

ძმისგან და ცოლისგან ნაღალატები როდრი გიგზი სახლიდან წავიდა და მეგობართან, უელსში ცნობილ ტელეწამყვან **უილ მელორთან** ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ მან საქმე იმავე იურიდიულ ფირმასთან დაიჭირა, რომელიც ცოტა ხნის წინ მისი უფროსი ძმისა და იმოგენ ტომასის სასიყვარულო ურთიერთობის დამალვას ცდილობდა. გაზეთები წერენ, რომ უმცროს გიგზს ამ ფირმისთვის გადასახდელი ფული არ ექნება და სწორედ ამით სარგებლობს რაიანი, ამიტომ სთავაზობს მას ფულს დუმილის სანაცვლოდ.

ოჯახის საქმეებში გარკვეულმა ადამიანმა თქვა: *„როდრი ამბობს, რომ რაიანი მის გაჩუმებას ცდილობს. მან ძმას უკვე დაუსახელა კონკრეტული თანხა, 250 ათასი ფუნტი. საბრალო როდრი განადგურებულია და არ იცის რა გააკეთოს, როგორი საქციელი მოიტანს უკეთეს შედეგს. ერთი მხრივ 250 ათასი ძალიან დიდი თანხაა, რომელსაც ის სიამოვნებით აიღებდა, მეორე მხრივ კი, რაიანის საქციელით დაზაფრულია. მისთვის უკვე გასაგებია, ვინ იმალება ნესიერი კაცის იერის უკან“.*

ცნობისათვის: გაზეთმა „სანმა“ გაარკვია, რომ მოღალატე ცოლს, ნატაშას ფეხბურთელებიდან მხოლოდ რაიან გიგზთან როდი ჰქონია რომანი. სხვადასხვა დროს ის, თურმე „მანჩესტერ იუნაიტედის“ სხვა ფეხბურთელებს, კერძოდ კი **დენი სიმპსონს**, **ფილ ბერდსლის** და **დუაიტ იორკსაც** ჰყვარობდა.

● ფეხბურთელის პორტრეტი

ერთგული გიგანტი

წინასწარმეტყველი

ჯორდან ჰენდერსონმა 8 წლის ასაკშივე იცოდა, რომ დიდობაში პრემიერლიგის ვარსკვლავი გახდებოდა. დღეს 20 წლის ნახევარმცველი „ლივერპულის“ წევრია. მასში მერსისაიდელებმა „სანდერლენდს“ 20 მილიონი ფუნტი გადაუხადეს და ხელფასად კვირაში 60 ათასი დაუნიშნეს. სხვა სიტყვებით, „ენფილდ როუდის“ ლეგენდა, **კენი დალგლიში** მას თავისი დიდი რეორგანიზაციისა თუ „რევოლუციის“ საკვანძო წევრად აღიქვამს.

არადა, სანდერლენდში დაბადებული ბიჭუნა სულ ორი წელიწადია, რაც ასპარეზზე გამოჩნდა. ინგლისის ამ რეგიონში, რომელსაც უიერსაიდი ჰქვია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათი კუთხის შვილი ასე უცბად აიჭრებოდა ცის კაბადონზე. ვერავინო, რომ ვამბობთ, ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით ვგულისხმობთ. დიახ, თავად ჰენდერსონიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე მალე „ენფილდზე“ ამოყოფდა თავს.

სულ პატარას, უკანა ეზოში მამა **ბრაიან ჰენდერსონი** ეთამაშებოდა. მშობლის თვალმა მაშინვე შეატყო, რომ ბიჭუნა ბურთს მეტისმეტად სერიოზული სახით, მოწადინებული დასდევდა. სწორედ ბრაიანმა უთხრა გაზეთ „სანს“, რომ მისი ვაჟი დღემდე ბურთის ერთგული დარჩა. ის არ სვამს, ღამღამობით კლუბებში არ დადის. აუცილებლად პოულობს დროს, რათა სკოლაში მივიდეს და მოსწავლეებს თავისი გამოცდილება გაუზიაროს. და, რაც მთავარია, ის მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს.

ბრაიან ჰენდერსონმა თქვა: *„მე ყოველთვის ჯორდანის კრიტიკოსი ვიყავი, მაგრამ ის დაუზარლად მუშაობდა და ახლა ნაყოფს იმკის. მას ისე უყვარს ფეხბურთი, რომ მისი გულისთვის ძალიან ბევრ რამეზე ამბობს უარს. ასე მაგალითად, ის არასდროს დადის კლუბებში, ფხიზელი ცხოვრებით ცხოვრობს და, რომ არ დაგიმალოთ, ფეხბურთის მეტი საერთოდ არაფერი აინტერესებს.*

ვიცი, შესაძლოა, შიგადაშიგ გული სწყდება ძმაკაცებთან რომ არ არის, მაგრამ მე მას ვუთხარი, რომ სმა შეუძლია ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ, 35 წლისამ დაიწყოს.

ერთადერთხელ მახსოვს, რომ ფეხბურთსა და ფეხბურთს შორის გოლფი ითამაშა, ისიც განტვირთვისთვის. შვიდი წლის ასაკიდან დღეში სამჯერ მხოლოდ ფეხბურთში ვარჯიშობს. კარგად მახსოვს, 8 წლისა რომ იყო, მომიტრიალდა და საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებულმა მითხრა, მამა, მე პროფესიონალი ფეხბურთელი გამოვალო. მონდომება და ყურადღების კონცენტრაცია ყოველთვის განსაკუთრებული ჰქონდა“.

ჰენდერსონის ნიჭიერებაში ეჭვი არავის არასდროს შეპპარვია, მაგრამ ბავშვობაში იყო მომენტი, როდესაც „სანდერლენდის“ მწვრთნელებმა სიგამხდრის გამო დაიწუნეს. თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად ის უფრო აღნაგიც გახდა. 16 წლისას 18-წლამდელთა გუნდში ათამაშებდნენ და მამამისიც ამაყად დააბიჯებდა უიერსაიდის მინაზე.

ბუნებრივია, თავად ჯორდანიც ძალიან ამაყობდა. ბავშვობიდან „შავი კატების“ ქომაგი ხომ საყვარელ გუნდში გამოდიოდა, თუმცა, ახლა ისეთი რამ უნდა ვთქვათ, რომ „ლივერპულის“ ფანებმა შეიძლება თავში ხელი შემოიკრან: „სანდერლენდის“ გარდა პატარა ჰენდერსონი „მანჩესტერ იუნაიტედს“ გულშემატკივრობდა. შარშან, როდესაც ჯორდან ჰენდერსონი ახალგაზრდათა ევრო 2011-ის შესარჩევ შეხვედრებში სათამაშოდ გამოიძახეს, რუმინეთში, მატჩის წინა დღეს ჟურნალისტებს ასე ელაპარაკა:

„პატარაობაში ჩემი გმირები დევიდ ბექჰემი და *რაიან გიგზი იყვნენ. რასაკვირველია, საყვარელი ფეხბურთელები „სანდერლენდშიც“ მყავდა, მაგრამ ეს ორი მანჩესტერელი კერპებად მყავდნენ. როდესაც ვიზრდებოდი, „იუნაიტედი“ საოცარი გუნდი იყო, სადაც უდიდესი ვარსკვლავები თამაშობდნენ: ბექჰემი, გიგზი, სქოულზი, კინი...“*

აი, ფეხბურთელის მამა, ბრაიან ჰენდერსონი კი „შავ კატებს“ არასდროს უღალატებს.

„არ დაგიმალავთ, საკმაოდ მწარე მომენტი იყო, როდესაც შევიტყვე, რომ ჯორდანი სათამაშოდ „ლივერპულში“ გადადიოდა — თქვა მამამ — რასაკვირველია, როგორც მამას გული სიამაყით ამევსო, მაგრამ, როგორც „სანდერლენდის“ ფანს 47-წლიანი სტაჟით, მეწყინა, რომ ის „შავ კატებს“ ტოვებდა. მთელი ჩვენი ოჯახი „სანდერლენდის“ გულშემატკივარია, ასევეა თავად ჯორდანიც და მერწმუნეთ, ჩემთვის არასდროს არაფერი შეედრება იმ განცდას, ჩემი შვილი „სთედიუმ ოფ ლაიტზე“ რომ დავინახე.

მესმის, როგორ არა, „ლივერპული“ „სანდერლენდზე“ ამბიციური გუნდია, ტიტულების მოგების უფრო მეტი შანსი აქვს, თან იქ სტივენ ჯერარდისა და ჯეიმი კარაგერის მხარდამხარ შეიძლება თამაში, მაგრამ საკუთარი შვილის სხვა გუნდში ნახვა ცოტა მაინც მეუცნაურება“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ჯორდან ჰენდერსონი



● მანჩესტერ სიტი

კოლო ტურე

ეს ეს ეს

„მანჩესტერ სიტის“ 30 წლის ვარსკვლავს, კოტ დ'ივუარელ **კოლო ტურეს** აკრძალული პრეპარატის მიღების გამო ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია რომ მიუსაჯეს, ცნობილი ამბავია, მაგრამ წამლებით რატომ იჭყიპებოდა, არ გაინტერესებთ? თურმე, ავადმყოფურად ეშინია, ღიპი არ დაედოს. ტურეს საკუთარი წონა, უფრო კი, ალბათ, სიმსუქნისაკენ მიდრეკილება იმდენად ანუხებს, რომ ცოლის მეგობრის რჩევას მისდია და რაღაც აბების სმა დაიწყო. სწორედ ამას მოჰყვა დოპინგის ისტორიაც — ერთ-ერთი თამაშის შემდეგ, ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, გაირკვა, რომ ნივთიერება, რომელიც ამ აბებში შედიოდა, სპორტსმენთათვის აკრძალული იყო.

ეს ყველაფერი მას მერე გახდა ცნობილი, რაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ისტლენდელთა ყოფილი კაპიტნის საქმის დეტალები გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ ტურე ერთი მხრივ საკუთარ წონაზე ფსიქოლოგიურად დამოკიდებული გამხდარა, მეორე მხრივ კი ნერვიულად, მაგრამ იმავდროულად უსისტემოდ ცდილობდა საიდანმე შეეტყო, იყო თუ არა ამ აბებში შემავალი რომელიმე ნივთიერება აკრძალული. ასოციაციის განცხადებაში სიტყვასიტყვით წერია, რომ მას ჩამოუყალიბდა არასწორი რწმენა, რომ მსუქანია.

ფეხბურთელი აღიარებს, რომ იანვრიდან მოყოლებული ჩვეულებრივ დღეებში ორ აბს სვამდა, თამაშის დღეებში კი მედიკამენტს ერიდებოდა, რადგან იგრძნო, რომ ის დაღლილობას ინვევდა. ამასთან, ტურე გულუბრყვილო ადამიანიც ყოფილა. მან სცადა, ისევ და ისევ ცოლის მეგობრის საშუალებით გაერკვია, იყო თუ არა ფეხბურთელებისთვის ამ აბების მიღება ნებადართული. ამისათვის ცოლის მეგობარი სხვადასხვა კლინიკებში რეკავდა, აბებს უგზავნიდა და დასკვნას ეკითხებოდა.

თუმცა, ტურე იმასაც ამბობს, რომ ერთხელ, სასტუმროში, რომელიღაც მატჩის წინ, მედიკამენტი „მანჩესტერ სიტის“ ექიმ **ჯეიმს ბატლერს** აჩვენა და ექიმმა უპასუხა, რომ ამ აბების მიღებაში ცუდი არაფერია.

● მანჩესტერ იუნაიტედი

ნანი იანგის ბუკავს დახევს?

ეშლი იანგი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 20 მილიონ ფუნტად „ასტონ ვილადან“ **ეშლი იანგი** იყიდა, რის შემდეგაც ზაფხულის სატრანსფერო დანახარჯი 55 მილიონ ფუნტამდე გაეზარდა. ამ მაჩვენებლით ინგლისის ჩემპიონი კონკურენტებს, ჯერჯერობით, ძალიან უსწრებს. შეადარეთ: „ლივერპულმა“ **ჯორდან ჰენდერსონში** 20 მილიონი ფუნტი გადაიხადა, „არსენალის“ ნასყიდობა კი სასაცილოა — „ჩარლტონ ატლეტიკის“ მცველ **კარლ ჯენკინსონში** მან მხოლოდ 1 მილიონი ფუნტი გაიღო. განსაკუთრებით გასაკვირი კი ტრადიციული „ფულის ტომრების“, „ჩელსის“ და „მანჩესტერ სიტის“ პასიურობაა. რუსი ოლიგარქის და არაბი მენავთობეების კლუბებს ჯერ თითო პენიც კი არ დაუხარჯავთ.

რაც შეეხება „იუნაიტედის“ თავკაცს სერ **ალექს ფერგიუსონს**, ის ახალი გუნდის აგებას აპირებს და ამიტომაც შეუდგა საზაფხულო საქმეებს დიდი ენთუზიაზმით. 25 წლის იანგი „ქერინგტონის საწვრთნელ ბაზაზე“ „იუნაიტედის“ ექიმებმა შეამოწმეს და შემდეგ ხელშეკრულებაც გაფორმდა. გარემარბად და დამხმარე თავდამსხმელად ცნობილი მოთამაშე „ოლდ ტრეფორდზე“ ოთხ წელიწადს დაჰყოფს.

შეგახსენებთ, რომ ეშლი იანგამდე ერთი დღით ადრე ფერგიუსონმა 16,5 მილიონ ფუნტად „ბლეკბერნიდან“ 19 წლის **ფილ ჯონსი** იყიდა, ხოლო მესამე, ვისაც ინგლისური გაზეთები მანჩესტერელთა ზაფხულის შენაძენს უწოდებენ, მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარე, 20 წლის **დავიდ დე ხეაა**. ინგლისში წერენ, რომ ამ ტრანსფერს წყალი არ გაუვა, თავად დე ხეა კი დაჟინებით იმეორებს, „იუნაიტედში“ ჩემი გადასვლის შესახებ არაფერი გამიგიაო.

„სანამ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი არ დამთავრდება და ცოტა არ დავწყნარდები, ვერაფერს ვიტყვი. წარმოდგენა არ მაქვს, რანაირი მეკარეები მოსწონს ალექს ფერგიუსონს. მე ჩვეულებრივი მეკარე ვარ. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ „ატლეტიკოს“ კარში დგომა ერთია, „იუნაიტედის“ კარში დგომა კი მეორე. ამიტომაც ვამბობ, რომ ჯერ არაფერი ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს, რა თვისებების მქონე გოლკიპერი სჭირდებათ მანჩესტერში“.

საერთოდ, ცნობილია, რომ ალექს ფერგიუსონი სატრანსფერო საქმეებს ზაფხულის დასაწყისშივე ითავებს, თუმცა ინგლისელ ჟურნალისტთა აზრით, წლეულს ის ზედმეტად ჩქარობს. პრემიერლიგის ჩემპიონატი ხომ სულ რაღაც ორი კვირის დასრულებულია, მეტის კი არა. თუმცა, ჩემპიონობის მიუხედავად ფერგიმ კარგად იცის, რომ გუნდს გადახალისება სჭირდება და ამ საქმეს არ ახანებს. გასულ სეზონში მას ყველაზე მეტად ცუდი დასაწყისი და სტუმრად მიღწეული შედეგები არ მოეწონა. ამბობენ, რომ შეშფოთებულმა ფერგიმ ზამთარშივე უთხრა „იუნაიტედის“ ამერიკელ მეპატრონე **გლეიზერებს**, ჩემპიონატი რომ დამთავრდება, ახალი ფეხბურთელების საყიდლად ბლომად ფული დამჭირდებაო.

ერთადერთი კითხვა, რომელიც ეშლი იანგის ტრანსფერმა გააჩინა, **ნანის** მომავალს უკავშირდება. 24 წლის პორტუგალიელი გარემარბი, რომელიც თანაგუნდელებმა გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, იანგმა შესაძლოა შეავიწროვოს. იმასაც ამბობენ, რომ ის შეიძლება სხვა გუნდში გადავიდეს.

ილია ბაბუნაშვილი

● მილანი

კლარენს ზეედორფი

ზეედორფს გულმა უკარნახა

იტალიური პრესა აქტიურად იწერებოდა იმის შესახებ, რომ **კლარენს ზეედორფის** გადაბირება ბრაზილიურ კლუბებს სურთ და თითქოს არც თავად ფეხბურთელი იყო მოვლენათა ასეთი განვითარების წინააღმდეგი. მეტიც, ჟურნალისტთა ნაწილი იმასაც კი ამტკიცებდა, შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია და 35 წლის ჰოლანდიელი „კორინთიანსში“ გააგრძელებს კარიერასო. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა, ზემ გაახანგრძლივა ხელშეკრულება „მილანთან“‘ და მიღებული გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნა:

“კლუბის მესვეურებს შევხვდი და გადავწყვიტე, რომ უნდა გამეხანგრძლივებინა ხელსერულება. მათ ვერ მომცეს ვერანაირი გარანტია, რომ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასეთი გარანტია არც არაფერში მჭირდება. ჩემი სურვილია, რომ ვიყო ნაწილი იმ გუნდის, რომელიც ჩემს მეორე ოჯახად იქცა. მსურს სუდეტო შევინარჩუნო და ჩემპიონთა ლიგა მოვიგო, რაც სავსებით რეალურად მეჩვენება. ასე რომ, გადაწყვეტილება გულის კარნახით მივიღე”.

ზეედორფმა განვლილ ბატალიებზე ისაუბრა და გასული სეზონი შეაჯამა: “გასულ სეზონში მცირე ჩავარდნებიც გვქონდა, თუმცა მთლიანობაში სტაბილურად ვიასპარეზეთ და შედეგად, სუდეტო მოვიპოვეთ. ეს დიდი გამარჯვებაა და ბუნებრივია, საბოლოო რეზულტატით ყველანი კმაყოფილნი დავრჩით. გვქონდა რთული პერიოდებიც და პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგაში „ტოტენჰემთან“ გამართული მილანური მატჩი მახსენდება. გუნდი გადაღლილი იყო. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და ამან ჩვენს თამაშს დიდი დაღი დაასვა. დარწმუნებული ვარ, სხვა დროს და სხვა ვითარებაში ლონდონელებს შანსი არ ექნებოდათ”.

ლაშა წიკლაური

● იუვენტუსი

ლუკა ტონი

ლუკა ტონი გაურკვევლობაშია

ლუკა ტონი აცხადებს, რომ ჯერ კიდევ არ იცის, სად იასპარეზებს მომდევნო სეზონში. მთავარი სიტყვა **ანტონიო კონტემ** უნდა თქვას, რომელიც უახლოეს დღეებში შეუდგება ახალ გარემოში საქმიანობას. სანამ ახალგაზრდა სპეციალისტი რამეს გადაწყვეტდეს, ტონიმ ჟურნალისტებთან გასაუბრება მოისურვა და ყველაფერთან ერთად, კონტეს შესახებ გამოთქვა მოსაზრება:

„კონტეს მუშაობას ინტერესით ვადევნებდი თვალს და მის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი. გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე სპეციალისტია, რომელმაც კრიზისში მყოფი გუნდები ჩაიბარა და ელიტარულ დივიზიონში გადაიყვანა. ჩემი აზრით, ეს არანაკლებ რთულია, ვიდრე გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრისთვის, ან თუნდაც სკუდეტოსთვის აბრძოლო. ვფიქრობ, ტურინული კლუბის მესვეურებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან კონტე ის სპეციალისტია, რომელიც ახალ ენერგიას შთაბერავს გუნდს. რაც შეეხება პირადად ჩემს მომავალს, ჯერჯერობით გაურკვევლობაში ვარ. ჩემი სურვილია, დავრჩე ტურინში და „იუვენტუსში“‘ გავაგრძელო ასპარეზობა. კონტესთან ჯერ არ მილაპარაკია, იმედია, მისი და ჩემი აზრები ერთმანეთს დაემთხვევა“.

34 წლის ფორვარდს მისი „ჯენოაში“ შესაძლო დაბრუნების შესახებ დაეკითხნენ, რაზეც შემდეგი პოზიცია დააფიქსირა: „გენუელებს მართლაც სურთ ჩემი დაბრუნება, რაც ძალიან სასიამოვნოა. „ჯენოა“ ამბიციური გუნდია, რომელსაც მაღალი ადგილებისთვის შეუძლია ბრძოლა. ვიცი, რომ იქაური გულშემატკივრები ჩემს დაბრუნებას მხარს უჭერენ, რაც ძალიან მახარებს. საერთოდ, „ჯენოას“ შესანიშნავი ტიფოზები ჰყავს, რომლებიც სტადიონზე საოცარ ატმოსფეროს ქმნიან. მიუხედავად ამისა, მაინც ტურინში მსურს დარჩენა და იმედია, ეს ასეც მოხდება“.

ამასობაში, სულ უფრო და უფრო აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, უახლოეს პერიოდში „იუვენტუსს“ **სებასტიან ჯოვინკო** დაუბრუნდეს. ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ 24 წლის შემტევმა „პარმაში“ დარჩენის სურვილი გამოთქვა და მიზეზად ის დაასახელა, რომ ტურინში არ ენდობიან. თუმცა, ბოლო პერიოდში ვითარება აშკარად შეიცვალა და ეს „ვეკია სენიორას“ ახალი მთავარი მწვრთნელის, ანტონიო კონტეს დამსახურებაა. იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, კონტე თავად შეეხმიანა ჯოვინკოს და მას ტურინში დაბრუნება სთხოვა, რამაც ახალგაზრდა ფეხბურთელი ძალიან გაახარა.

ჯოვინკოს სატრანსფერო უფლებების ნახევარს „იუვენტუსი“ ფლობს, მეორე ნახევარს კი „პარმა“ - შესაბამისად, ფეხბურთელის სრულად გამოსასყიდად ტურინელებს გარკვეულ დათმობაზე მოუწევთ წასვლა. ყველაზე რეალური ვარიანტია, რომ „იუვეს“ მესვეურებმა **კარვალიო ამაური** დაუტოვონ ემილიელებს და სწორედ ამ გზით დაიბრუნონ სება. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

ლაშა წიკლაური

● სავარაუდო ტრანსფერი

სანტონის ახალი ვარიანტი

დავიდ სანტონი

დავიდ სანტონის საკითხი კვლავ ჰაერშია გამოკიდებული – 20 წლის მცველი "ინტერის" საკუთრებაა, თუმცა გასული სეზონის მეორე ნახევარი "ჩეზენაში" გაატარა და როგორც თვითონ აცხადებს, ლომბარდიის დედაქალაქში სურს დაბრუნება. „ბიანკონერის“ მესვეურებსაც სურთ დავიდეს შენარჩუნება, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე რეალობა: მილანელები ნიჭიერი მცველის სანაცვლოდ თხუთმეტ მილიონ ევროს ითხოვენ, რისი გადახდის საშუალებაც მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბის მესვეურებს არ აქვთ. მხარეებისთვის ყველაზე უფრო მისაღები საბარტერო შეთანხმება იქნებოდა, რომელიც სანტონის „ჩეზენაში“, ხოლო **ნაგატომოს** „ინტერში“ დარჩენას გულისხმობს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავიდ მოვლენათა ასეთი განვითარების წინააღმდეგია.

რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმეში „იუვენტუსის“ მესვეურები ჩაერთვნენ და თითქოს ათი მილიონი ევროს გადახდაზე განაცხადეს თანხმობა, თუმცა მოგვიანებით ტურინელებმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. გუშინ კი სრულიად ახალი ცნობა გავრცელდა, რომლის მიხედვითაც სანტონის გადაბირების სურვილი "ნაპოლიმ გამოთქვა. **ვალტერ მაძარი** მარჯვენა მცველს ეძებს და მისი აზრით, დავიდე იდეალური ვარიანტი იქნებოდა. **აურელიო დე ლაურენტისი** უკვე შეუდგა საქმეს და მილანელ კოლეგას შეეხმიანა კიდეც, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რით დასრულდა ეს დიალოგი. უახლოეს დღეებში, წესით, გარკვეული კონტურები უნდა გამოიკვეთოს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ „ნაპოლის“ მესვეურებსა და **კრიასტიან მაჯოს** შორის სერიოზული გაუგებრობაა - მაჯო სწორედ მარჯვენა ფლანგზე ასპარეზობს, ხან მცველია, ხანაც ნახევარმცველი და თუ გუნდის დატოვებამ მოუწია, მისი ღირსეული შემცვლელის მოძიება იქნება საჭირო. თუ რატომ შეიძლება დატოვოს მაჯომ „ნაპოლი“, ამის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ - კრისტიანის კონტრაქტს ვადა გასდის, მის გახანგრძლივებას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდება, თუ ხელფასი ორჯერ გაეზრდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

ლაშა წიკლაური

● სკუადრა აძურა

აბიატის იმედი მიეცა

კრისტიან აბიატი

"მილანის" კარის დარაჯმა, **კრისტიან აბიატიმ** დიდი იმედი გამოთქვა, რომ **ჩეზარე პრანდელი** მას ყურადღებას მიაქცევს და ეროვნულ ნაკრებში გამოიძახებს. 33 წლის კიპერი თურმე ბავშვობიდან ოცნებობს "აძურას" კარის დაცვაზე და მას შემდეგ, რაც ნაკრებს **ჩეზარე პრანდელი** ჩაუდგა სათავეში, დიდი იმედები მიეცა. სხვა მწვრთნელების არ იყოს, ჯერჯერობით არც ჩეზარე წყალობს აბიატის, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, სერია A-ს გასული სეზონის უდავოდ საუკეთესო კიპერი იმედებით აღივსო - პრანდელი მას სრულიად შემთხვევით შეხვდა ერთ-ერთ რესტორანში და დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში მას აუცილებლად მისცემს შანსს. იტალიის ეროვნული ნაკრების მესაჭესთან დაუგეგმავ და მოულოდნელ შეხვედრას აბიატი ასე იხსენებს:

"ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა ჩემი ოცნებაა, რომელიც იმედია რეალობად იქცევა. პრანდელის პირადად არ ვიცნობდი და როგორც იქნა, ამის საშუალება მომეცა. მილანის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში სრულიად შემთხვევით შევხვდი, კარგა ხანს ვისაუბრეთ და გამომიტყდა, რომ უახლოეს მომავალში ჩემს გამოძახებას აპირებს.. ძალიან მინდა, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მეც მივიღო მონაწილეობა და ეროვნულ გუნდს სამსახური გავუწიო - ასე რომ, სენიორ ჩეზარეს სიტყვებმა უზომოდ გამახარა. დეტალურად ამიხსნა თუ როგორი კიპერები სჭირდება და ვეცდები, მისი გემოვნება ბოლომდე დავაკმაყოფილო. ცდას არ დავაკლებ და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს".

ლაშა წიკლაური

● ამხანაგური მატჩი

მეორე არაამხანაგური

პოლონეთი-საფრანგეთი 0:1

პოლონეთი: შჩესნი - იოდლოვეკი, ვოიტკოვიაკი, ვავჟინიაკი, პიშჩეკი, დუტკა, ობრანიაკი (პავლოვსკი 88), მურავსკი, ბლაშჩიკოვსკი (ბრუჟეკი 87), ლევანდოვსკი, მერზიევსკი (მატუშჩიკი 79)

საფრანგეთი: კარასო – ევრა, აბიდალი, კაბული (რამი 37), სანია, ალუ დიარა (დიაბი 46), ვალბუენა (მალუდა 73), კაბაი (მვილა 46), ნზოგბია (რემი 73), მარტენი, ოარო (გამეირო 78)

გოლი: იოდლოვეკი 14 (0:1) ავტოგოლი

პოლონეთთან ფრანგებს ერიკ აბიდალი კაპიტნობდა

საფრანგეთის ნაკრებმა 2011 წლის ზაფხულზე სწორედ იმ ქვეყნებში იმოგზაურა (ბელარუსში ვიზიტის შემდეგ), სადაც მოხვედრა მომავალი წლისთვის უფრო მეტად უნდა. ამ ეტაპზე ძალების მობილიზება და ადგილზე მდგომარეობის შესწავლა მათ სამომავლოდ ნამდვილად წაადგებათ. უკრაინასთან დონეცკში გამართული შეხვედრა "სოშოს" 23 წლის ნახევარმცველის **მარვენ მარტენის** ტრიუმფით დასრულდა. მონბელიარელ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში უფრო შთამბეჭდავი დებიუტი გამოუვიდა, ვიდრე 17 წლის წინ **ზინედინ ზიდანს**. მართალია 1994 წელს მარტენის მსგავსად ზიზუმ საფრანგეთისთვის ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ის დაპირისპირება ჩეხებთან ფრედ დასრულდა. მარტენმა კი დუბლის გარდა საგოლე გადაცემაც მითვალა. მარვენი სულ რამდენიმე წუთში გახდა სასალხო გმირი, არადა 2010 წლის ოქტომბერში რამდენიმე დღე მის სახლთან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული მცირე მიტინგები იმართებოდა მას მერე, რაც სოშოელმა კლუბის ოფიციალურ საიტს განუცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების ატანა არ აქვს. ტოლერანტულმა ფრანგულმა საზოგადოებამ ფეხბურთელს გულწრფელობა ვერ აპატია.

მინსკისა და დონეცკის შეხვედრებისგან განსხვავებით, სადაც ფრანგები გოლს პირველები უშვებდნენ და მდევრის როლში რჩებოდნენ, ამ შემთხვევაში "ლე ბლეს" უპირატესობა მთელი 90 წუთის განმავლობაში ხელიდან არ გაუშვია. მატჩის პირველი მომენტი დებიუტშივე შეიქმნა. ლილელმა **ლუდოვიკ ობრანიაკმა** თამაშის წესები დაარღვია. საჯარიმო **პატრის ევრამ** პირდაპირ **იუნეს კაბულს** ჩააწოდა თავზე. მისი დარტყმული კი მიზანს ოდნავ ასცდა. ევრა ვახსენეთ და... უნდა აღინიშნოს, რომ **ლორან ბლანმა** მატჩის ბედი ლამის სულ მთლად დუბლიორებს ანდო. მანჩესტერელი კი ამ შემადგენლობაში იმიტომ მოხვდა, რომ მთავარი მწვრთნელის ნდობით ვეღარ სარგებლობს. მეტიც, ნაკრების ყოფილი კაპიტანი ხშირად სანაკრებო შეკრების მიღმა რჩება ხოლმე და თუ უხმეს, ძირითადში იშვიათადღა ჩნდება. ეს ყველაფერი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო. პატრისმა ნდობა სწორედ მუნდიალზე ჩადენილი ცუდი საქმეებისთვის დაიმსახურა (შეგახსენებთ, რომ ის ბუნტის მთავარი ორგანიზატორი იყო). ახლა ის ბლანის მესამე მარცხენა მცველიღაა.

მე-14 წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი გავიდა. **შარლ ნზოგბიამ** ბურთი **ბაკარი სანიასგან** მიიღო, შეიწია ცენტრისკენ და მძლავრად დაარტყა **ვოიცეხ შესნის** კარში. "არსენალის" კარის დარაჯი ბურთს ნამდვილად აიღებდა, რომ არა პოლონელი მცველის **ტომაშ იოდლოვეკის** "თავგანწირვა". ბურთი მას მოხვდა, ფრენის მიმართულება შეიცვალა და შესნი "გაღიმებული" დატოვა. ავტოგოლის ავტორს მეორე ტაიმში თავის გამოჩენა საჭირო მიმართულებითაც შეეძლო, მაგრამ მისმა დარტყმულმა მიზანს ვერ უწია. ერთადერთი, ვინც მასპინძელთა შორის 90 წუთის განმავლობაში თავდადებით ცდილობდა თამაშის ბედის შეცვლას, ლუდოვიკ ობრანიაკი იყო. დროული მოქმედების წყალობით პირველ ტაიმში მან სტუმართა ორი პერსპექტიული შეტევა ჩაშალა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ თამაშის ხასიათი არაფრით არ ჰგავდა ამხანაგურს. მატჩის არბიტრს წესების უხეში დარღვევის გამო შეხვედრის გაჩერება ხშირად უხდებოდა.

ამრიგად საფრანგეთის ნაკრებმა აღმოსავლეთევროპული ტურნე წარმატებით ჩაამთავრა - მოიგო სამიდან ორი მატჩი და ერთი კი ფრედ ითამაშა.

● ფრანგული ამბები

პსჟ თუ ვალენსია?

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "ლორიანის" თავდამსხმელმა **კევინ გამეირომ** "ნიუკასლში" კარიერის გაგრძელებაზე უარი თქვა. არადა, ჩრდილოინგლისელები ყველაზე სოლიდური თანხის გადახდას იყვნენ ყაბულს. როგორც ჩანს, მისმა მაღალმა ფასმა ("ლორიანი" მასში 17 მილიონს ითხოვს), სხვა მთხოვნელები დააფრთხო და ფეხბურთელის თქმით, ის და მისი აგენტი ახლა ორ რეალურ წინადადებაზეღა ფიქრობენ – აღნიშნულ თანხას "ვალენსია" და პსჟ ჩამოდიან. *"საკუთარ მომავალთან დაკავშირებით გადაწყეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებ. ვადასტურებ, რომ ორიდან ერთ-ერთის, პსჟ-ს ან "ვალენსიის" წინადადებას მივიღებ. ეს კლუბები ბოლო წლებში სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობენ და ამით მოხიბლული ვარ, მაგრამ პირველ რიგში "ლორიანის" ხელმძღვანელობა უნდა დათანხმდეს ამ ტრანსფერს,"* - განუცხადა ფეხბურთელმა goal.com–ს.

არის! მომავალი სეზონისთვის "პარი სენ-ჟერმენმა" პირველი ფეხბურთელი შეიძინა. მოგეხსენებათ კლუბს და მთლიანად ფეხბურთს გამოეთხოვა ვეტერანი **გრეგორი კუპე** და პარიზელებმა მის ნაცვლად "რენის" ძირითადი მეკარე **ნიკოლას დუშეზი** შეიძინეს. 31 წლის მეკარე ბრეტონულ კლუბში ბოლო სამი სეზონი სტაბილურად ასპარეზობდა. 2008 წლიდან დღემდე მან "რენის" მხოლოდ სამი მატჩი გამოტოვა ტრავმების გამო. ნიკოლასთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ დუშეზმა ბავშვობა პარიზთან ახლოს სენ დენის დეპარტამენტის პატარა ქალაქში გაატარა და მისივე თქმით, ბავშვობაში "პარკ დე პრენსზე" ხშირად დადიოდა მატჩების საყურებლად. ნიკოლასი **ლორან ბლანმა** ნაკრებში რამდენჯერმე უკვე იხმო, მაგრამ ჯერ მას დებიუტის შანსი არ მისცემია.

"სოშოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს: "ბორდოში" გადასული **ფრანსის ჟიიოს** მაგივრად კლუბის ხელმძღვანელობამ 50 წლის ბოსნიელ სპეციალისტ **მეჰმეტ ბაზდარევიჩს** უხმო, - გვამცნობს "როიტერი". ბაზდარევიჩი ფრანგულ ფეხბურთში ცნობილი პერსონაა, მას ლიგა 1-ში "ისტრი" და "გრენობლი" ჰყავს გადმოყვანილი.

მარსელის "ოლიმპიკმა" კი კლუბში ჩასატარებელი დიდი რეორგანიზაციის შესახებ გამოაცხადა. ახალ რელსებზე გადასვლას კლუბის პრეზიდენტი **ჟან კლოდ დასიე** შეეწირა. დირექტორთა საბჭომ ის დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. სამაგიეროდ, იმავე საბჭომ აღმასრულებელ დირექტორად **ვენსან ლაბრიუნი** დაამტკიცა, ხოლო სპორტულ დირექტორად **ჟოზე ანიგო**. ამას გარდა, კლუბმა შეკვეცა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად "მარსელის" მმართველობა 27 ივნისს კიდევ ერთხელ შეიკრიბება.

პსჟ ნიკოლა დუშეზით გაძლიერდა

● დოპინგსკანდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლოა, გილერმე ოჩოას ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცენ

მექსიკელები გამოიჭირეს

"ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, მექსიკის ნაკრების ხუთ ფეხბურთელს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის, რადგან მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებმა მათ სისხლში აკრძალული პრეპარატი კლენბუტეროლი აღმოაჩინეს. დოპინგზე დადებითი პასუხი მიიღეს მეკარე **გილერმე ოჩოამ**, მცველებმა **ფრანსისკო როდრიგესმა** და **ედგარ დუენესმა**, ასევე ნახევარმცველებმა **კრისტიან ბერმუდესმა** და **ანტონიო ნაელსონმა**.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დესიო დე მარიამ** ივარაუდა, რომ ფეხბურთელების სისხლში ეს ნივთიერება შეიძლებოდა გაფუჭებული ხორციდან მოხვედრილიყო. შეუძლებელია არ გაგახსენდეს, რომ სწორედ ასე ცდილობდა თავის მართლებას ლეგენდარული ესპანელი ველომრბოლი **ალბერტო კონტადორი**, თუმცა უფლებამოსილმა ორგანოებმა მას დისკვალიფიკაცია მაინც მისცეს.

"თუკი საქმის გამოძიების შემდეგად დადგინდა, რომ ამ ფეხბურთელებმა ნაკრების საექიმო შტაბის ნებართვის გარეშე მიიღეს კონკრეტული ნივთიერება და სისხლში კლენბუტეროლის არსებობა ამის დამსახურებაა, ჩვენი ფედერაცია იქნება პირველი, ვინც მათ წინააღმდეგ უმკაცრეს სანქციებს გამოიყენებს. შესაძლოა მათ ორწლიანი დისკვალიფიკაციები მივცეთ," – განაცხადა დე მარიამ.

დოპინგსკანდალის გამო კონკაკაფის თასზე მექსიკა-სალვადორის მატჩის (5:0) შედეგი შეიძლება გაუქმდეს.

● ამბები

ჩიგრინსკის ჯიდევ ერთი ოპერაცია

რამდენიმე დღის წინ "შახტარისა" და უკრაინის ნაკრების დაცვის ლიდერ **დმიტრო ჩიგრინსკის** მიუნხენის ერთ-ერთ კლინიკაში მორიგი ოპერაცია გაუკეთეს და ფეხიდან მეტალის ფირფიტები ამოუღეს. თუმცა ეს დაგეგმილი ქირურგიული ჩარევა იყო და სარეაბილიტაციო კურსს ის არ გაახანგრძლივებს. დოქტორმა **ჰანს მიულერ-ვოლფარტმა** (ის "ბაიერნის" მთავარი ექიმი გახლავთ) განაცხადა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ყველაფერი კარგა ხნის წინ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარიმართება. სავარაუდოა, რომ დმიტრო მიუნხენში კიდევ 10 დღე დარჩება და ამის შემდეგ "შახტარს" ავსტრიის ქალაქ გოინგში დაგეგმილ შეკრებაზე შეუერთდება. ბუნებრივია, გუნდთან ერთად მისი ვარჯიში ჯერ არ იგეგმება.

ახალი მწვრთნელი ლა ლიგაში

ლა ლიგის "ლევანტეს" მომავალ სეზონში ესპანური ელიტური ლიგის დებიუტანტი მწვრთნელი **ხუან იგნასიო მარტინესი** უხელმძღვანელებს. ბოლო სეზონში ამ გუნდს სათავეში **ლუის გარსია** უდგა, თუმცა მან ფეხი დაკრა და "ხეტაფეში" წავიდა. 39 წლის მარტინესი აქამდე სეგუნდა დივიზიონის "კარტახენას" ედგა სათავეში. ვალენსიელებმა ახლა დამრიგებელთან კონტრაქტი 1+1 წესით გააფორმეს.

სკანდალი გრძელდება

ფიფასთან დაკავშირებულ კორუფციულ სკანდალს ბოლო არ უჩანს. სურინამის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუის გისკასმა** განაცხადა, რომ ტრინიდადში გამართული კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა შეკრებისას მან მართლა მიიღო ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატ **მოჰამედ ბინ ჰამამისგან** 40 ათასი დოლარი, მაგრამ არა პირადი სარგებლობის, არამედ რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის და შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან ეს თანხა ფედერაციის ანგარიშზე გადარიცხა.

თავად იმსჯელეთ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ კანდიდატს ასეთი გზებით ამომრჩეველთა მოხიბვლის უფლება ჰქონდა თუ არა.

ოვერმარსი შინ დაბრუნდება

მომავალ კვირაში "აიაქსის" დირექტორთა საბჭო განიხილავს კლუბის სტრუქტურებში ვეტერანი ფეხბურთელის **მარკ ოვერმარსის** შესაძლო დანიშვნის საკითხს. ის ამჟამად მშობლიური "გოუ ეჰედ იგლზის" ტექნიკური დირექტორია. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: *"მოხარული ვარ, რომ ჩემი სამსახურით დიდი კლუბი დაინტერესდა. ესეც რომ არა, "აიაქსი" ის ადგილია, რომელსაც ჩემს მეორე სახლად მივიჩნევ. 38 წლის ვარ და კარგი შანსი მეძლევა კარიერის განვითარებისთვის, თუმცა ამჟამინდელი სამსახურიც ძალიან მიყვარს და წინასწარ რაღაც კონკრეტულ გეგმებზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია".*

მარკმა პირველი ნაბიჯები სწორედ "იგლზში" გადადგა, შემდეგ "ვილემ II-ში" გადავიდა, დიდი კარიერა კი "აიაქსში" დაიწყო. ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ და სწრაფ გარემარბს უთამაშია ასევე "არსენალსა" და "ბარსელონაშიც". ოვერმარსმა 2004 წელს 30 წლისამ დაანება ფეხბურთის თამაშს თავი, თუმცა გულმა არ მოუთმინა და 2008-ში ერთი სეზონი ჰოლანდიის მეორე ლიგაში მოასპარეზე მშობლიურ კლუბში გაატარა, რის შემდეგაც სწორედ "იგლზის" სტრუქტურებშია დასაქმებული.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● გერმანია. სეზონის ლაურეატები



ნური შაჰინი და მარიო გიოტცე

შაპინი პირველია, გიოტცე მეორე

დორტმუნდიდან მადრიდში გადასული თურქი ნახევარმცველი კოლეგებმა სეზონის ფეხბურთელად დაასახელეს

ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ, ბუნდესლიგის ფეხბურთელთა გაერთიანება პირველ, მეორე და მესამე ბუნდესლიგების მოთამაშეებს შორის მასშტაბურ გამოკითხვას ატარებს და სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს ავლენს ხოლმე. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და გამარჯვებულიც გამოვლინდა: გერმანიაში მოთამაშე ფეხბურთელებმა 2010/2011 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დორტმუნდის „ბორუსიას" თურქი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** დაასახელეს – როგორც იცით, ეს უკანასკნელი ახლახან მადრიდის „რეალში" გადავიდა და მომავალი სეზონიდან სწორედ „სამეფო გუნდში" ითამაშებს.

შაჰინმა, რომელიც თურქეთის ნაკრების ლიდერია, ხმების 30.3 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე კი მისი თანაკლუბელი და გასული სეზონის მთავარი აღმოჩენა, „ბორუსიას" 19 წლის ნახევარმცველი, გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხილი **მარიო გიოტცე** გავიდა, რომელსაც ხმათა 16.1 პროცენტი ერგო. მესამე ადგილი კი „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა **მარიო გომესმა** დაიკავა (12.9%).

გამოკითხვა მხოლოდ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას როდი ისახავდა მიზნად. გერმანიის ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებმა წლის მთავარ აღმოჩენად, როგორც მოსალოდნელი იყო, მარიო გიოტცე დაასახელეს, რომელმაც ეს სტატუსი უდიდესი უპირატესობით მოიპოვა – გიოტცემ ამ კატეგორიაში ხმების 83.6 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე „მაინცისა" და გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **ანდრე შიურლე** გავიდა, რომელმაც ხმების მხოლოდ 3.1 პროცენტი მიიღო, მესამეზე კი „ნიურნბერგის" ყოფილი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი** (2.5%), რომელიც დორტმუნდში გადავიდა და იქ ნური შაჰინს შეცვლის.

რაც შეეხება სეზონის საუკეთესო მწვრთნელს: ცხადია, ეს წოდება „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ასევე უდიდესი უპირატესობით მიიღო (70.4%). მეორე ადგილზე „ჰანოვერის" მწვრთნელი **მირკო სლომკა** გავიდა (11.3%), მესამეზე კი „მაინცის" დამრიგებელი **თომას ტუხელი** (5.0%).

გამოკითხვის შედეგად შედგა სეზონის სიმბოლური ნაკრებიც, რომელიც კლასიკური 4-4-2 ტაქტიკური სქემით ასე გამოიყურება: მანუელ ნოიერი (შალკე) – ფილიპ ლამი (ბაიერნი), ნევენ სუბოტიჩი (ბორუსია დ), მარსელ შმელცერი (ბორუსია დ) – არიენ რობენი (ბაიერნი), ნური შაჰინი (ბორუსია დ), არტურო ვიდალი (ლევერკუზენი), მარიო გიოტცე (ბორუსია დ) – მარიო გომესი (ბაიერნი), პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი).

რეკორდი: 42 000 მაყურებელი საშუალოდ ერთ მატჩზე!

ამასობაში, ბუნდესლიგა მაყურებლების რაოდენობის მხრივ რეკორდებს რეკორდებზე ამყარებს. გასული სეზონის მონაცემებით, გერმანიის ჩემპიონატმა საშუალოდ ერთ მატჩზე დასწრების მხრივ, თავისივე რეკორდი კიდევ უფრო გააუმჯობესა. გერმანიის საფეხბურთო ლიგის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ბუნდესლიგის გასულ სეზონში საშუალოდ ერთ მატჩს 42 101 მაყურებელი ესწრებოდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროპის მასშტაბით. რეკორდსმენი შარშანაც ბუნდესლიგა იყო, ოღონდ შედარებით უარესი მაჩვენებლით: საშუალოდ 41 905 მაყურებელი ერთ მატჩზე.

საერთო ჯამში, გერმანიის საფეხბურთო ლიგამ პირველი ბუნდესლიგის მასშტაბით 12.88 მილიონი მაყურებელი დაითვალა. შარშან ეს მაჩვენებელი 12.79 მილიონი იყო, რაც 0.7-პროცენტიან ზრდას ნიშნავს. გაუმჯობესდა სეზონური აბონემენტების გაყიდვების რაოდენობაც – 58-დან 60 პროცენტამდე. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ბუნდესლიგის მატჩზე დასასწრები ერთი ბილეთის საშუალო ფასი 22.75 ევროა.

„ბოლო ათ წელიწადში ეს უკვე მე-9 შემთხვევაა, როცა ბუნდესლიგას მთელი ევროპის მასშტაბით ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გერმანიის ჩემპიონატის პროგრესს და იმ ბუმს, რომელიც ბუნდესლიგაში უკვე წლებია შეინიშნება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი სტადიონები და ინფრასტრუქტურა საუკეთესოა ევროპაში და რომ ბუნდესლიგა საუკეთესო სანახაობის გარანტიაა," - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე **კრისტიან ზაიფერტი** და იქვე დასძენს, ბუნდესლიგაში 94-პროცენტიანი დასწრებაა, რაც უდავოდ იდეალური შედეგიაო.

● დორტმუნდის ბორუსია

კლოპის მორიგი მარგალიტი

ბორუსია ავსტრალიელ ტოპ-ტალანტ ამინის სულ რაღაც 250 000 ევროდ ყიდულობს

თუ ასე გაგრძელდა, დორტმუნდის „ბორუსია" ევროპაში ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მთავარი ნავსაყუდელი გახდება. BVB ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდული გუნდით გახდა გერმანიის ჩემპიონი და გუნდის მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ახალ ფეხბურთელებსაც ისეთებს ყიდულობს, რომლებსაც დიდი მომავალი აქვთ. თანაც, დორტმუნდელები ტოპ-ტალანტებს ძალიან იაფად ყიდულობენ, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ უნიჭიერესი მწვრთნელი კლოპი მათგან ნამდვილ ვარსკვლავებს გამოთლის. შარშან „ბორუსიას" სუპერ-შენაძენი იაპონელი **შინჯი კაგავა** იყო, რომლის ტრანსფერი სულ რაღაც 350 000 ევრო დაჯდა, ახლა კი მინიმუმ 15 მილიონად ფასობს. წელს იგივე ბედის გაზიარებას ექსპერტები დორტმუნდელთა მორიგი შენაძენისგან ელიან, რომლის ტრანსფერი ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

საუბარია 18 წლის ავსტრალიელ ფეხბურთელ **მუსტაფა ამინიზე**, რომელიც კლოპმა მარტში სინჯებზე მიიწვია. ამინიმ იურგენს თავი იმდენად მოაწონა, რომ დორტმუნდელებმა მისი ყიდვა გადაწყვიტეს, მოლაპარაკებები კი უკვე დასასრულს უახლოვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიის 20-წლამდელთა ნაკრების ლიდერი მომავალი სეზონიდან „შავ-ყვითლებში" იასპარეზებს.

„ახლახან ამინის კლუბ „ცენტრალ ქოუსთს" მორიგი, განახლებული და გაუმჯობესებული წინადადებით მივმართეთ. დარწმუნებული ვარ, რომ დაგვთანხმდებიან და მუსტაფა „ბორუსიას" ფეხბურთელი გახდება," - ეს BVB-ს სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** სიტყვებია.

იურგენ კლოპს მუსტაფა ამინი სინჯებზე ძალიან მოეწონა

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „ბილდის" ინფორმაციით, „დორტმუნდს" ამინის ტრანსფერი 250 000 ევრო უჯდება. ამინი ნახევარმცველია და შეუძლია როგორც ფლეიმეიქერის, ისე საყრდენისა თუ გარემარბის პოზიციაზე თამაში – სწრაფია, ტექნიკური და მებრძოლი. ამინის დედა ნიკარაგუელია, მამა კი ავღანელი. მუსტაფა აცხადებს: *„თუ „ბორუსიაში" ჩავირიცხები, ჩემზე ბევნიერი ადამიანი არ იარსებებს. ძალიან მინდა, რომ ამ ბრწყინვალე კლუბის გენიალური ფანები ხშირად გავახარო და წარმატებები მათთან ერთად ვიზეიმო."*

„მუსტაფა უდიდესი ტალანტია. ტრანსფერი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და მიხარია, რომ ამინი ჩვენთან მოდის," - ეს კი თავად კლოპის სიტყვები გახლავთ.

● ვოლფსბურგი

გრაფიტე შეიხებმა გამოიძახეს

გუნდესლიგის 2009 წლის ბომბარდირი ალ აჰლიში მიდის

გუნდესლიგის სხვადასხვა სეზონების საუკეთესო ბომბარდირებზე გერმანიის საზღვრებს გარეთ საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. **ედინ ჯეკოს, მარეკ მინტალის, თეოფანის გეკასისა** და **მიროსლავ კლოზეს** შემდეგ, ბუნდესლიგას 2009 წლის საუკეთესო ბომბარდირი **გრაფიტეც** (ვოლფსბურგი) ტოვებს. ზოგადად, „მგლების" თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** „ვოლფსბურგში" სერიოზულ წმენდას მიჰყო ხელი, თუმცა გრაფიტეს გაყიდვა მის გეგმებში არ შედიოდა.

დიუმერსი მბოკანი, სისერო და **ფაბიან ჯონსონი** უკვე წავიდნენ, **საშა რიტერი, პატრიკ ჰელმესი, პეტერ პეკარიკი, თომას კალენბერგი, ქარიმ ზიანი** და **თუნჯაი სანლი** კი ჩემოდნებზე სხედან. ფაქტობრივად გადაწყვეტილია **დიეგოს** წასვლაც, რომელსაც მაგათი დასანახად ვეღარ იტანს და ამასთან, ვრცელდება არაერთი ცნობა იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, „ვოლფსბურგი" **არნე ფრიდრიხმა, სიმონ კიაერმა** და **თოლგა ჩიგერჩიმაც** დატოვონ.

გრაფიტესა და „ვოლფსბურგის" გზების გაყოფა კი უკვე გადაწყვეტილია. მართალია, რამდენიმე დეტალი ჯერ კიდევ შესათანხმებელია და ბრაზილიელმა სამედიცინო შემოწმებაც უნდა გაიაროს, მაგრამ „კიკერის" ინფორმაციით, ტრანსფერი გადაწყვეტილია და გრაფიტე კარიერას „ალ აჰლიში" გააგრძელებს. 32 წლის ფორვარდი „ალ აჰლისთან" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, „ვოლფსბურგი" კი მის სანაცვლოდ 3 მილიონ ევროს მიიღებს, რაც მაგათის გუნდისთვის ნამდვილად სარფიანი გარიგებაა.

გრაფიტე, რომელსაც „მგლებთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებდა, „ვოლფსბურგში" 2007 წელს ფრანგული „ლე მანიდან" გადავიდა, 2009 წელს კი გერმანიის ჩემპიონი გახდა, რაშიც ლომის წილი თავადვე მიუძღოდა – მან იმ სეზონში 28 გოლის გატანა მოახერხა და გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გრაფიტემ „ვოლფსბურგში" ედინ ჯეკოსთან ერთად (26 გოლი საჩემპიონო სეზონში) თავდასხმის შესანიშნავი ტანდემი შექმნა.

სამაგიეროდ, ბრაზილიელი ვეღარ ბრწყინავდა მაგათის შემცვლელების, ჯერ **სტივ მაკლარენის**, შემდეგ კი **პიერ ლიტბარსკის** ხელში, რომლებიც ბრაზილიელს აღარ სწყალობდნენ. გასულ სეზონში მან 28 შეხვედრაში მხოლოდ 9 გოლის გატანა მოახერხა, წინა სეზონში კი 30 მატჩში მხოლოდ 11-ჯერ იხეირა.

ახლა კი, როცა „ვოლფსბურგში" მაგათის მეორე ერა დაიწყო, გრაფიტეს იმედი ჰქონდა, რომ ძველ დიდებას დაიბრუნებდა, მაგრამ ბრაზილიელი ახალგაზრდა აღარ არის, რის გამოც ფელიქსი მას იოლად შეელია. თანაც, „ვოლფსბურგს" წელს მისი გაყიდვით ფინანსური ხეირის ნახვის უკანასკნელი შანსი ჰქონდა.

ყველაფერთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაგათს გუნდში საკმაოდ კარგი ფორვარდები ჰყავს. მის განკარგულებაშია **მარიო მანჯუკიჩი**, ივლისიდან კი „ვოლფსბურგში" „კაზერსლაუტერნის" გოლეადორი **სრდიან ლაკიჩიც** გადადის. ფელიქსს ჰყავს ნიჭიერი ფორვარდები **კევინ შაიდჰაუერი** და **სებასტიან პოლტერიც**.

დიეგო ჩინეთისკენ?

სიახლეებია დიეგოს საკითხშიც. ბრაზილიელს ჯერ მაგათთან გასაუბრება უნდა, თუმცა ცნობილია, რომ ფელიქსი მას არ დაიტოვებს. უახლესი ინფორმაციით, 25 წლის გამთამაშებელს ჩინეთში ეპატიჟებიან. ჩინურ მედიაში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი კლუბი დიეგოს სამწლიან კონტრაქტს და წელიწადში 5.5 მილიონ ევროს სთავაზობს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

წარწერა ფოტოზე: გრაფიტე დუბაიში მიდის, დიეგო ჩინეთში?

● ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. დანია. 11-26 ივნისი.

ხვალის ვარსკვლავები დღეს ინსულინ

მსოფლიოს ორი ჩემპიონი და ერთი ქართველი დანიაში

I ტური

11 ივნისი: ბელარუსი-ისლანდია, დანია-შვეიცარია

12 ივნისი: ჩეხეთი-უკრაინა, ესპანეთი-ინგლისი

ქალაქები და სტადიონები

ევროპის ჩემპიონატს იუტლანდიის ოთხი ქალაქი უმასპინძლებს: ორჰუსი, ოლბორგი, ჰერნინგი და ვიბორგი. ფინალურ მატჩს უმასპინძლებს ორჰუსის სტადიონი, გახსნის ოფიციალური ცერემონიალი დღეს ოლბორგში დანია-შვეიცარიის მატჩის წინ გაიმართება.

ფორმატი და ჯგუფები

სულ ორი ჯგუფია, A და B, პირველ-მეორე ადგილზე გასული ნაკრებები ნახევარფინალში გადიან. A ჯგუფში მოხვდნენ: დანია, შვეიცარია, ისლანდია და ბელარუსი, B ჯგუფში: ინგლისი, უკრაინა, ესპანეთი და ჩეხეთი. სამი საუკეთესო ნაკრები ლონდონის ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებს. ამასთან, ინგლისელებს ეს საგზური (როგორც მასპინძლებს) უკვე ჯიბეში აქვთ. ასე რომ, თუკი ისინი ნახევარფინალში ვერ გავლენ, ნახევარფინალში დამარცხებულები ერთმანეთში ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებენ. თუკი ინგლისელები გავლენ ნახევარფინალში ამ მატჩის გამართვის აუცილებლობა მოიხსნება, რადგან დანარჩენი სამი ნახევარფინალისტი ავტომატურად მოიპოვებს ოლიმპიადის საგზურს.

გუნდები

8 ნაკრებიდან ერთადერთი უკრაინის ნაკრებია წარმოდგენილი შინაურ პირველობაში მოასპარეზე ფეხბურთელებით, რომელთა შორის არის ეროვნებით ქართველი (მაგრამ უკრაინის მოქალაქე) **თემურ ფარცვანია**. ფარცვანია კიევის „დინამოს“ 19 წლის მცველია. 2009 წელს ის იყო 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონი უკრაინის კაპიტანი. ყველაზე მეტი წარმომადგენელი დანიაში ბელარუსულ ბატე-ს და უკრაინულ „დინამოს“ ეყოლება - 6-6, 5 ფეხბურთელი ბარსელონელია. ყველაზე ახალგაზრდული გუნდი შვეიცარიას ჰყავს (მათი საშუალო ასაკი 20 წელია). ესპანეთის ნაკრების რიგებში მსოფლიოს ორი ჩემპიონია: **ხუან მატა** და **ხავი მარტინესი**. ინგლისელებს დიდი დანაკლისი აქვთ, „ლივერპულმა“ **ენდი ქეროლი** არ გაუშვა ჩემპიონატზე, „არსენალმა“ **ჯეკ უილშირი** და **კირან გიბსი** (ეს უკანასკნელი განაცხადში მაინც არის, თუმცა დანიაში არ ითამაშებს).

დღეს დანიის ქალაქ ორჰუსის სტადიონი მასპინძლობს ისლანდიისა და ბელარუსის 21-წლამდელთა ნაკრებებთა მატჩს. ამით ევროპის მორიგი ახალგაზრდული ჩემპიონატი აიღებს სტარტს. დანიაში სულ 8 მონაწილეა: ბელარუსი, ჩეხეთი, დანია, ინგლისი, ისლანდია, ესპანეთი, შვეიცარია და უკრაინა. ევროპის ჩემპიონი აუცილებლად შეიცვლება, რადგან ორი წლის წინათ შვედეთში გამარჯვებული გერმანიის ნაკრების მემკვიდრე ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა. ორი წლის წინათ, ჰორსტ ჰრუბეშის გუნდმა 4:0 გაანადგურა ფინალში სტიუარტ პირსის ინგლისი და ჩემპიონი გახდა. ბევრი, მაშინდელი გამარჯვებული გუნდიდან, უკვე აღიარებული ვარსკვლავია - მაგალითად, კაპიტანი სამი ხედირა, მესუთ იოზილი, მანუელ ნოიერი, ბენედიქტ ჰოვედესი და ჟერომ ბოატენგი. მაშინ გამოჩდნენ ფართო აუდიტორიის ყურადღების ცენტრში შვედები, ოლა ტოივონენი და მარკუს ბერგი, ესპანელი პედრო ლეონი, ინგლისელები ტეო უოლკოტი, მიკა რიჩარდსი და ჯეიმს მილნერი, იტალიელები მარიო ბალოტელი და რობერტ აკვაფრესკა. მოკლედ, როგორც ყოველთვის, ასეთი ტურნირი მომავლის ვარსკვლავების სამჭედლოა და დანიაში ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება.

ის, რომ ევროპის ახალგაზრდულ პირველობას დანია უმასპინძლებდა, ნიონში 2008 წელს გადაწყდა. საკვალიფიკაციო მატჩებმა 2009 წლის მარტიდან 2010 წლის ოქტომბრამდე ჩაიარეს. მათში ოთარ გაბელიას გუნდიც მონაწილეობდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები მეორე ქვეჯგუფში თამაშობდა, საიდანაც საბოლოოდ შვეიცარიის ნაკრებმა გააგრძელა ბრძოლა და ფინალშიც მოხვდნენ. ჩვენებს ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზიათ - 10 მატჩიდან 4 მოიგეს, 3 ფრედ დაასრულეს, 3 წააგეს (12-9) და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრებიდან 2-2 გოლი ჯანო ანანიძემ და გიორგი ივანიშვილმა გაიტანეს, თითო - რევაზ ბარაბაძემ, გიორგი გუგავამ, ვახტანგ კვარაცხელიამ, ნიკა კვეკვესკირმა, ლაშა თოთაძემ და მათე ვაწაძემ (ერთი გოლი თურქმა ჰასან ალი კალდირიმმა საკუთარ კარში გაიტანა).

21-წლამდელთა ჩემპიონატებზე ყველაზე ხშირად იტალიელები იმარჯვებდნენ (5-ჯერ), 2-2-ჯერ ჩემპიონები ესპანელები, ინგლისელები, საბჭოელები და ჰოლანდიელები გახდნენ.



გერმანიის ნაკრები, წინა ჩემპიონატის გამარჯვებული

ბელარუსი

მწვრთნელი: გიორგი კონდრატიევი

გუნდი: 1. ალიაქსანდრ ჰუტარი (ბატე), 2. სტანისლავ დრაპუნი (დინამო მინსკი), 3. სიარჰეი მაცვეიჩიკი (გომელი), 4. სიარჰეი პალიცევიჩი (დინამო მინსკი), 5. დმიტრი ბაჰა (ბატე), 6. იური ასტრავჩუკი (ვედრიჩი), 7. მიხაილ სივაკოვი (ვისლა, ჰოლონეთი), 8. მიკიტა ბუკატკინი (ნაფტანი), 9. მაქსიმ სკავიში (ბატე), 10. ვლადიმირ იურჩენკო (შახტიორი), 11. ანდრეი ვარანკოვი (კრივბასი, უკრაინა), 12. არტემ გომელკო (ლოკომოტივი, რუსეთი), 13. პაველ ნიახაჩიკი (ბატე), 14. იური რიჟკო (ჟოდინო), 15. დმიტრი რეკიში (ჰოლონია, ჰოლონეთი), 16. მიხაილ გორდეიჩუკი (ბატე), 17. ვიტალ ჰაიდუჩიკი (ბრესტი), 18. ძიანის პალიაკოვი (შახტიორი), 19. იავჰენ სავასტსიანავი (ნემანი), 20. ალეჰ ვერაცილა (დინამო მინსკი), 21. ეგორ ფილიპენკო (ბატე), 22. დმიტრი ჰუშჩანკა (ვიტებსკი), 23. ულაძიმირ ხვაშჩინსკი (ბრესტი).

დანია

მწვრთნელი: კელდ ბორდინგაარდი

გუნდი: 1. იონას ლოსლი (მიდტიულანდი), 2. ანდერს რანდრუპი (ბრონდბიუ), 3. მატიას „ზანკა“ იორგენსენი (კოპენჰაგენი), 4. ანდრეას ბიელანდი (ნორდსილანდი), 5. ნიკოლაი ბოილესენი (აიაქსი, ჰოლანდია), 6. მადს ოლბეკი (მიდტიულანდი), 7. დანიელ ვასი (ბრონდბიუ), 8. მიკე იენსენი (ბორნდბიუ), 9. ნიკოლაი იორგენსენი (ლევერკუზენი, გერმანია), 10. კრისტიან ერიქსენი (აიაქსი, ჰოლანდია), 11. ნიკოლაი აგერი (ბრონდბიუ), 12. მადს ნიელსენი (რანდერსი), 13. ლასე ნიელსენი (ოლბორგი), 14. ნიკი ბილე (ვილიარეალი, ესპანეთი), 15. იესპერ იელსგარდი (მიდტიულანდი), 16. მიკელ ანდერსენი (რედინგი, ინგლისი), 17. ტომას დელენი (კოპენჰაგენი), 18. კასპერ პოვლსენი (ორჰუსი), 19. სიორენ ფრედრიქსენი (სიონდერისკე), 20. მატი ლუნდ ნიელსენი (ნორდსილანდი), 21. ჰენრიკ დალსგაარდი (ოლბორგი), 22. ბაშკიმ კადრი (ოდენსე), 23. ნიკლას ჰიოლუნდი (ლუნგბიუ).

ისლანდია

მწვრთნელი: ეიოლფურ სვერისონი

გუნდი: 1. ჰარალდურ ბიორნსონი (ვალური), 2. ბიორნ სიგურდსონი (ლილესტრიომი), 3. ჰოლმარ ეიოლფსონი (ვესტ ჰემი, ინგლისი), 4. ეგერტ იონსონი (ჰართსი, შოტლანდია), 5. ჰიორტურ ვალგარდსონი (გიოტებორგი, შვედეთი), 6. ბირკირ ბირნნასონი (ვიკინგი, ნორვეგია), 7. იოჰან გუდმუნდსონი (ალკმაარი, ჰოლანდია), 8. ბიარნი ვიდარსონი (მეხელენი, ბელგია), 9. რურიკ გისლასონი (ოდენსე, დანია), 10. გილფი სიგურდსონი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), 11. არნორ სმარასონი (ესბერგი, დანია), 12. ოსკარ პეტურსონი (გრინდავიკი), 13. ელფარ ჰელგასონი (ბრეიდაბლიკი), 14. პორანინ ვალდიმარსონი (ვესტმანაეია), 15. ალმარ ოლმარსონი (ფრამი), 16. გუდმუნდურ კრისტიანსონი (ბრეიდაბლიკი), 17. არონ გუნარსონი (ქოვენთრი, ინგლისი), 18. ანდრეს იოჰანესონი (ფოლკირი), 19. კოლბეინ სიგპორსონი (ალკმაარი, ჰოლანდია), 20. არნარ პეტურსონი (სიონდერისკე, დანია), 21. ალფრედ ფინბოგასონი (ლოკერენი, ბელგია), 22. სკული ფრიდგეირსონი (რეიკიავიკური), 23. იონ ფიოლუსონი (ბეერსხოტი, ბელგია)

შვეიცარია

მწვრთნელი: პიერლუიჯი ტამი

გუნდი: 1. იან ზომერი (ბაზელი), 2. ფილიპ კოხი (ციურიხი), 3. ფაბიო დაპრელა (ბრეშა, იტალია), 4. პაუტმ კასამი (პალერმო, იტალია), 5. ჯონათან როსინი (სასუოლო, იტალია), 6. ფაბიან ლუშტენბერგერი (ჰერტა, გერმანია), 7. ინოსენტ ემეგარა (გრასხოპერი), 8. მორენო კოსტანცო (იანგ ბოიზი), 9. ფაბიან ფრაი (ბაზელი), 10. ჯერდან შაჩირი (ბაზელი), 11. ადმირ მეჰმედი (ციურიხი), 12. კევინ ფიკენტშერი (სიონი), 13. ნასიმ ბენ ხალიფა (ნიურნბერგი, გერმანია), 14. გრანიტ ჯაკა (ბაზელი), 15. ტიმ კლოზე (თუნი), 16. ფრანსუა აფოლტე (იანგ ბოიზი), 17. ფრანკ ფელტშერი (ბელინცონა), 18. ამირ აბრაში (გრასხოპერი), 19. მარიო გავრანოვიჩი (შალკე, გერმანია), 20. დანიელ პავლოვიჩი (გრასხოპერი), 21. ბენიამინ სიეგრისტი (ასტონ ვილა, ინგლისი), 22. ქსავიერ ჰოხშტრასერი (პადოვა, იტალია), 23. გაეტანო ბერარდი (ბრეშა, იტალია).

ჩეხეთი

მწვრთნელი: იაკუბ დოვალილი

გუნდი: 1. ტომაშ ვაცლიკი (ვიქტორია), 2. იან ლესიაკსი (ანდერლეხტი, ბელგია), 3. რადიმ რეზნიკი (ბანიკი), 4. ონდჟეი მაზუხი (ანდერლეხტი, ბელგია), 5. ონდრეი ჩელუსტკა (სლავია), 6. ლუკაშ ვაჩა (სლოვანი), 7. ტომაშ ჰორჟავა (სიგმა), 8. ბორჟეკ დოჩკალი (სლოვანი), 9. ლიბორ კოზაკი (ლაციო, იტალია), 10. იან მორავეკი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), 11. ტომაშ პეკჰარტი (ნიურნბერგი, გერმანია), 12. იან კოვარჟიკი (იაბლონეცი), 13. მარსელ გეცოვი (სლოვანი), 14. ვაცლავ კადლეცი (სპარტა), 15. მილან ჩერნი (სლავია), 16. მარეკ შტეხი (ვესტ ჰემი, ინგლისი), 17. მარეკ სუხი (სპარტაკი, რუსეთი), 18. ლუკაშ მარეჩეკი (ანდერლეხტი, ბელგია), 19. იან ხრამოსტა (ბოლესლავი), 20. მიხაელ რაბუშიჩი (ბრნო), 21. იან ჰოშეკი (ტეპლიცე), 22. ადამ ჰლუშეკი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), 23. იან ჰანუში (სლავია).

ინგლისი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გუნდი: 1. ფრენკ ფილდინგი (დერბი), 2. მაიკლ მანსიენი (ჰამბურგი, გერმანია), 3. რაიან ბერტანდი (ჩელსი), 4. ფაბრის მუამბა (ბოლტონი), 5. კრის სმოლინგი (მანჩესტერი), 6. ფილ ჯონსი (ბლეკბერნი/მანჩესტერი), 7. მარკ ოლბრაიტონი (ასტონ ვილა), 8. ჯორდან ჰენდერსონი (სანდერლენდი/ლივერპული), 9. დენი უელბეკი (მანჩესტერი), 10. დანიელ სტარიჯი (ჩელსი), 11. სკოტ სინკლერი (სუონსი, უელსი), 12. კირან გიბსი (არსენალი), 13. ალექს მაკარტი (რედინგი), 14. კაილ უოლკერი (ტოტენჰემი), 15. ჯეიმს ტომკინსი (ვესტ ჰემი), 16. ჯეკ კორკი (ჩელსი), 17. ტომ კლევერლი (მანჩესტერი), 18. ჰენრი ლენსბერი (არსენალი), 19. ჯეკ როდველი (ევერტონი), 20. დენი როუზი (ტოტენჰემი), 21. ნათან დელფუნესო (ასტონ ვილა), 22. კონორ უიქჰემი (იფსვიჩი), 23. ჯეიესონ სტილი (მიდლსბრო).

ესპანეთი

მწვრთნელი: ლუის მილია

გუნდი: 1. რუბენ მინიო (ბარსელონა), 2. სესარ ასპილიკუეტა (ბარსელი, საფრანგეთი), 3. ალვარო დომინგესი (ატლეტიკო), 4. ხავი მარტინესი (ბილბაო), 5. მიკელ სან ხოსე (ბილბაო), 6. ხეფრენ სუარესი (ბარსელონა), 7. ადრიან ლოპეზი (დეპორტივო), 8. დანიელ პარეხო (ხეტაფე/ვალენსია), 9. ბოიან კრკიჩი (ბარსელონა), 10. ხუან მატა (ვალენსია), 11. დიეგო კაპელი (სევილია), 12. მარტინ მონტოია (ბარსელონა), 13. დავიდ დე ხეა (ატლეტიკო/მანჩესტერი), 14. ემილიო ნსუე (მალიორკა), 15. ხოსე ვალდესი (სპორტინგი), 16. ვიქტორ რუისი (ნაპოლი, იტალია), 17. დიდაკ ვილა (მილანი/ესპანიოლი), 18. ანდერ ერერა (სარაგოსა/ბილბაო), 19. ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა), 20. ალბერტო ბოტია (სპორტინგი), 21. რუბენ პერესი (დეპორტივო), 22. იკერ მუნიაინი (ბილბაო), 23. დიეგო მარინო (ვილიარეალი).

უკრაინა

მწვრთნელი: პაველ იაკოვენკო

გუნდი: 1. ანტონ კანბოლოცკი (დნიპრო), 2. ბოჰდან ბუტკო (ვოლინი), 3. იევჰენ სელინი (ვორსკლა), 4. იაროსლავ რაკიცკი (შახტარი), 5. არტემ პუტივცევი (ილიჩივეცი), 6. ვიტალი ვიტსენეცი (შახტარი), 7. იევჰენ კონოპლიანკა (დნიპრო), 8. ტარას სტეპანენკო (შახტარი), 9. მიკოლა მოროზიუკი (მეტალურჰი დონეცკი), 10. რომან ზოზულია (დინამო კიევი), 11. ანდრი იარმოლენკო (დინამო), 12. დენის ბოიკო (დინამო), 13. თემურ ფარცვანია (დინამო), 14. ოლეჰ ჰოლოდიუკი (კარპატი), 15. სერჰი კრივცოვი (შახტარი), 16. მაქსიმ ბილი (ზარია), 17. ვოლოდიმირ ჩესნაკოვი (ვორსკლა), 18. ოლექსი კურილოვი (ვორსკლა), 19. დენის ჰარმაში (დინამო), 20. ოლექსანდრ მატვიივი (ვორსკლა), 21. ვალერი ფედორჩუკი (კრივბასი), 22. არტემ კრავეცი (დინამო), 23. დმიტრო ნეპოჰოდოვი (მეტალურგი დონეცკი).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჰერნინგი

45,9 ათასი ადამიანი
დაარსდა: 1800 წ. რეგიონი: მიდტიულან

MCH არენა
9 600 მაყურებელი

ორჰუსი

249,7 ათასი ადამიანი
დაარსდა: 951 წ. რეგიონი: აღმ. იუტლანდია

NRGI პარკი
20 032 მაყურებელი

ოლბორგი

102,3 ათასი ადამიანი
დაარსდა: 1040 წ. რეგიონი: ჩრდ. დანია

ენერგი ნორდ არენა
10 500 მაყურებელი

ვიბორგი

91,4 ათასი ადამიანი
დაარსდა: VIII საუკუნე რეგიონი: მიდტიულანდი

ვიბორგ სტადიუმი
9 566 მაყურებელი

ქართული სპორტი

● ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

დღე პირველი: 3+1+6

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირები ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის. როგორც წინასწარ იყო ცნობილი, შეჯიბრებაში 15 ქვეყნის ნაკრები გამოდის: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, ბელარუსი, რუსეთი, კანადა, ისრაელი, ეგვიპტე, მონაკო, საბერძნეთი და უკრაინა.

არცთუ ცუდი სურათია მონაწილეთა სახელობით სიებშიც - ცნობილი ფალავნებიც ბლომად არიან. ორგანიზატორებმაც დამაკმაყოფილებლად გაართვეს თავი საორგანიზაციო საკითხებს, ჟურნალისტებისთვის კი ყველაზე დიდი სიურპრიზი პრესცენტრის გამართული მუშაობა იყო. ცუდი მხოლოდ ორი რამეა - მასპინძელთა გუნდები მშობლიურ ტურნირს პასუხისმგებლობით კვლავაც რომ არ მოეკიდნენ და კიდევ, რამდენიმე ლიდერმა ბოლო დღეებში მაინც იუარა ჭიდაობა და ქომაგთა ინერტულობა შეჯიბრებისადმი. ჩვენი ლიდერების ამგვარი ქცევა მით უფრო აუხსნელია იმის გათვალისწინებით, რომ ეს სექტემბერში სტამბოლში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უპირველესი შესარჩევი შეჯიბრებაა, იქ კი ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება. უმნიშვნელო არც ის გარემოება უნდა იყოს, რომ ეს ტურნირი „ოქროს დიდი პრიზის“ სუპერფინალისთვისაც იძლევა ქულებს, იქ კი დიდი საპრიზო ფონდია - გამარჯვებული 10 000 დოლარს იღებს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ფულადი ჯილდოები ჩვენთანაცაა დანესებული - ადგილების მიხედვით, შესაბამისად. - 1500, 800 და 500-500 დოლარი. რაც შეეხება მაყურებელს, ვიქონიოთ იმედი, რომ სპორტის სასახლეში მათი გუშინდელი ინერტულობა სამუშაო დღის ბრალი იყო, ხოლო დღეს და ხვალ ანუ უქმეებზე ჭიდაობის გაცილებით მეტი მოყვარული მივა.

გუშინ „თავისუფალთაგან“ 60-120-ის, ხოლო ბერძენ-რომაელთაგან 55, 66 და 96-ის ფალავნებმა იასპარეზეს. ამ ხუთი წონიდან ქართველთა გარეშე მხოლოდ ერთმა ჩაიარა - 60-მა „თავისუფლებში, სულ კი ჩვენებურთა მონაგარი 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაოა. აქედან „თავისუფლებმა“ 1 ოქრო და 3 ბრინჯაო ირგუნეს, დანარჩენი ბერძენ-რომაელთა მონაგარია. „თავისუფალთაგან“ ჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** (120) გახდა, მესამე საპრიზო ადგილებზე კი **მალხაზ ზარქუა** (60), **ლევან ბერიანიძე** და **გიორგი საკანდელიძე** (ორივე - 120) გავიდნენ. ბერძენ-რომაელთაგანა ოქროს მედლები **ლაშა გოგიტაძემ** (55) და **ირაკლი ქაჯაიამ** (96) მოიპოვეს, ვერცხლი - **მარადი ზოიძემ** (66), ბრინჯაო - **ლაშა ლოლაშვილმა, მუხრან მაჭუტაძემ** (ორივე - 66) და **იაკობ ქაჯაიამ** (96).

„თავისუფალთა“ შორის გუშინ ჩვენები დაიჩაგრნენ, თუმცა ამას მხოლოდ საკუთარ თავს თუ დააბრალებენ - მომზადებით და საჭიდაო კლასით ორივე ფინალისტი აშკარად მათზე მაღლა იდგა. თუმცა მომავალ ჩემპიონს, აზერბაიჯანელ აჰმად მუსტაფაევს მათთან შეხება არ ჰქონია - მან სათადარიგო ფალავნები დაგვიმარცხა, ლიდერები კი თურქმა **ცეტინ ერსინიმ** შეინირა - პირველივე წრეში ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მალხაზ ზარქუას** მოუგო ძირითად დროში, ნახევარფინალში კი ასევე ორ სეტში ევროპის პრიზიორ **მალხაზ ქურდიანსაც** აჯობა. ჩვენებურები მოგვიანებით ბრინჯაოსთვის ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. საკმაოდ უღიმღამო შეხვედრაში ბოლო წლების ტრადიცია კვლავაც გაგრძელდა და ამჯერადაც ზარქუამ იმარჯვა. თუმცა მსოფლიოსთვის მათ თუ არ მოუმატეს, ლიდერებთან ძალიან გაუჭირდებათ. იგივე მუსტაფაევი აქამდე აზერბაიჯანის ნაკრებში მეორე ნომერიც არ იყო (მათ ამ წონაში ევროპის ჩემპიონი **ზელიმხან ჰუსეინოვიც** ჰყავთ და ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ჰაჯი ალიევიც**), მაგრამ როგორ იჭიდავა! მანაც და თურქმაც ნამდვილად მაღალი დონის ჭიდაობა შემოგვთავაზეს.

გაცილებით უფრო დამაიმედებელი იყო მოძმანაშვილის გამოსვლა, თუმცა არ ვამბობთ, რომ მსოფლიოსთვის ახლავეა ფორმაში. უბრალოდ, საყურადღებოა მის მიერ განვლილი გზა - მოუგო **გიორგი ნიკურაძესა** და მსოფლიოს პრიზიორ **ლევან ბერიანიძეს**. ამას მეორე პერიოდში სუფთადაც აჯობა, ფინალში კი ბელარუსი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ალექსეი შემაროვი** დამატებით დროში დაამარცხა. ჩვენებურმა მეორეშიც ფრიად იყოჩაღა, როცა ჯერ თითქოს ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა - ფეხში შესულმა ვერ გადააგდო, მაგრამ ჩოქბჯენში მაინც ჩაიყვანა მეტოქე, იქიდან კი მშვენივრად დაატრიალა. დამატებითშიც გონივრული ტაქტიკით აართვა მომგებიანი ქულა.

კარგად იჭიდავეს ბერიანიძემ და საკანდელიძემაც. ბერიანიძემ სომეხთა ნატურალიზებულ **რუსლან ბასიევსაც** მოუგო, საკანდელიძემ კი ბერძენ მსოფლიოს პრიზიორ **იოანის არზოუმანიდისს** აჯობა. ბერძენი იმ სტილის მოჭიდავეა, რომლებთანაც ყველაზე ძნელია გარჯა - მუდამ ცდილობს, ჩახუროს ჭიდაობა, რაც შეიძლება მჭიდროდ შეეკრას მეტოქეს იმ იმედით, რომ როგორმე გადააგდოს და პირდაპირ შეიძლება თქმა - ქვეშ მოიყოლოს, რადგან მასით საკმაოდ დიდია, მაგრამ საკანდელიძემ ახლა არანაკლები ძალა დაუპირისპირა და რამდენჯერმე მშვენივრად გადააგდო. პირველ პერიოდშიც მას ცოტა დააკლდა, მეტოქის გდება დაეხურა, თორემ დამატებით დრომდე არც მიიყვანდა საქმეს. ოლონდ ეს ღირდა ამად - მესამე პერიოდში სულაც ბეჭებზე დააგდო. ერთი კია - სასურველია, ცოტა მეტი სითამამე გამოიჩინოს ლეიბზე. თუმცა ალბათ, ამ ხარვეზსაც (პირობითად რომ ვთქვათ) დრო და გამოცდილება გამოასწორებს.

ბერძენ-რომაელთა ტურნირში ისე

ალექსანდრე კოტორაშვილსის ფოტო

მოხდა, რომ სამივე წონაში ქართულ-ირანული ფინალი გაიმართა. ვერ გეტყვით, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობით ეს გუნდები მოეკიდნენ ტურნირს თუ რატომ მოხდა ასე. ამ სამი ფინალიდან ორი ჩვენ მოიგეთ.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი შეჯიბრების უმთავრესი დანიშნულება ახალი კადრების წარმოჩენაა. ამ მხრივ „თავისუფლებზე“ უფრო მეტად ბერძენ-რომაელთა შეჯიბრებამ გაამართლა - ფართო აუდიტორიის წინაშე პირველ დიდ წარმატებებს მიაღწიეს აბულაძემ და ქაჯაიამ. ალბათ, უფრო მაინც ქაჯაია უნდა გამოვარჩიოთ, როგორც ჩემპიონი, თუმცა აბულაძემაც რამდენიმე საყურადღებო თანაგუნდელს მოუგო - **არჩილ თურმანიძეს, უჩა შავაძეს, ლაშა ლოლაშვილს...** საქართველოს წლევანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა აბულაძე თურმანიძეს ძირითად დროში მოუგო, თუმცა ფინალში ირანელი **ომიდ ნოროოზი** უფრო მაღალ დონეზე იდგა - ჩვენებურს ცდა და ჟინი არ დაუკლია, მაგრამ კლასში სხვაობა საგრძნობი იყო.

ამ წონაში ცოტა მეტს ველოდით თურმანიძისგან, რომელიც დღემდე ნაკრების ლიდერი იყო. ის ევროპის ჩემპიონატის წინა პერიოდში ჩინებულ სეზონს ატარებდა, თუმცა ბოლო შეკრებაზე გაცივდა და კონტინენტის პირველობა მაინც გამოტოვა. ამჯერად მან ვერც ბრინჯაოს მოპოვების შანსი გამოიყენა, თუმცა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი მეტოქის - **ლაშა ლოლაშვილის** მშვენიერი ჭიდაობა ჩოქბჯენში, როცა რამდენჯერმე დატრიალდა ანზე გადააგდო. მეორე პერიოდი კი წააგო, მაგრამ მესამეში მისი უპირატესობა საგრძნობი იყო და არც გამარჯვება გასაჭირვებია იმის მიუხედავად, რომ ბოლოს მისმა გდებამ ცოტა კამათი გამოიწვია. მთლიანობაში, გოგიტაძე კარგად გამოიყურებოდა. ცუდი ისაა, რომ ამ წონაში თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მეტი მედალი არ მოგვიპოვებია - ბრინჯაოსთვის მხოლოდ გენადი ქუთათელაძემ იჭიდავა, მაგრამ უზბეკ **ისლამ შოდმანოვთან** წააგო.

ირაკლი თავაძე

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. აჰმად მუსტაფაევი (აზერბაიჯანი), 2. ცეტინ ერსინი (თურქეთი), 3. უმიდ მამადოვი (აზერბაიჯანი), **მალხაზ ზარქუა (საქართველო).**

120 კგ. 1. დავით მოძმანაშვილი (საქართველო). 2. ალექსეი შემაროვი (ბელარუსი), **3. ლევან ბერიანიძემ გიორგი საკანდელიძე (ორივე - საქართველო).**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

55 კგ. 1. ლაშა გოგიტაძე (საქართველო), 2. ბაგერ თავაქოლიანი (ირანი), ისლამ შოდმანოვი (უზბეკეთი), არმენ ჩომარიანი (სომხეთი).

66 კგ. 1. ომიდ ნოროოზი (ირანი), **2. მარადი აბულაძე, ლაშა ლოლაშვილი, მუხრან მაჭუტაძე (სამივე - საქართველო).**

96 კგ. ირაკლი ქაჯაია (საქართველო). 2. მაჰდი ალიარი (ირანი), 3. მოჰამედ აბდელ ფატაჰი (ეგვიპტე), **იაკობ ქაჯაია (საქართველო).**

● უნივერსიადა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ფრენბურთით დასრულდა

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებული „უნივერსიადა 2011“. შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 20 სახეობა შედიოდა. ბოლო ასპარეზობა, რომელშიც ჩემპიონები და პრიზიორები გამოვლინდნენ, იყო ფრენბურთი. გოგონებში 8 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ვაჟებში — 12.

ქვეჯგუფებში გამართული ორთაბრძოლების შემდეგ გოგონათა ნახევარფინალში თსუ-მ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს სძლია - 3:1, საქართველოს უნივერსიტეტმა აგრარულ უნივერსიტეტს მოუგო - 3:1, ფინალში ასეთივე ანგარიშით თსუ-მ საქართველოს უნივერსიტეტს, ხოლო მესამე ადგილისთვის პაექრობაში აგრარულმა ილიაუნელებს აჯობა.

ვაჟთა ნახევარფინალში რუსთაველებმა თსუ დაამარცხეს – 3:1, აგრარულმა უნივერსიტეტმა კი დაძაბულ ბრძოლაში სტუ-ს მოუგო - 3:2. ფინალი: აგრარული-რუსთავი 3:0, მესამე ადგილისთვის: თსუ-სტუ 3:1.

ოცი სახეობის შემდეგ უნივერსიადა 15-15 ოქროს მედლით დაამთავრეს სტუ-მ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მაგრამ ილიაუნელებს სპორტულ ყულაბაში სამი ვერცხლით ნაკლები აღმოაჩნდათ, ამიტომ საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილს დაყაბულდნენ. პირველობა პოლიტექნიკოსებს ერგოთ, 11 ოქროთი მესამე ადგილი აგრარულმა უნივერსიტეტმა დაიკავა.

ვაჟა დანელია

● მშვილდოსნობა. ანთალიის ტურნირი

ანთალია ჩვენთვის დაიხურა

ანთალიაში გრძელდება მსოფლიოს თასის მეორე ეტაპი, თუმცა ჩვენთვის ის ნაადრევად დასრულდა - ასპარეზობას ქალთა ნაკრებიც გამოეთიშა და პირად პირველობას შემორჩენილი ბოლო ჩვენებური **ლანა ვერულიძეც**. ამის მიუხედავად, მას საყვედური მაინც არ ეთქმის, რადგან ორი წრე გაიარა და 1/16-ფინალში გავიდა, გუნდის სტაჟიანი წევრები კი პირველივე წრიდან გამოვარდნენ. ეტყობა, კორეელი მწვრთნელი **ან იონ სეუნი** ტყუილად არ უცხადებს ვერულიძეს ნდობას - უკვე მეორე შეჯიბრებაში გამოსცადა და შეგირდმაც ორივეჯერ მიიქცია ყურადღება. სანყენი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენებურმა ბრიტანელ **ნაომი ფოლკრადთან** მოგების შემდეგ უკრაინელთა ახალბედა **ნინა მილჩენკოსთან** წააგო. უკრაინის ნაკრები, როგორც გუნდი, იქნებ უფრო დაბალანსებული და ცოტათი ძლიერია (ეს ამ ტურნირზეც გამოჩნდა - ბრიტანელები პირველივე წრიდან გამოვარდნენ, უკრაინა კი დღეს ბრინჯაოსთვის იასპარეზებს), მაგრამ გამოცდილებით ფოლკარდი აღემატება მილჩენკოს. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა - უკრაინელთან შეხვედრაში ვერულიძემ მხოლოდ ერთი სეტის ფრედ დამთავრება მოახერხა, სამი კი დათმო და გავარდა. მილჩენკოს ჯავრი აშშ-ს სახელით მოასპარეზე **ხათუნა ლორიგმა (ქვრივიშვილი)** ამოგვყარა - მომდევნო წრეშივე მოუგო. სხვათა შორის, მანამდე მან იაპონელ **კაორი კავანაკასაც** სძლია, ვინაც **ასმათ დიასამიძე** დაგვიმარცხა, თუმცა მეორე იაპონურ ბარიერთან - **რენ ჰაიაკავასთან** მეოთხედფინალში ლორიგმაც ვერაფერი გაანყო. სამაგიეროდ, მერე დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ის ნაკრების გუნდურ წარმატებაში და დღეს ფინალში კორეელებთან იბრძოლებს. საკმაოდ კარგად გაისარჯა კიდევ ერთი ქართველი, ოლონდ თურქთა სახელით მოასპარეზე ევროპის სამგზის ჩემპიონი **ნატო ნასარიძეც** - ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუს** მოუგო, თუმცა მერე ჩინელ **მინ ჩენთან** წააგო. ამის მიუხედავად, ისეთ ტიტულოვან მშვილდოსანთან გამკლავება მაინც აღსანიშნავია. მით უფრო, რომ ნასარიძე რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა სპორტს. მაშინ მან საქართველოში დაბრუნების სურვილიც გამოთქვა, მაგრამ ქართულმა მხარემ რატომღაც დაინტერესება არ გამოიჩინა.

გუნდურ ტურნირში ჩვენები განწირულნი იყვნენ - პლეი ოფში მე-16 ნომრად შესულებს პირველივე შეხვედრა შეჯიბრების და მსოფლიოს მშვილდოსნობის ფავორიტ სამხრეთკორეელებთან მოუწიათ. სასწაული არ მომხდარა - აზიელებმა 222:203 მოიგეს, მერე გერმანელები და უკრაინელებიც დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ. როგორც გითხარით, მეორე ფინალისტი აშშ-ია, რომელმაც გზიდან ზემოხსენებული ბრიტანეთი, მეზობელი მექსიკა და ინდოეთი ჩამოიცილა. საყურადღებოა ინდოელთა მიერ რუსთა ძლევა და უკრაინის გამარჯვება იტალიასთან, რომელსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** ჰყავს შემადგენლობაში. ბრინჯაოსთვის ასევე დღეს უკრაინა და ინდოეთი იბრძოლებენ.

მსოფლიოს თასი დღეს მთავრდება ფინალური შეხვედრებით, თუმცა ქალთა პირად პირველობაზე ნახევარფინალებიც დღეს გაიმართება, სადაც ოთხივე მონაწილე აზიელია. უფრო ზუსტად - სამი კორეელი და ერთი იაპონელი, ზემოხსენებული ჰაიაკავა, რომელიც მსოფლიო რეიტინგის ლიდერ **ბო ბაე კის** ხვდება, მეორე წყვილი კი მთლიანად კორეულია - შესარჩევში მეორეზე გასული **დასომი იუნგი** მესამეადგილისან **გიეონგჰეე ჰანს** გაეჯიბრება.

ირაკლი თავაძე

ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

კლაიპედა, არენა, სასტუმრო... ვერაფერს დაინუნებ

კლაიპედას არენა, არვიდას საბონისის ვიზიტი, ქართული კლუბები ევროთასებზე, საქართველოს ნაკრები - ამ და სხვა საკითხებზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** ვესაუბრეთ.

- ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შეჯიბრების მონაწილე ყველა ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელი ლიტვაში მიგვიწვიეს, რათა ადრევე გვენახა ყველა ის ადგილი, რომელთანაც ევრობასკეტის მსვლელობისას ჩვენს ნაკრებს შეხება ექნება. დავათვალიერეთ კლაიპედას სასტუმრო „ამბერტონი", რომელშიც ჩვენი ჯგუფის ყველა წარმომადგენელი იცხოვრებს. სასტუმროს არაფერი დაეწუნება, ასევე კარგია, რომ დარბაზთან ახლოსაა და გზაში დიდი ერო არ დაგვეკარგება.

- კლაიპედას არენა ახალი აშენებულია. ყველა სამუშაო დასრულებულია?

- როცა დარბაზი ვნახეთ, გარკვეული შიდა სამუშაოები დარჩენილი იყო, თუმცა ევროპის ჩემპიონატამდე ყველაფერი დასრულდება. ივლისში დარბაზის გახსნა და დიდი კონცერტი იგეგმება. ასევე გვიჩვენეს ვილნიუსისა და კაუნასის არენები, რომლებზეც ევროპის ჩემპიონატის მომდევნო ეტაპის მატჩები გაიმართება. სპეციალურად ევრობასკეტისთვის კაუნასში ახალი, 15-ათასიანი დარბაზი ააშენეს.

- საქართველოს ნაკრები სად ივარჯიშებს?

- კლაიპედას არენას აქვს სათადარიგო მოედანიც. ჩვენი გუნდიც იქ ივარჯიშებს, თუმცა სამი მატჩი ძალიან ადრე იმართება და არ ვიცი, როგორ მოესწრება დილის ვარჯიშის გამართვა.

- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ევრობასკეტის ელჩი არვიდას საბონისი იყო...

- იგი დიდი სპორტსმენი გახლდათ და ევროპის ჩემპიონატის ელჩად შემთხვევით არ აურჩევიათ. საქართველოში საბონისის ვიზიტი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ევრობასკეტის პრეზენტაცია მოაწყო. ჩვენი მხრივ კი დავათვალიერებინეთ ქართული დარბაზები. გაისად ხომ რომელიმე ახალგაზრდულ ასაკში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მასპინძლობას ვაპირებთ.

- გუშინ საქართველოს ნაკრების წევრებს ფედერაციაში შეხვედით.

- ვინც ადრე ჩამოდის, ყოველწლიურად ვხვდებით და სამმავლო გეგმებზე ვლაპარაკობთ. კალათბურთელები ამჟამად ისვენებენ, 1 ივლისიდან კი ვარჯიშს შეუდგებიან. ჯერაც არ დაუსრულებიათ სეზონი ვლადიმერ ბოისას, გიორგი შერმადინსა და მანუჩარ მარკოიშვილს. პირველი ორი სლოვენიის ჩემპიონატის ფინალურ სერიას ახლა ამთავრებს, ხოლო მანუჩარს იტალიის პირველობის ფინალები ჯერ არ დაუწყია. იგი ბოლომდე იხარჯება, თავს არ ზოგავს, ამიტომ იტალიიდან ჩამოსვლის შემდეგ დასვენება დასჭირდება.

- ტორინ გრინის ტრავმა სერიოზული არ ყოფილა.

- მას ფეხზე ფალანგა ჰქონია გაბზარული, არადა, ექიმები მოტეხილობას ვარაუდობდნენ. ფეხიც ისე ჰქონდა დაფიქსირებული, მეგონა, ზედ თაბაშირი ედო. საბედნიეროდ, ყველაფერი წესრიგშია და ტორინ გრინმა ვარჯიში უკვე დაიწყო. მას ჩვენთან ხშირი კონტაქტი აქვს.

- იყო ლაპარაკი თოთხმეტკაციან განაცხადში ტაირონ ელისის შეყვანის თაობაზე...

- შემადგენლობის საკითხებს მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი აგვარებს. დასჭირდება ელისი, თუ არა, მას შემდეგ გავიგებთ, რაც შემადგენლობას დაასახელებს.

- ბოლოს ქართულ კლუბებზე გკითხავთ. „არმიამ" და „სოხუმმა" ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის განაცხადი ფედერაციაში შეიტანეს, საიდანაც ფიბაევროპაში უნდა გადაგზავნილიყო...

- ყველა პროცედურა დასრულებულია. 9 ივნისს ფიბაევროპაში განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო. ჩვენ მანამდე გავაგზავნეთ და უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას - 2010-11 წლების სეზონში ევროჩელენჯზე ორი ქართული კლუბი იასპარეზებს.

- ფედერაციას გუნდებისთვის უარის თქმის უფლებაც ჰქონდა.

- ყველაფერი კარგად გამოვიკითხეთ და გარანტიებიც მივიღეთ, რომ „არმია" და „სოხუმი" კიდევ უფრო გაძლიერდებიან. ასეთ შემთხვევაში უარს ვერავის ვეტყოდით... მისასალმებელია, რომ ორივე გუნდმა აქედანვე დაიწყო მზადება საერთაშორისო სარბიელზე ღირსეულად გასასვლელად. ეს შედეგს აუცილებლად მოიტანს. სასიხარულოა, რომ 2011 წელი ქართული კალათბურთისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იქნება - ევროჩელენჯზე ორი გუნდი გვეყოლება, ხოლო საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

იუბილე

...20 წლის შემდეგ

4 ივნისს საქართველოს კალათბურთის ფედერაციას 20 წელი შეუსრულდა. ოცწლიან იუბილესთან დაკავშირებით ფედერაციას ვესტუმრეთ და მის ისტორია-დღევანდელობას გავეცანით. პირველი ნაბიჯები კარგად ახსოვს **როლანდ ხომერიკს,** რომელიც ამ ორგანიზაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო:

- კალათბურთის ფედერაციის პირველი არჩევნები 1991 წლის 4 ივნისს გაიმართა. მაშინ სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში სპორტული თამაშების სამმართველოს უფროსი ვიყავი. ახალარჩეულმა მინისტრმა კახი ასათიანმა მითხრა: სპორტის ყველა სახეობაში დამოუკიდებელი ფედერაციები უნდა ჩამოყალიბდეს. ძირითადი სამუშაო მათ უნდა წარმართონ, მთავრობა კი დაეხმარებათო.

...და არჩევნებიც ჩატარდა. როლანდ ხომერიკი განაგრძობს:

- კახი ასათიანთან საუბრის შემდეგ ყველა საორგანიზაციო საკითხი პირადად მოვაგვარე და 4 ივნისს დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც 98 დელეგატი ესწრებოდა, ჩამოვაყალიბეთ საქართველოს კალათბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია. პრეზიდენტად ავირჩიეთ ალეკო ჩხეიძე, ვიცე- პრეზიდენტად მე დამასახელეს, გენერალურ მდივნად აკაკი მეგრელაძე. ასევე ავირჩიეთ პრეზიდიუმი.

მას მერე ფედერაციას ოთხი ხელმძღვანელი ჰყავდა: **ალეკო ჩხეიძე** (1991-95 წლებში), **ავთანდილ საყვარელიძე** (1995-97), **გოგი ქათამაძე** (1997-2001), ხოლო 2001 წლიდან ქართულ კალათბურთს **ბესიკ ლიპარტელიანი** ხელმძღვანელობს.

- ფედერაციის დაარსებიდან 20 წელი გავიდა. ეს მნიშვნელოვანი თარიღია. გავიხსენოთ 90-იანი წლები და იოლი წარმოსადგენი იქნება, ფედერაციის ხელმძღვანელობას რაოდენ რთულ პირობებში უწევდათ მუშაობა. სწორედ ამიტომაა მათი შრომა დასაფასებელი, - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ფიბა-ში 1992 წლის 10 ივლისს გავწევრიანდით, თუმცა ნაკრების შექმნამ ცოტა დაგვიანა...

- დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთავარი ამოცანა საქართველოს სახელის საერთაშორისო არენაზე გატანა იყო, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის გამო ნაკრების შექმნა 1994 წლამდე ვერ მოხერხდა. ეროვნული გუნდის მწვრთნელებს ბესიკ ლიპარტელიანსა და ნოდარ ქორქიას ჯამლეტ ხუხაშვილმა (გუნდის უფროსი იყო) ერთი ოთახი სპორტის სასახლეში გამოუყო. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 1995 წელს ჩაერთო, ინგლისის ქალაქ ბირმინგემში ვითამაშეთ, სამეულში მოვხვდით და შესარჩევი ტურნირის საგზური მოვიპოვეთ, - იხსენებს როლანდ ხომერიკი.

სხვათა შორის, ინგლისში იყო ერთი საინტერესო ეპიზოდი, რამაც ქართველები ძალიან აღელვა.

როლანდ ხომერიკი:

- ტურნირის ბოლო დღეს ლუქსემბურგის ნაკრებთან უნდა გვეთამაშა. წინა ღამით გოგი ავალიშვილმა დამირეკა, ჩვენს მატჩზე დანიელი მსაჯი დაუნიშნავთო. არადა, საქართველოს ნაკრების წაგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე სწორედ დანია გავიდოდა. მეორე დილას ნოდარ ქორქიასთან ერთად შეჯიბრების მთავარ მსაჯთან მივედით და ვუთხარით: დანიელი არბიტრის პატიოსნებაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ჩვენს ბიჭებს რა ვუთხრათ, მათ ხომ შეიძლება ყოველ სასტვენზე მძაფრი რეაქცია ჰქონდეთო... მთავარმა მსაჯმა ჯერ მტკიცე უარი გვითხრა, მაგრამ ორი საათი ველაპარაკეთ, არ მოვეშვით და საბოლოოდ დავითანხმეთ.

იყო დრო, როცა საქართველოს ნაკრების საერთაშორისო ტურნირებზე გასამგზავრებელი ფული „კაპიკობით" გროვდებოდა, ზოგჯერ კალათბურთელებს წინა დღესაც არ სცოდნიათ, წავიდოდნენ თუ არა შეჯიბრებაზე. შეკრებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საბედნიეროდ, 2004 წლიდან სიტუაცია შეიცვალა და გაახლებულ ნაკრებს პირობებსაც შესაფერისს უქმნიან. სადღეისოდ ეროვნულმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატს გაასწრო - კლუბებში მდგომარეობა ბოლო სეზონიდან გაუმჯობესდა, თორემ მანამდე მატერიალური თვალსაზრისით მეტად არასახარბიელო მდგომარეობა იყო. სიტყვა „მანამდეში" 2000-იანი წლები ვიგულისხმეთ, თორემ 90-იანებში...

- ინდივიდუალური სპონსორების წყალობით კლუბები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ცხოვრობდნენ. თავად განსაჯეთ: პირველ ჩემპიონატში 11 გუნდი მონაწილეობდა, იყო 12 და 13 გუნდიანი პირველობებიც. ხოლო, ზოგჯერ ჩვენი ქვეყნიდან ევროტურნირებზე ერთბაშად 4 გუნდი გადიოდა, - დასძენს როლანდ ხომერიკი.

სლოვენიის ჩემპიონატი. ფინალი

ორი ქართველის ცხრა ორიანი, ორიანი ოლიმპიას და 2:2

სლოვენიის ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩის შემდეგ დავწერეთ: ოქრო ხელის განვდენაზეაო. მართლაც, **გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** „ოლიმპიას" შინ კრკა რომ დაემარცხებინა ოქროც მას დარჩებოდა და შამპანურითაც დასველდებოდა, მაგრამ ვერ გასწვდა... კრკა-ს მეფარე **კრისტოფერ ბუკერს** უფრო გრძელი ხელები აღმოაჩნდა: საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე იგი „ოლიმპიას" ფარქვეშ შეიჭრა, ბურთი ორჯერ ისროლა, ორჯერვე ააცილა, მაგრამ ფარიდან ასხლეტილ ბურთს თავადვე დაეუფლა, დარჩენილ 9 წამში ბურთი თანაგუნდელებს შეუნარჩუნა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 2:2. არადა, ოლიმპიელები ფარქვეშ ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ, 9 წამში ერთ იერიშს ნამდვილად მოასწრებდნენ და თუ არ მოიგებდნენ, შესაძლებელი იყო მატჩი ოვერტაიმში გადაეყვანათ, ისინი ხომ მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდნენ კრკა-ს. მატჩი ასეც დასრულდა - 63:61 სტუმართა სასარგებლოდ.



ბოლო წუთებზე მოედანზე არც ბოისა იყო და არც შერმადინი. მწვრთნელი მათ 9-11 წუთით ენდო, ვოვას 9 წუთით, გიორგის - 11-ით. ბოისამ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და 2-2 ქულა-მოხსნა მოაგროვა. გიორგი შერმადინის გასწვრივ ოქმში ერთბაშად 6 ორიანი დაფიქსირდა: 4-დან 2 ორქულიანი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება, 2 შეცდომა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი. მეტოქეები მასზე 2-ჯერ დაჯარიმდნენ. შეზღუდულ დროში ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

საოცარი სანახაავი გამოდგა პირველი ტაიმი: საწყის მეოთხედში კრკა-მ 27:10 იმარჯვა, ხოლო მეორე ათწუთეულის დასაწყისში 20-ქულიან უპირატესობას მიაღწია (30:10). როცა ყველას მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, **დამირ მარკოტამ** შორეული ტყორცნებით თანაგუნდელები გამოაფხიზლა და „ოლიმპიამ" 19:3 გაქცევა მოაწყო, რის შემდეგაც სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა (29:33). ამის მერე თანაბარი თამაში გაჩაღდა და როგორც დასრულდა, ზემოთ წაიკითხეთ.

მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრა 11 ივნისს კრკა-ს მოედანზე გაიმართება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

ლელო-არმია

ვინ უკეთ გამოიყენა შესვენება

თბილისში ახლახან გამართული „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათსამაშების გამო, საქართველოს ჩემპიონატი 10 მაისს შეწყდა და დღეს მეექვსე ტურის შეხვედრებით განახლდება.

ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში დაუმარცხებლად ლიდერობს ქუთაისის „აია“, რომელმაც განვლილ ტურებში ძირითადი კონკურენტების თბილისის „ლელოსა“ და „ლოკომოტივის“ დამარცხება შეძლო. უახლოეს მდევარ „არმიას“ კი პირველი წრის ბოლო, მეშვიდე ტურში ეთამაშება.

ქუთათურები დღეს თბილისში, „ვისოლის“ სარაგბო სტადიონზე გათამაშების აუტსაიდერ „ყოჩებს“ დაუპირისპირდებიან. მეტოქისგან განსხვავებით, ერთ დროს ქართული რაგბის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ნლეუულს ძალზე ცუდად ასპარეზობს. „ყოჩებმა“ ხუთი თამაშიდან ხუთივე წააგეს და მისთვის უჩვეულო ამპლუაში იმყოფება.

„აია“ ამ თამაშს საკადრო პრობლემებით ხვდება. „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშებაში საქართველოს ნაკრებში ხუთმა ქუთაისელმა ითამაშა და აქედან ორი გუნდში დაშავებული დაბრუნდა. „აიას“ ლიდერები, მოთამაშე მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე,** შუამარბი **ირაკლი გიორგაძე** და გარემარბი **ირაკლი ჩხიკვაძე** საქართველოს ნაკრებთან ერთად რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში იმყოფებიან IRB-ს ერთა თასზე საასპარეზოდ.

დანაკლისი აქვს „ყოჩებსაც“. თბილისურ გუნდის პირველ ხაზში სხვადასხვა მიზეზების გამო ისედაც სერიოზული პრობლემები აქვს. ამას კიდევ ეროვნულ ნაკრებში შერკინების კვაჭის **შალვა მამუკაშვილის** მიწვევა დაემატა. „ბორჯღალოსანთა“ შორისაა ასევე „ყოჩების“ ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე**. ერთი სიტყვით, ძალები ასე თუ ისე, ვფიქრობთ, გათანაბრებულია. თანაც, ისიც საინტერესოა, როგორ გამოიყენეს ამ გუნდებმა ჩემპიონატის საკმაოდ დიდი პაუზა.

მეორეადგილოსანი, გათამაშების დებიუტანტი „არმია“ ჩემპიონატის სასიამოვნო მოულოდნელობის ავტორ თბილისის „არმაზს“ დაუპირისპირდება. არმაზელებმა ხუთი თამაშიდან ორი მოიგეს, ერთში ფრეს მიაღწიეს და ორში დამარცხდნენ. საგულისხმოა, რომ ამ გუნდს დანაკარგი, ფაქტობრივად, არ აქვს. მისი მოთამაშეები ეროვნულ ნაკრებში მიწვეულნი არ არიან და, სავარაუდოდ, ამ მატჩისთვის ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა უნდა შეძლოს.

„არმიამ“ კი ჩემპიონატში შესვენებისას დანაკლისი განიცადა. ეროვნული ნაკრების წევრი, შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **ვასილ კაკოვინისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივში“ გადაბარგდა. ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული და ბუქარესტში იმყოფება გუნდის ძირითადი ცხრა ნომერი **ბიძინა სამხარაძე.**

სავარაუდოდ, თამაში, რომელიც „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე გაიმართება, საკმაოდ დაძაბული და ძნელად პროგნოზირებადი გამოვა.

უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივისა“ და „აკადემიის“ დაპირისპირებაში. რკინიგზელებმა აქამდე ხუთი თამაშიდან სამი მოიგეს და 6 ქულით სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე არიან. „აკადემიას“ კი, რომელსაც ორი ქულით ნაკლები დაუგროვდა (ერთი მოგება, ორი ფრე და ორი წაგება), მე-6 ადგილი უჭირავს.

„ლოკომოტივს“ ამ მატჩში ორი წამყვანი მოთამაშე **ზვიად მაისურაძე** და **გივი ბერიშვილი** დააკლდება. ისინი **რიჩი დიქსონმა** ეროვნულ ნაკრებში მიიწვია და ამჟამად ბუქარესტში იმყოფებიან. „აკადემია“ მებრძოლი, ჟინიანი გუნდია და თუ მეტოქის შერკინებას გაუძლო, ბევრ პრობლემას შეუქმნის.

ტურის კიდევ ერთ, მეოთხე მატჩში, საქართველოს თასის მფლობელი „ლელო“, რომელიც ამჟამად 6 ქულით მესამე ადგილზეა, რუსთავის „ხარებს“ დაუპირისპირდება. რუსთაველებმა ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი მოიგეს და ორი ქულით ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა.

საქართველოს ნაკრებში ამჯერად ორი მორაგბე, მგეზავი **ლაშა ხმალაძე** და გარემარბი **ალექსანდრე თოდუაა** მიწვეული. თოდუამ შარშან შუა სეზონში მძიმე ტრავმა მიიღო და აქამდე ჯერ არ უთამაშია. ტრავმირებული იყო ხმალაძეც, თუმცა „ლელოს“ შემადგენლობაში წლევანდელი ჩემპიონატის პირველივე ტურიდან თამაშობს. მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, ვფიქრობთ, „ლელოს“ მეტოქის ძლევა ძალიან არ უნდა გაუჭირდეს.

VI ტური

ლელო-ხარები, არმია-არმაზი, ლოკომოტივი-აკადემია, ყოჩები-აია

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.აია	5	5	0	0	+82	10
2.არმია	5	3	1	1	+18	7
3.ლელო	5	3	0	2	+39	6
4.ლოკ.	5	3	0	2	+32	6
5.არმაზი	5	2	1	2	-24	5
6.აკადემია	5	1	2	2	-17	4
7.ხარები	5	1	0	4	-59	2
8.ყოჩები	5	0	0	5	-69	0

● IRB-ს ერთა თასი

პირველი მარცხი სამხრეთაფრიკელ მეფეებთან

ბუქარესტში დაიწყო IRB-ს ერთა თასის გათამაშება. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა სამხრეთ აფრიკის „კინგზის“ წინააღმდეგ გამართა და 17:31 წააგო.

თამაში ჩვენმა გუნდმა აქტიურად დაიწყო და უკვე მე-6 წუთზე მგეზავი **ლაშა ხმალაძის** ნამოწყებული კომბინაცია გარემარბმა **ირაკლი ჩხიკვაძემ** ლელოთი დაასრულა. ურჯუკაშვილმა გარდასახა და საქართველოს ნაკრები დაწინაურდა - 7:0. მეტოქემ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მალევე შეძლო, თუმცა მერე, 22-ე წუთზე კონტრშეტევაზე დავიჭირეთ და ლელო მეორე გარემარბმა **ბესიკ ხამაშურიძემ** გაიტანა. ურჯუკაშვილმა ესეც გარდასახა. ამაზე სამხრეთაფრიკელებმა ლელოთივე გვიპასუხეს და პირველი ნახევარი მინიმალური სხვაობით 14:13 მოვიგეთ.

მეორე ნახევარში „ბორჯღალოსნებმა“ მონაგარს ერთი საჯარიმოთი მხოლოდ სამი ქულა შესძინეს, მაშინ როცა „კინგზმა“ თვრამეტ ქულას მოუყარა თავი - 17:31.

საქართველო-ს. აფრ. კინგზი 17:31

საქართველო: (15-9) ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე, ჯიმშელაძე, ი.გიორგაძე, ჩხიკვაძე, ხმალაძე, სამხარაძე. (1-8) შველიძე, ა.გიორგაძე, კაკოვინი, ზედგინიძე, ვ.მაისურაძე, ბერიშვილი, კოლელიშვილი, ზ.მაისურაძე

2ლ: ჩხიკვაძე, ხამაშურიძე. 2გ,ს: ურჯუკაშვილი

სინბინი: ა.გიორგაძე

მსაჯი: ჟერომ გარსეზი (საფრანგეთი)

IRB-ს ერთა თასი

I ტური

რუმინეთი-ნამიბია 13:11, არგენტინა A-პორტუგალია 21:25

საბურნირო მდგომარეობა

1. სამ.აფრ.კინგზი - 4 ქულა, 2. რუმინეთი - 4, 3. პორტუგალია - 4, 4. ნამიბია - 1, 5. არგენტინა A - 1. 6 საქართველო - 0.

15 ივნისი

საქართველო-არგენტინა, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

19 ივნისი

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-არგენტინა

● ზე რაგბი

ორი მატჩის ორი ბილეთი, საგზური პლეი ოფში

ზე რაგბის რეგულარული გათამაშების ბოლოსწინა ტური კანბერის „ბრამბიზისა“ და დებიუტანტ „მელბურნ რებლზის“ მატჩით გაიხსნა. ორივე გუნდი აბსოლუტურად უმოტივაციოდაა დარჩენილი, თუმცა მიუხედავად ამისა თამაში საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა.

მელბურნელთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ინგლისელი მგეზავი **დენი სიპრიანი,** რომელმაც გუნდის თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლა, თუმცა გამარჯვება მაინც ვერ მოაპოვებინა - 17:32. დენიმ ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა (7 ქულა).

ბრამბიზელებმა ახალბედა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს. ყველაზე შედეგიანი კი მგეზავი **მეთ გიტო** გამოდგა, რომელმაც ერთი ლელო, ერთი საჯარიმო და ორი გარდასახვა მიითვალა (12 ქულა).

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა ჰემილთონის „ჩიფსისა“ და ველინგთონის „ჰარიკენზის“ დაპირისპირება - 18:18. ეს წყვილი, პირველის მსგავსად, ასევე უმოტივაციოა, თუმცა ერთმანეთთან ძველი ანგარიშები აქვთ და არაფერი დათმეს.

პირველი ტაიმი ჰემილთონელებმა 15:5 მოიგეს, თუმცა შესვენების შემდეგ რადიკალურად სახეცვლილ მეტოქეს მხოლოდ სამი ქულა აართვეს. „ჰარიკენზმა“ მეორე ნახევარში შესანიშნავად ითამაშა და მატჩის ფრედ დასრულება მოახერხა.

მე-17 ტურში ყველაზე საინტერესო ორი შეხვედრა იქნება. ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“, რომელიც 53 ქულით საერთო ჩათვლაში მე-4 ადგილზეა, შინ მესამეადგილოსან ოქლენდის „ბლუზს“ ეთამაშება, რომელსაც ორი ქულით მეტი დაუგროვდა. ხოლო მეორე ადგილზე მყოფი კეიპთაუნის „სტორმერზი“ შარშანდელ ჩემპიონ პრეტორიის „ბლუ ბულზს“ უმასპინძლებს. პრეტორიელებს 49 ქულა აქვთ და მეექვსე ადგილზე არიან.

პირველ წყვილში მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ჯვაროსნებისთვის აქვს. თუ „სტორმერზი“ შინ „ლურჯი ხარების“ დამარცხებას შეძლებს, ქრაისთჩერჩელები გამარჯვების შემთხვევაში ცალი ფეხით პლეი ოფში იქნებიან.

ოქლენდელები სტუმრად ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ და მეტოქეს, სავარაუდოდ, დიდ ბრძოლას გაუმართავენ. განსაკუთრებით მრისხანედ გამოიყურება „ბლუზის“ უკანა ხაზი, შუამარბის პოზიციებზე ითამაშებენ **სტენლი ბენსონი** და **ლუკ მაკალისტერი,** მგეზავი სტივენ ბრეტი იქნება, დიდი იმედით უყურებენ „ბლუზის“ ქომაგები გარემარბებს, **ჯო რკოთოკოს** და **რენე რენჯერს.**

ჩიფსი-ჰარიკენზი

„კრუსეიდერზს“ ერთი დიდი დანაკლისი აქვს. - ტრავმის გამო ვერ ითამაშებს გუნდის ლიდერი და კაპიტანი **რიჩი მაკქოუ.** თუმცა მისმა დუბლიორმა **მეთ ტოდდმა** არაერთხელ დაამტკიცა, რომ რიჩის შეცვლა ნაკრებშიც შესანიშნავად შეუძლია.

სამაგიეროდ, მწყობრში არიან მგეზავი **დენ კარტერი** და შუამარბი **სონი ბილ ვილიამსი.** ერთი სიტყვით, ბუქმეიკერებს მიაჩნიათ, რომ მაკქოუს არყოფნის მიუხედავად, ფავორიტი მაინც „კრუსეიდერზია“.

სამხრეთაფრიკულ დერბიში „სტორმერზსა“ და „ბლუ ბულზს“ შორის მუდამ უშელავათო ბრძოლაა. ამჯერად სასწორზე უფრო მეტი რამ დევს, ვიდრე, უბრალოდ, ერთი კონკრეტული მატჩის ბედი. თუ „ლურჯი ხარები“ მოიგებენ, პლეი ოფში თამაშის უფლებას გაინაღდებენ, თუ არა, მაშინ დიდი შანსია მის მიღმა დარჩნენ.

აუცილებლად გამარჯვება სჭირდება „სტორმერზსაც“. ამ შემთხვევაში ის პლეი ოფში მასპინძლის უფლებას მოიპოვებს, თუ არადა, ბოლო ტურის შედეგის გათვალისწინებით ადვილი შესაძლებელია სტუმრად მოუწიოს თამაშმა.

XVII ტური

A ჯგუფი

ბრამბიზი-მელბურნ რებლზი 32:1, ვორათაზი-ჰაილენდერზი, ფორსი-რედსი

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 58 ქულა, 2. ვორათაზი - 47, 3. ბრამბიზი - 33, 4. ფორსე - 32, 5. მელბურნ რებლზი - 23

B ჯგუფი

ჩიფსი-ჰარიკენზი 18:18, კრუსეიდერზი-ბლუზი

საბურნირო მდგომარეობა

1. ბლუზი - 55 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 53, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჰარიკენზი - 41, 5. ჩიფსი - 40.

C ჯგუფი

ლაიონზი-ნატალ შარქსი, სტორმერზი-ბლუ ბულზი

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 57 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 51, 3. ბლუ ბულზი - 49, 4. ჩიტაზი - 35, 5. ლაიონზი - 23.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ქართული სპორტი

● ძიუდო. მწვრთნელთა სემინარი

ნაყოფიერი სემინარი

ევროპის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რუმინელმა **დანიელ ლასკაუმ** დაამთავრა მწვრთნელთა სამდღიანი სემინარი, რომელსაც ძიუდოს აკადემიამ უმასპინძლა. სემინარმა დიდი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით - პრაქტიკულმა მეცადინეობებმა, თუმცა მსმენელი არც თეორიულ ნაწილს აკლდა. ლასკაუ კარგი მასწავლებელიც ჩანს - დანვრილებით, ამომწურავად და მიმზიდველად განმარტავდა ნებისმიერ ნიუანსს - როგორ მონაწილეობს მთელი სხეული ილეთის შესრულებაში; როგორ უნდა მიიღო მომგებიანი პოზიცია შეტევისას; მეტოქის სტილიდან გამომდინარე, როგორ უნდა იჭიდაო სწრაფ მოგებაზე და სხვა... ჩვენებისთვის განსაკუთრებით საინტერესო ჩოქბჯენში ჭიდაობის და სხვა ისეთი ელემენტების შესწავლა იყო, რაშიც სერიოზულად მოვიკოჭლებთ. საბედნიეროდ, სემინარი იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, ცნობილმა მწვრთნელებმაც კი განაცხადეს, ბევრი ისეთი რამე ვისწავლეთ, რაც გვეგონა, რომ აქამდეც ვიცოდითო.

კმაყოფილი სტუმარიც იყო - დამსწრე კონტინგენტითაც და განსაკუთრებით ქართული სტუმარ-მასპინძლობით. ამიტომ არცაა გასაკვირი, ოქტომბერში განმეორებით სტუმრობის სურვილი რომ გამოთქვა.

მსგავსი მეცადინეობები მართლაც გვჭირდება. ქართული ძიუდო, ზოგადად ქართული სპორტი ხომ საკუთარ



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

წვენში იხარშება, ეს კი პროგრესს აფერხებს. ფაქტია - სპორტული წარმატებების მიუხედავად, წვრთნისა და ვარჯიშის თანამედროვე სტანდარტებს ჩამოვრჩებით, ეს კი სამომავლოდ შედეგებსაც აუცილებლად დაეტყობა. ამიტომაა სასურველი, რომ მსგავსი სემინარები სხვა ფედერაციებმაც ჩაატარონ. ეს განსაკუთრებით კარგი სამსახური რეგიონებში მომუშავეებისთვის იქნება - ამ სემინარზეც ბლომად იყვნენ რაიონების წარმომადგენლები და ვიდეოკასეტებზეც დიდი მოთხოვნილებაა.

სემინარის ბოლო დღეს ვარჯიშებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილიც** დაესწრო - ლასკაუს ჩამოსვლა სამინისტრომ დააფინანსა. მინისტრმა ხაზი გაუსვა სემინარის მნიშვნელობას და გამოთქვა სურვილი, მსგავსი მეცადინეობა მომავალშიც ჩატარდეს.

დანიელ ლასკაუ: მადლობა თქვენს ფედერაციას და გიორგი ალექსიძეს სემინარის ორგანიზებისა და ჩემი მოწვევისთვის. როცა რაღაცის განვითარება კარგად გვიხსნიდნენ. ბევრი დავიწყებული რამეც გავიხსენეთ და ახლა ვარჯიშები ბევრად უფრო გეგმიურად წავა. ეს ყველაფერი კი ბავშვებს გამოადგებათ.

შერმადინ დადვანი (ბოლნისი): ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდა ასეთი მაღალი დონის სპეციალისტის ჩამოყვანით. აქ ნასწავლი ძალიან წაგვადგება საქმეში.

რამინ ჯოხაძე (ქობულეთი): კარგი საქმე გაკეთდა. წამყვანი ილეთები პრაქტიკულადაც შევასრულეთ. სემინარი გათვლილი იყო როგორც ბავშვებზე, ასევე უფროსებზე. მადლობა ორგანიზატორებს. მწვრთნელებს ყოველთვის არ გვაქვს სწავლის ასეთი შესაძლებლობა.

ია ზღულაძე (საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი): იქნებ ეს ილეთები ისედაც ვიცოდი, მაგრამ აქ სულ სხვანაირად დავინახე, როგორც მსაჯმა. აქ ვისწავლე, როგორ უნდა გააარჩიო ერთმანეთისგან ნამდვილი და ცრუ შეტევა. მოკლედ, საჭირო სემინარი იყო.

ირაკლი თავაძე

● ჭლაჟბურთი. მსოფლიო ტური

საქა-რთველო მეთორმეტეა

პეკინში მიმდინარე მსოფლიოს ტურის მორიგ ეტაპზე ქართული წყვილი **საქა-რთველო** ასპარეზობას მერვედფინალში გამოეთიშა. ჩვენმა ფრენბურთელებმა მერვედფინალის შესარჩევ მატჩში მე-15 ნომრად განთესილი კანადური დუეტი **მარტინ-ლესარდი** ორ სეტში დაამარცხეს - 21:13, 21:17.

მერვედფინალში კი საქა-რთველოს მეტოქე ტურნირის ფავორიტი, მე-5 ნომრად განთესილი ამერიკული წყვილი **მეი-ტრინორი** იყო. ჩვენმა ფრენბურთელებმა მატჩი ორ სეტში წააგეს - 14:21, 11:21.

ამრიგად საქა-რთველომ პეკინში მე-12 ადგილი დაიკავა და 320 სარეიტინგო ქულა ირგუნა. 13 ივნისიდან კი ჩვენი ფრენბურთელები იტალიის დედაქალაქ რომში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაერთვებიან.

ბესიკ ჯანგავაძე

● ჩოგბურთი

მარცხი ხორვატ ანისთან

იტალიურ კამპობასოში (25 ათასი დოლარი) მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (258) მეორე წრეში ხორვატ **ანი მიაჩიკასთან** (332) წააგო - 4:6, 4:6. ასე რომ, ჩვენმა თანამემამულემ 8 სარეიტინგო ქულა იმყოფინა. უკეთ იასპარეზა ჩვენებურმა წყვილთა ბადეში, სადაც უზბეკ **ალბინა ხაბიბულინასთან** (502) ერთად მე-4 ნომრად იყო განთესილი. ამ დუეტმა ნახევარფინალამდე გააღწია, სადაც პირველ ნომრად განთესილ არგენტინელებთან, **მაილენ აუროსთან** (303) და **მარია ირიგოიენთან** (207) წააგეს - 4:6, 6:1, 8:10.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტაიმ-აუტი ლეონოსთან ერთად

1968 წელი. გრენობლი, საფრანგეთი ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ემბლემა და მედალი

● თარიღი. 11 - 17 ივნისი

11. 1958 წ. დაიბადა **უგო სანჩესი** — ფეხბურთი (მექსიკა)

12. 1905 წ. პარიზში ფიფას მეორე კონგრესზე ამ ორგანიზაციის წევრებად მიიღეს: ავსტრია, უნგრეთი, ინგლისი და იტალია

13. 1956 წ. პარიზში ჩატარდა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშება. ფინალი: „რეალი" (მადრიდი)-„რეიმსი" (საფრანგეთი) 4:3

13. 1974 წ. მიუნხენში გაიხსნა ფეხბურთში X მსოფლიოს ჩემპიონატი

13. 1982 წ. ესპანეთში გაიხსნა ფეხბურთში XII მსოფლიოს ჩემპიონატი

15. 1954 წ. შემუშავდა უეფას წესდების პროექტი

16. 1976 წ. ზაგრებში (იუგოსლავია) სტარტი აიღო ფეხბურთში ევროპის X ჩემპიონატმა

16. 1995 წ. სოკმა სოლტ ლეიკ სიტი ზამთრის მე-19 ოლიმპიური თამაშების მასპინძლად გამოაცხადა

17. 1962 წ. ბრაზილიის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

● ვიქტორინა

1. ვინ იყო პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა მოჭიდავეთა შორის?

ა — არსენ მეკოკიშვილი
ბ — აუგუსტ ენგლასი
გ — დავით ციმაკურიძე

2. დაასახელეთ ოლიმპიური ჩემპიონი 1952 წლის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც მანამდე სსრ კავშირის ჩემპიონი იყო უროს ტყორცნაში

ა — ბორის გუერვიჩი
ბ — იოხანეს კოტკასი
გ — შალვა ჩიხლაძე

3. ვინ იყო ის წყალბურთელი, რომელმაც ხუთ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა და სამჯერ გახდა ჩემპიონი, მოიპოვა ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს მედალი?

ა — დიოუი დიარმატი (უნგრეთი)
ბ — ალექსანდრ კაბანოვი (სსრკ)
გ — პეტრე მშვენიერაძე (სსრკ)

4. ოლიმპიადების ისტორიაში იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ერთმა სპორტსმენმა ჩემპიონის წოდება მოიპოვა ცურვაში, წყალბურთში კი ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. ვინ იყო იგი?

ა — იასუძუ მიაძაკი (იაპონია)
ბ — ჯონ დევისი (ავსტრალია)
გ — ჯონი ვაისმიულერი (აშშ)

5. ვინ აღიარეს ფეხბურთში მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად?

ა — პელე (ბრაზილია)
ბ — ბარინჩა (ბრაზილია)
გ — მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია)

ᲞᲘᲡᲣᲜᲘ: 1-Გ, 2-Დ, 3-Გ, 4-Გ, 5-Გ

● იყო ასეთი შემთხვევა

1908 წლის ოლიმპიადაში 400 მეტრზე ვაუთა ფინალური რბენის სტარტზე გამოვიდა ერთადერთი სპორტსმენი — ინგლისელი **უ. ჰოლს-უელი.** ოქროს მედლისთვის, მასთან ერთად კიდევ 3 ამერიკელ მძლეოსანს უნდა ებრძოლა. მსაჯთა კოლეგიამ ერთ-ერთი მთგანი წესების დარღვევისთვის მოხსნა. ორმა დანარჩენმა კი პროტესტის ნიშნად უარი თქვა ფინალში მონაწილეობაზე. ცხადია, ოქროს მედალი ინგლისელს გადაეცა.

● ღვთისავარ ანთაძის კუთხე

ფეხბურთი ახლო ხედით

მოთამაშეთა და ადგილების შეცვლა გუნდში

ოფიციალურ მატჩში ნებადართულია 3 მოთამაშის შეცვლა სათადარიგო მოთამაშით. საინტერესოა, რომ თავდაპირველად შეცვლა საერთოდ არ არსებობდა, მოგვიანებით კი ნებადართული იყო ჯერ ერთი, შემდეგ — ორი შეცვლა.

ამხანაგური შეხვედრების დროს შესაცვლელ მოთამაშეთა რაოდენობა უნდა დადგინდეს მონაწილე გუნდების წინასწარი შეთანხმებით. ამ შეთანხმების შესახებ მსაჯს უნდა ეცნობოს თამაშის დაწყების წინ. როცა სათადარიგო ფეხბურთელი შემოდის, საჭიროა სათადარიგო მსაჯმა შეამოწმოს მისი ვინაობა და ჩაცმულობა, ასევე, აღმართოს ამ ფეხბურთელთა ნომრები ტაბლოზე. ამ დროს მატჩი შეჩერებული უნდა იყოს. სათადარიგო ფეხბურთელი მოედანზე ვერ შემოვა, თუკი თანაგუნდელი არ დატოვებს მოედნის ფარგლებს. შეცვლილი ფეხბურთელი მატჩში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

მოთამაშეებს მოედანზე უფლება აქვთ გაცვალონ ფუნქციები. შეზღუდულია მეკარის ფუნქციების შეცვლა, ამის შესახებ მთავარ მსაჯს უნდა ეცნობოს. ფეხბურთელი, რომელიც კარში ჩადგება, ვალდებულია გადაიცვას ორივე გუნდისგან განსხვავებული ფერის ფორმა. მეკარე კი, რომელიც წინ გავა სათამაშოდ, თანაგუნდელთა ფორმით უნდა გამოვიდეს.

● თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ჭულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									6-0	5	I
B									2-1	5	II
C									1-2	4	III
D									1-8	1	IV

წინა ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		0:0	1:0	1:0	3	2	1	0	2-0	7	I
B	0:0		1:1	5:0	3	1	2	0	6-1	5	II
C	0:1	1:1		1:1	3	0	2	1	2-3	2	III
D	0:1	0:5	1:1		3	0	1	2	1-7	1	IV

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის** პროექტით

კროსვორდი



თარაზულად: 1. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის; 4. სპორტული სათევზაო ხელსაწყო; 8. ქუჩური კალათბურთი; 10. სპორტული რეჟიმის შემადგენელი ნაწილი; 11. საწყლისნო სპორტის სახეობა; 13. 80-იანი წლების "ლივერპულის" ვარსკვლავი; 14. XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს თავდამსხმელად აღიარებული ბრაზილიელი ფეხბურთელი; 15. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი კაპიტანი; 16. რიო-დე-ჟანეიროს საფეხბურთო კლუბი "ვასკო და ...."; 18. წარსულში ცნობილი რუმინელი ფეხბურთელი ... ჰაჯი; 19. "პორტუს" კაპიტანი მრავალი წლის მანძილზე; 22. გამოჩენილი ავსტრიელი ავტომრბოლელი; 26. "ლაციოს" გერმანელი თავდამსხმელი; 27. თერმეტმეტრიანი საჯარიმო ფეხბურთში; 28. თანამედროვე ხელბურთის სამშობლო; 29. "ლივერპულისა" და ესპანეთის ნაკრების მეკარე; 30. წარსულში ცნობილი ირლანდიელი ფორვარდი; 31. სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის აბრევიატურა.

შვეულად: 2. ფინიშის ფიქსირება ოპტიკურ-ელექტრონული სისტემით; 3. გამოჩენილი არგენტინელი მოჭადრაკე; 5. ფრანგი ჩოგბურთელი ... -ანრი მატიე; 6. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ჩოგბურთელი ქალი; 7. ახლომონათესავე ცხენების შეჯვარება; 9. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 12. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი; 16. თბილისის "დინამოს" ყოფილი კალათბურთელი; 17. მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი; 19. ცხენოსნობის პროგრამა — დაბრკოლებათა გადალახვა; 20. იუგოსლაველი მოჭადრაკე, დიდოსტატი; 21. ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი "პალმეირასის" ისტორიაში; 23. კრივში: გვერდული დარტყმა შორი მანძილიდან; 24. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი; 25. ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბი.

● კრივი



დევიდ ჰეი

ტაისონი: ჰეი მეორე რაუნდში წააგებს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა **მაიკ ტაისონმა** თავისი აზრი გამოთქვა ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის შესახებ, რომელშიც 2 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** და ბრიტანელი **დევიდ ჰეი**.

„ჰეის პრაქტიკულად შანსი არ აქვს. ის ძალიან „პატარაა“ სუპერმძიმე წონისთვის, თანაც ამ დივიზიონში სერიოზული გამოცდა არასოდეს გაუვლია. გამოცდილების მისაღებად მას ახალგაზრდა, ძლიერ და „მშიერ“ მოკრივეებთან უნდა ეჩხუბა, დევიდი კი რინგზე გადიოდა ვეტერანების - ვალუევის, რუისისა და ბარეტის წინააღმდეგ, თანაც მათ დასამარცხებლად ძალიან დიდ დროს ხარჯავდა. ის რომ ძლიერი ყოფილიყო, ამ მეტოქეებს გაცილებით იოლად გაუსწორდებოდა. საქმე ისაა, რომ ბრიტანელი ძალიან გადაფასებულია როგორც სუპერმძიმეწონოსანი - კლიჩკო მას პირველ ორ რაუნდში გაანადგურებს“, - ამბობს ESPN-თან კომენტარში ტაისონი

■ ■ ■

კვირა არ გავა, რომ პროფესიონალი მოკრივის გარდაცვალების ან დალუპვის შესახებ ცნობა არ გავრცელდეს. ამჯერად საქმე ეხება 22 წლის პუერტორიკოელ **ხუან გონსალესს**. ის თავის მშობლიურ ქალაქ ტოა-ბახაში მოკლეს. მოტოციკლით მიმავალ სპორტსმენს თავში ესროლეს.

გონსალესმა კარიერა 2009 წელს დაიწყო და 61.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პროფესიულ რინგზე მას 11-დან 11 ბრძოლა ჰქონდა მოგებული, მათ შორის ცხრა ნოკაუტით.

● ბოგბურთი

უიმბლდონის დანაკლისები

უიმბლდონის მონაწილეთა უმეტესი ნაწილი ცნობილია, თუმცა ტრავმების გამო სატურნირო ბადეში გარკვეული ცვლილებები ხდება. მაგალითად, როლან გაროსის შემდეგ „დიდი სლემის“ მესამე ტურნირსაც გამოტოვებს რუსი **ალისა კლეიბანოვა**. ოფიციალური მიზეზი - ავამდყოფობა გახლავთ. ბოლოს 21 წლის რუსმა პროფესიულ ტურში მაისში რომის ტურნირზე ითამაშა.

ასევე არ იქნება ძირითად ბადეში შვეიცარიელი **ტიმეა ბაშჩინსკი**. უკვე ცნობილია მისი შემცვლელი - რუსი **ვესნა დოლონცი**.

მოგეხსენებათ, კიდევ ერთმა რუსმა **დინარა საფინამ** დროებით შეწყვიტა კარიერა, ამიტომაც მისი ადგილი ძირითად ბადეში ფრანგმა **პოლინ პარმენტიემ** დაიკავა. ასევე შეავსეს ვაკანტური ადგილები ბელარუსებმა **ოლგა გოვორცოვამ** და **ანასტასია იაკიმოვამ**, უკრაინელმა **კატერინა ბონდარენკომ** და ავსტრიელმა **პატრისია მაიერმა**.

უიმბლდონიდან მოიხსნა ფრანგი **პოლ-ენრი მატიო**, რისი მიზეზიც მუხლის ტრავმა გახლავთ. ორგანიზატორებმა მის ნაცვლად ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი მიიწვიეს. ტრავმირებულ ლიტველს **რიჩარდას ბერანკისს** ფრანგი **ფლორან სერა** შეცვლის, ჰოლანდიელი **ტიემო დე ბაკერის** ნაცვლად კი გერმანელი **დენის გრემელმაიერი** ითამაშებს.

● ჰოკეი

მოდანომ ნასვლა გადაიფიქრა

ცნობილი ვეტერანი **მაიკ მოდანო** გასული სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ ახლა გადაიფიქრა და მინიმუმ ერთი წლით სურს NHL-ში დარჩენა. პირველი ივლისიდან 40 წლის ფორვარდი შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება. ის მზად არის ნებისმიერი წინადადების განსახილველად.

„ჩემთვის NHL-ის კარი ჯერ დაკეტილი არ არის, - ამბობს მოდანო. - *მზად ვარ ნებისმიერი წინადადება განვიხილო. მაგრამ თუ ღირებულ შეთავაზებას არ მივიღებ, მაშინ იძულებული ვიქნები კარიერის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღო“.*

● ოლიმპიზმი

კალათბურთის დარბაზი მზად არის

ლონდონში დასრულდა 12-ათასადგილიანი დარბაზის მშენებლობა, რომელიც 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე კალათბურთის მატჩებს უმასპინძლებს. ამ ინფორმაციას ზაფხულის თამაშების ოფიციალური ვებგვერდი აქვეყნებს.

ეს უკვე მეოთხე ოლიმპიური ობიექტია, რომელიც მზად არის სპორტსმენების მისაღებად. მანამდე საორგანიზაციო კომიტეტმა ოლიმპიური სტადიონი, ველოტრეკი და ხელბურთის არენა ჩაიბარა.

საკალათბურთო სტადიონის მშენებლობა 2009 წელს დაიწყო და ის სხვა ოლიმპიურ ობიექტებზე სწრაფად აშენდა. ლონდონის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ არენას დაშლიან და სხვა ადგილას გადაიტანენ.

მიუნხენი ფავორიტია

ავტორიტეტულმა Around the Rings-მა, რომელიც ოლიმპიურ თემებზე მუშაობით არის განთქმული, 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის მთავარ პრეტენდენტად გერმანიის ქალაქი მიუნხენი მიიჩნია.

გამოცემის შეფასებით, ამ მომენტისთვის მიუნხენს 100 შესაძლებლიდან 83 ქულა ეკუთვნის. მეორე ადგილზეა ჩრდილო კორეის პიონჩანგი - 79 ქულა, მესამეზე - საფრანგეთის კურორტი ანსი 67 ქულით.

● ბოგბურთი. ტურნირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი დღე არგენტინელებისთვის

ტრადიციულად, მორიგი სათამაშო დღის მიმოხილვას ლონდონის ტურნირიდან დავიწყებთ, სადაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი რადეკ შტეპანეკის** წინააღმდეგ თამაშობდა და სერიოზულად ანერვიულა საკუთარი გულშემატკივარი. არადა, ესპანელს შეეძლო აქამდე საქმე არ მიეყვანა. პირველი სეტის მოგების შემდეგ რაფა მეორეში 5:3-ს იგებდა და საკუთარ მონოდებაზე ორი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ ჩეხმა პატარა სასწაული მოახდინა - ჯერ ეს ორი საფრთხე მოიგერია, შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5. თუმცა ფავორიტმა ძალიან მალე გამოასწორა სიტუაცია, მესამე სეტში 4:0 დანინაურდა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ლეიტონ ჰიუიტი

შემდეგ შეხვედრაში ნადალი ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდება, რომელმაც ფრანგულ დერბიში მხოლოდ 23 წუთი გაატარა კორტზე - **მიკაელ ლოდრამ** მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და პირველი პარტიის დასრულებაც ვერ შეძლო.

კიდევ ერთმა ფრანგმა კი დღის მთავარი სენსაცია შემოგვთავაზა - **ადრიან მანარინომ** ორ სეტში მოუგო **ხუან მარტინ დელ პოტროს**. არგენტინელმა 16 ეისის ჩაწოდება შეძლო, მაგრამ ამასთან, ათიდან მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა. ფრანგს ბრეიკ-პოინტების გამოყენების ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა - ორიდან ორი. საბოლოოდ, დინიშნა ორი ტაი-ბრეიკი და ორივეში უკეთ ფრანგი გამოიყურებოდა. მანარინომ ორ საათში თავის კარიერაში ჯერჯერობით უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

ასევე ორ სეტში მოუგო მასპინძელმა **ენდი მიურეიმ** სერბ **იანკო ტიპსარევიჩს**. ეს შეხვედრა პირველ პარტიაში 4:4-ზე ერთი საათით შეწყდა. თამაში მიურეის ბრეიკით განახლდა და სეტი ბრიტანელმა 6:4 მოიგო, მეორეში კი ტაი-ბრეიკი დასჭირდა გასამარჯვებლად.

ასევე აღვნიშნავთ ერთ სეტში **ტომაშ ბელუჩის** „მშრალი“ ანგარიშით მოგებას **მარინ ჩილიჩის** წინააღმდეგ, თუმცა მატჩი ხორვატი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა. ბოლო დროს ფორმადაკარგული **ფერნანდო ვერდასკო**, როგორც ჩანს, იბრუნებს საჭირო კონდიციებს, ყოველ შემთხვევაში, ესპანელმა მოულოდნელად იოლად მოუგო კიდევ ერთ არგენტინელ ფავორიტს **დავიდ ნალბანდიანს**.

■ ■ ■

ორჯერ ნაკლები მატჩი ჩატარდა ჰალეში და აქაც დასრულდა მერვედფინალური ეტაპი. **გაელ მონფილსმა**, რომელსაც დებიუტი აქვს ამ ტურნირში, **ივან დოდიგი** დაამარცხა. საინტერესოა, რომ ფრანგმა ხუთიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი მოიგო. ხორვატს ამ სეზონში ოთხი მეოთხედფინალი და ATP-ის ერთი მოგებული ტურნირი აქვს, თუმცა მონფილსის წინააღმდეგ მხოლოდ 51 წუთი გაძლო.

მოიგო კარიერის პიკზე მყოფმა **ფლორიან მაიერმა** (ამჟამად რეიტინგის საუკეთესო ოცეულში შედის). გერმანელმა ამ დღეს ტაივანელი **იენ-ჰსუნ ლუ** 13 ეისის დახმარებით დაამარცხა. როგორც ჩანს, კარგად მოემზადა ბალახის სეზონისთვის ბოლო დროს მივიწყებული **ლეიტონ ჰიუიტი**. უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა 80 წუთში მოუგო **ანდრეას სეპის** და ჯერჯერობით წარმატებით იცავს შარშანდელ ტიტულს, რომელიც **როჯერ ფედერერის** დამარცხებით მოიპოვა.

უშანსოდ წააგო ავსტრალიის ღია პირველობის სენსაციამ **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა** გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერთან**. უკრაინელს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია და ამიტომაც კოლშრაიბერის უპირატესობაში ეჭვი არავის შეუტანია.

■ ■ ■

ოთხივე მეოთხედფინალური წყვილი გაირკვა ბირმინგემში და მცირე მოულოდნელობებიც დაფიქსირდა.

ზელანდიელმა **მარინა ერაკოვიჩმა** 17-დან შვიდი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და მოუგო იტალიელ **სარა ერანის**. სხვათა შორის, შარშან ეს ჩოგბურთელები ამავე ტურნირზე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ერანიმ გაიმარჯვა, ასე რომ, ამჯერად რევანში შედგა.

ასევე მოულოდნელობათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ **არავან რეზაის** წაგება **ელისონ რისკესგან**. თუმცა ფრანგს 11 ბრეიკ-პოინტიდან ერთზე მეტი რომ გამოეყენებინა, შეხვედრა, შესაძლოა, მის სასარგებლოდ დასრულებულიყო.

ATP

AEGON Championships
ლონდონი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 627 700 ევრო

1/8 ფინალი

ადრიან მანარინო (საფ)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 12) 7:6, 7:6; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-კევინ ანდერსონი (აფრ, 15) 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 9) 7:5, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 14) 6:4, 7:6; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-მიკაელ ლოდრა (საფ, 10) 4:3 უარი; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:3, 5:7, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 8)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა, 11) 7:6, 0:6, 6:3; ჯეიმს უორდი (ბრიტ)-ენდრ კუერი (აშშ, 13) 3:6, 6:3 გადაიდო.

Gerry Weber Open
ჰალე (გერმანია). ბალახი
საპრიზო ფონდი: 663 750 ევრო

1/8 ფინალი

ფლორიან მაიერი (გერ, 6)-ენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 7:6, 3:6, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 3)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:2, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 7) 6:3, 7:6; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:4, 6:4.

WTA

AEGON Classic
ბირმინგემი (ბრიტანეთი). ბალახი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

1/8 ფინალი

ანა ივანოვიჩი (სერ, 2)-რებეკა მარინო (კან, 13) 6:3, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ, 3)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 7:6(1), 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ალა კუდიავცევა (რუს, 16) 6:4, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-სარა ერანი (იტა, 7) 5:7, 6:4, 6:3; ალისონ რისკე (აშშ)-არავან რეზაი (საფ, 8) 7:5, 6:7(6), 6:2; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 14)**-არინა როდიონოვა (რუს) 6:7(1), 6:0, 6:1; **მირიანა ლუჩიჩი (ხორ)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:2, 7:6(4); **საბინ ლისიცკი (გერ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 7:6(1), 6:4.

Danish Open

კოპენჰაგენი (დანია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 220 000 ევრო

1/8 ფინალი

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-ანჟელიკ კერბერი (გერ) 7:6(4), 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ, 3)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:7(1), 6:0, 7:6(5); **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 4)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:7(4), 6:4, 6:2; **შუაი ჟანგი (ჩინ)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:3, 2:6, 6:3.


რობინ სიოდერლინგი

სიოდერლინგის უარი დევისის თასს

შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს დევისის თასის მეოთხედფინალში თამაში შვედეთის ნაკრებს. ეს გუნდი 8-10 ივლისს საკუთარ მოედანზე უნდა შეხვდეს მოქმედ ჩემპიონ სერბეთს და მასპინძლებს **რობინ სიოდერლინგის** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა, რაც თითქმის არ უტოვებს შანსს სკანდინავთა გუნდს.

სტოკჰოლმში გამართულ პრესკონფერენციაზე სიოდერლინგმა აღნიშნა, რომ გადატვირთულ კალენდარში აუცილებლად სჭირდება თავისუფალი დღეების მონახვა, რათა თავიდან აიცილოს ტრავმები და ნერვული დაძაბულობა.

„მჭიდრო სატურნირო გრაფიკი, მტკივანი ფეხი და საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ მიტოვებს დევისის თასზე გამოსვლის შანსს“, - ამბობს სიოდერლინგი.

შვედების კაპიტანმა **ტომას ენკვისტმა** აღნიშნა, რომ მეოთხედფინალში რობინის არყოფნა მის გუნდს წარმატების მინიმალურ შანსს უტოვებს.

მატჩი შვედეთის ქალაქ ჰალმსტადში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1

ჩემპიონობა 422 მილიონი ღირს



ფორმულა 1-ის წამყვანი გუნდი „რედ ბული“ „სამეფო სერიაში“ 2004 წლის ბოლოს გამოჩნდა, როცა ენერგეტიკული სასმელების მწარმოებელმა კომპანიამ „ფორდისგან“ გამოისყიდა საჯინიბო. ამ შვიდი წლის განმავლობაში „რედ ბული“ მუდმივად პროგრესს განიცდიდა და საბოლოოდ, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. და ახლა გაირკვა, რომ ეს ტრიუმფი **დიტრიხ მატეშიცის** კომპანიას 422 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა.

2005 წელს ავსტრიულმა კომპანიამ 58,3 მილიონი ფუნტი ჩადო შვილობილი ფირმის - Red Bull Technology-ის შექმნაში. 2006 წელს ინვესტიციამ 89,2 მილიონი შეადგინა, 2007 წელს - 78,2 მილიონი. 2008 და 2009 წლებში ავტოსპორტში ჩადებული თანხების ოდენობა შესაბამისად 79 და 82,5 მილიონს უდრიდა.

ნამდვილი გარღვევა 2010 წელს მოხდა, როცა კომპანიამ გუნდისთვის 106 მილიონი გამოყო, აქედან 96,9 მილიონი პირადად „რედ ბულის“ მფლობელმა გაიღო. გამოდის, რომ საჯინიბოს ბიუჯეტი სულ რაღაც ხუთ წელიწადში გაორმაგდა.

მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, გუნდი ბოლიდის შექმნას მის პრეზენტაციამდე ერთი წლით ადრე იწყებდა, ამიტომაც ტექნიკურ კვლევებსა და მანქანის შექმნაზე ხარჯები 18,8 პროცენტით გაიზარდა და 57,2 მილიონი ფუნტი შეადგინა. კომპანიამ ასევე 4,9 მილიონი ჩადო საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის და პერსონალის შრომითი პირობების ამაღლებისთვის - თანამშრომლების სახელფასო ბიუჯეტი 45,9 მილიონ ფუნტს გაუტოლდა. ამ თანხიდან გერმანელი პილოტი **სებასტიან ფეტელი** დაახლოებით 9,8 მილიონ ფუნტს იღებდა, ავსტრალიელი **მარკ უებერი** - 3,7 მილიონს.

ამასთან, გუნდს მოგებაც მოაქვს. 2009 წელს მან საპრიზო ჰონორარებითა და სხვა შემოსავლებით დაახლოებით 160 მილიონი მოიტანა, ანუ მოგებამ 3.9 მილიონი შეადგინა. გარდა ამისა, ავსტრიული საჯინიბო ძალიან მომხიბვლელია რეკლამის თვალსაზრისით, რადგან მას ყველაზე ხშირად აჩვენებენ ტელეეკრანზე. 2009 წელს სარეკლამო შემოსავალმა 136,9 მილიონი დოლარი შეადგინა, 2010 წელს - 219,9 მილიონი.

მიუხედავად ამისა, „რედ ბული“ არ მიიჩნევა ფინანსური თვალსაზრისით ჩემპიონატის ყველაზე ეფექტურ გუნდად. ეს ტიტული ეკუთვნის „მაკლარენს“, რომელიც შარშანდელ სეზონში მეორე ადგილზე გავიდა. 2010 წელს ბრიტანული საჯინიბო თითო მოპოვებულ ქულაზე 350 ათას ფუნტს ხარჯავდა, „რედ ბული“ - 374 ათასს.

ბაჰრეინის საბოლოო უარი

ბაჰრეინის გრანპრის ორგანიზატორები შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ წელს საჰირის ავტოდრომზე ფორმულა 1-ის ეტაპი არ გაიმართება - თავიდან ამას ხელი შეუშალა პოლიტიკურმა კრიზისმა, შემდეგ კი გუნდების პოზიციამ, რომლებმაც არ მოინდომეს სეზონის დეკემბერამდე გაგრძელება.

გუშინ ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც 2012 წელს დაბრუნების იმედი გამოთქვეს. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეიტანენ კორექტივებს ნლევანდელ კალენდარში, მაგრამ თითქმის გარკვეულია, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ძველ ვერსიას დაუბრუნდება - ინდოეთის გრანპრი 30 ოქტომბერს გაიმართება, 2011 ნლის სეზონი კი 27 ნოემბერს ბრაზილიაში დასრულდება.



ბაჰრეინს ისევ წითელი აუნთეს

„გაგვიხარდა, რომ ფედერაციამ ბაჰრეინის ეტაპის თარიღად 30 ოქტომბერი გამოაცხადა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ პატივს ვცემთ ამ გადაწყვეტილებას.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პოზიცია ბოლომდე კონსტრუქციული იყოს, ამიტომაც სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე ამ სეზონში აღარ ვეცდებით გრანპრის გამართვას. იმედი გვაქვს, მომავალ სეზონში ვუმასპინძლებთ გუნდებს, პილოტებსა და გულშემატკივრებს“, - წერია განცხადებაში.

პენსიაში 82 წლიდან

ლეგენდარულმა **სტირლინგ მოსმა** ერთ-ერთი ბრიტანული რადიოს ეთერში გამოაცხადა სარბოლო კარიერის საბოლოოდ დასრულების შესახებ. 82 ნლის (!) ბრიტანელი ამ უქმეებზე ლე მანში უნდა გამოსულიყო ისტორიული მანქანების 24-საათიან რბოლაში, მაგრამ ვარჯიშების დროს მიხვდა, რომ ასაკი აღარ უწყობს ხელს ტრასაზე გასასვლელად.

„პირველად შემეშინდა საკუთარი თავის გამო, - განაცხადა ფორმულა 1-ის ოთხგზის ვიცე-ჩემპიონმა. - *ადრეც არაერთხელ მითქვამს - თუ ვიგრძნობ, რომ თავს ვერ ვართმევ რბოლას და სხვებს ხელს ვუშლი, მაშინვე შევწყვეტ გამოსვლას“.*

თავისი ბრწყინვალე კარიერა სტირლინგმა 18 ნლის ასაკში დაიწყო, სხვადასხვა სერიაში უამრავი რბოლა მოიგო, მათ შორის ფორმულა 1-ის 16 ეტაპი. ის ჰუდვუდში ისტორიული ფესტივალის მფლობელია და თავადაც პერიოდულად გამოდიოდა ვეტერანთა რბოლებში.

უფრო სწორად - გამოდიოდა. უკან დარჩა 63-ნლიანი კარიერა. *„ვაღმერთებ რბოლებს, მაგრამ გაჩერების დრო მოვიდა“*, - განაცხადა ბრიტანელმა.

სტირლინგ მოსი

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ჰილმა თანამდებობა დატოვა

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **დეიმონ ჰილმა** ნებაყოფლობით დატოვა ბრიტანეთის სამეფო ავტოკლუბის პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც 2006 ნლიდან ეკავა.

ბრიტანელმა პილოტმა განაცხადა, რომ კლუბი მყარად დადგა ფეხზე და მისი ფინანსური მდგომარეობა ეჭვს აღარ ინვევს. ჰილის მოღვაწეობის მთავარი მიღწევაა სილვერსტოუნში ბრიტანეთის გრანპრის მრავალი ნლით შენარჩუნება.

ავტოკლუბის პრეზიდენტის პოსტზე ერთადერთ კანდიდატად ფორმულა 1-ის ექსპილოტი **დერეკ უორვიკი** მიიჩნევა. არჩევნები 25 აგვისტოს გაიმართება.

პერესი ჯანადაში ირბოლებს

მონაკოს სარბოლო უქმეებისას დაშავებული მექსიკელი პილოტი **სერხიო პერესი** შეძლებს ამ კვირას კანადის გრანპრიში მონაწილეობას. „ზაუბერის“ ნევრის თქმით, ის თავს შესანიშნავად გრძნობს და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვს.

„ყველა საჭირო კვლევა ჩავიტარე და სამედიცინო ტესტებიც გავიარე, - ამბობს პერესი. - *ექიმებმა რბოლებზე დამიშვეს, ასე რომ, შევძლებ კანადაში სტარტზე გასვლას. რამდენიმე დღე შინ, მექსიკაში გავატარე და ძალები აღვიდგინე. თავს შესანიშნავად ვგრძნობ“.*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ბულონის ფესტივალი. U 21

მექსიკა-იტალია	1:1 პენ 4:5
კოლუმბია-საფრანგეთი	1:1 პენ 3:1

ნორვეგია

ბრანი-სიოგნდალი	2:0

ფინეთი

მარიეჰამნი-იარო	3:1

ირლანდია

ბოჰემიანსი-სლიგო	0:0
დანდალკი-დროგედა	1:2
გალვეი-ბრეი	0:3
სტ. პატსი-დერი	1:1
უნივერსიტი-შემროკი	1:5

II დივიზიონი

კორკი-ეთლონი	2:0
შელბურნი-მერვუ	4:0

რუსეთი

ტომი-ლოკომოტივი	2:2
ანჟი-ნალჩიკი	2:0
ყუბანი-ამკარი	3:2
ტერეკი-ცსკა	2:4
ვოლგა-კრილია	2:0
დინამო-ზენიტი	1:1
როსტოვი-კრასნოდარი	**1:3**
სპარტაკი-რუბინი	**0:0**

ალბერტვილი. ლიგა

ბანგა-ატლანტასი	**3:0**
სუდუვა-კაუნასი	**3:0**

კალათბურთი

რუსეთი

უნიქსი-ლოკომოტივი	**81:74**

ჩოგბურთი

ATP. აბუ ზაბი

რაონიჩი-**პეტშცნერი**	3:6, 7:6, 3:6
ჰიუიტი-**კოლშრაიბერი**	6:7, 3:6
ბერდიხი-ტროიცკი	7:6, 6:1
მონფილსი-ფ. მაიერი	6:4, 6:4

ATP. ლონდონი

როდიკი-ვერდასკო	6:2, 6:2
კუერი-**უორდი**	6:3, 3:6, 4:6
ნადალი-**ცონგა**	7:6, 4:6, 1:6
მიურეი-ჩილიჩი	გადადიდო

WTA. ბირმინგემი

ჰანტუხოვა-რისკე	6:2, 6:4
ივანოვიჩი-ლუჩიჩი	6:3, 6:4
პენგი-ერაკოვიჩი	6:4, 4:6, 6:3
ლისიცკი-რიბარიკოვა	7:6, 6:4

WTA. კოპენჰაგენი

ა. ბონდარენკო-**მარტიჩი**	4:6, 6:3, 3:6
საფაროვა-ჟანგი	4:6, 6:0, 7:6
მატეკი-**ბარტელი**	6:1, 3:6, 4:6
ვოზნიაცკი-ბრიანტი	6:0, 6:1

● TV პროგრამა

11 ივნისი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
12:00 ჩემპიონის გზა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ უნაიტედი.
14:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. აშშ-ჩინეთი. შვეიცარია.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
21:00 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
22:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
23:30 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრაადფუსხაპი.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულო-გრემიო (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-იტალია. შვეიცარია.
12:20 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეორე მატჩი.
14:15 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იაპონია-კუბა. შვეიცარია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
20:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
23:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი.

HTB-პლუსი (სპორტი)

15:40 თანამედროვე ხუთჭიდი. კრემლის თასი. ქალები. რუსეთი (LIVE).
18:30 თანამედროვე ხუთჭიდი. კრემლის თასი. ქალები. რუსეთი (LIVE).
23:00 მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. VII ეტაპი, ნიუ იორკი. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
20:25 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
22:55 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. 1/2 ფინალი. შვეიცარია (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულო-გრემიო (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

16:00 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
18:30 ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. ცსკა-ხიმკი. პირველი მატჩი (LIVE).

SPORT+

19:00 ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. მონაკო (LIVE).

EUROSPORT

11:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. გასახურებელი წრე. საფრანგეთი (LIVE).
12:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. ლეგენდების რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
16:45 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
18:15 ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. VII ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
02:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
05:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ბირმინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
18:15 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. იტალია (LIVE).
00:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. ჯგუფური ეტაპი. კანადა-გვადელუპა. აშშ (LIVE).

12 ივნისი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულო-გრემიო
12:00 ჩემპიონის გზა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრაადფუსხაპი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
15:30 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. მე-3 ადგილისთვის. შვეიცარია (LIVE).
18:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ფინალი. შვეიცარია (LIVE).
20:30 გადაცემა - სპორტის ვარსკვლავები.
21:00 ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
23:00 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ველეს სარსფილდი (LIVE).
01:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-ბარსელონა.
11:45 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
20:30 ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.
22:30 ფეხბურთი ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ფლუმინენსე (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეხუთე მატჩი.
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეექვსე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ფლუმინენსე (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

14:40 თანამედროვე ხუთჭიდი. კრემლის თასი. კაცები. რუსეთი (LIVE).
17:50 თანამედროვე ხუთჭიდი. კრემლის თასი. კაცები. რუსეთი (LIVE).
19:00 ცურვა. საერთაშორისო სერია - MARE NOSTRUM. მონაკო (LIVE).
03:50 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეექვსე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

17:20 აკადემიური ნიჩბოსნობა. რუსეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

15:00 ATP-ის ტური. ფინალი. ჰალე. გერმანია (LIVE).
18:00 WTA-ის ტური. ფინალი. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

18:45 კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. ცსკა-ხიმკი. მეორე მატჩი (LIVE).

SPORT+

14:00 ჩოგბურთი. ტურნირი „ჩოგბურთის ლეგენდები“. რუსეთი (LIVE).
16:55 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი. რუსეთი-ბელარუსი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო (LIVE).
15:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. VIII ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

10:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი (LIVE).
11:30 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
13:45 ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. საფრანგეთი (LIVE).
15:00 სუპერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან მარინო (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ბირმინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 სუპერბეიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რბოლა. სან მარინო (LIVE).
02:00 ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. ჯგუფური ეტაპი. სალვადორი-კუბა. აშშ (LIVE).

● კალათბურთი

იასმინ რეპეშა

რეალს რეპეშა ჩაიბარებს

ესპანური გამოცემა AS ამტკიცებს, რომ ხორვატი სპეციალისტი **იასმინ რეპეშა** მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალს“ ჩაუდგება სათავეში. როგორც ირკვევა, მხოლოდ რეპეშა დათანხმდა იმ პირობებს, რომელსაც „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობა მომავალ მწვრთნელს სთავაზობდა. სავარაუდოდ, იასმინი სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. გუშინ ხორვატი „რეალის“ კუთვნილ სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შენიშნეს.

რეპეშას ალტერნატივა იყო სევილიას „კახასოლის“ დამრიგებელი **ხოან პლასა**, რომელიც რამდენიმე წლის წინ ავარჯიშებდა მადრიდულ კლუბს. **სიმონე პიანიჯანის, პედრო მარტინესისა** და **სვეტისლავ პეშიჩის** კანდიდატურები არც კი განხილულა. მთავარი კანდიდატები იყვნენ **ნევენ სპაჰია** და **ჟელკო ობრადოვიჩი**, მაგრამ მათ უარი განაცხადეს „ფენერბაჰჩესა“ და „პანათინაიკოსის“ დატოვებაზე.

ბოლო ორი სეზონი რეპეშამ იტალიის „ბენეტონში“ გაატარა, სადაც ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეების მომზადება შეძლო. დაახლოებით იმავეს ითხოვენ მისგან „რეალში“. ცნობისთვის, საინტერესოა, რა ბედი ეწევა **ნოვიცა ველიჩკოვიჩს** - გამორიცხული არ არის, რეპეშას მოსვლის შემდეგ სერბი მადრიდში დარჩეს. მანამდე იტყობინებოდნენ, რომ ველიჩკოვიჩი „რეალიდან“ „პანათინაიკოსში“ აპირებდა გადასვლას.

● კვირის ბოლოს

ბოლო იმედის ფოლი

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

დალასი ჭიგულს მიუახლოვდა

სერიის მეხუთე მატჩში „მაიამის“ გამარჯვება პრაქტიკულად ამ გუნდის საჩემპიონო ტრიუმფის ტოლფასი იქნებოდა, რადგან რთული წარმოსადგენია, რომ ფლორიდაში გასამართი ორი მატჩიდან „ჰიტი“ ორივეს წააგებს. ამიტომაც „დალასს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ მატჩს „მაიამისთვის“, რადგან წაგების შემთხვევაში „მავერიქსი“ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მიიღებდა.

მატჩის წინ „მავერიქსმა“ დაკარგა სათადარიგო ცენტრი **ბრენდან ჰეივუდი**. გარდა ამისა, **რიკ კარლაილმა** კვლავ სასტარტოში დააყენა **ხოსე ბარეა** და საბოლოოდ დასვა რეზერვში **დეშოუნ სტივენსონი**.

შეხვედრის დებიუტი საკმაოდ მოულოდნელი გამოვიდა. პირველ რიგში გასაკვირი იყო ის, რომ ორივე გუნდმა აქცენტი არა დაცვაზე, არამედ შეტევაზე გადაიტანა. თავდაპირველად ასეთი თამაში მასპინძლებს აძლევდათ ხელს. პერიმეტრიდან სროლებმა და ნოვიცკის რამდენიმე ზუსტმა ტყორცნამ ტექსასელთა უპირატესობა გამოკვეთა - 12-წუთეულის შუაში „დალასი“ შვიდი ქულით გავიდა წინ.

თუმცა „ჰიტსაც“ ჰქონდა თავისი კოზირები. მეოთხედის ბოლოს საკუთარი სიტყვა თქვა „მაიამის“ რეზერვმა **ჩელმერსის** მეთაურობით. მარიოს პირველ ტაიმში ოთხი სამქულიანი დაუგროვდა, მათ შორის ერთი თითქმის ცენტრიდან, რითაც მეოთხედი სტუმრებმა ერთი ქულით მოიგეს.

მეორე მეოთხედში გუნდები ოდნავ დამშვიდნენ, მაგრამ დაცვა ისევ დავიწყებული იყო. „ჰიტმა“ მოპოვებული უპირატესობის განვრცობა დაიწყო. ამ პერიოდში სტუმრების დამრტყმელი ძალა იყო **კრის ბოში**. **უეიდისა** და „გაღვიძებული“ **ჯეიმსის** აქტიური დახმარებით სტუმრები ექვსი ქულით გავიდნენ წინ. თუმცა მასპინძლები ვალში არ დარჩენილან. **ნოვიცკიმ, ტერიმ** და **ჩენდლერმა** დროულად აღადგინეს სტატუს-კვო: ბოლოსკენ კარლაილის შეგირდებმა კიდევ რამდენიმე შედეგიანი შეტევა განახორციელეს და დიდ შესვენებაზე 60:57-ით გავიდნენ.

მეორე მეოთხედის დასაწყისი სტუმრებისთვის სრული კოშმარი აღმოჩნდა. ამის მთავარი მიზეზი გახდა დუეინ უეიდი, რომელმაც ამ მეოთხედის დიდი ნაწილი გასახდელში გაატარა, სადაც ექიმები ევლებოდნენ თავს. მეორე მეოთხედში **ბრაიან კარდინალთან** შეჯახების შემდეგ უეიდს დრო დასჭირდა მოედანზე დასაბრუნებლად. ამ დროის განმავლობაში „მავერიქსმა“ „აინყვიტა“. როგორც კი მეტოქემ დაკარგა მოთამაშე, რომელიც პერიმეტრზე დაცვას იჭერდა, ტექსასელებმა საყვარელი სამქულიანების სროლას მოუხშირეს. ყველაზე კარგად ეს ბარეას გამოსდიოდა, რომელმაც, როგორც იქნა, ჩვეული დონე აჩვენა.

თუმცა **სპოელსტრას** შეგირდებიც ქების ღირსნი არიან. მეტოქის გარღვევის მიუხედავად, მათ შორს არ გაუშვეს „დალასი“. ლებრონ ჯეიმსმა იზრუნა იმისთვის, რომ თამაში ფინალურ სირენამდე დიდი ხნით ადრე არ დასრულდა. ხოლო, როცა მოედანზე უეიდი დაბრუნდა, სტუმრებს კიდევ უფრო გაუადვილდათ თამაში. სამქულიანი შეტევების შეჩერების შემდეგ „მაიამიმ“ ოდნავ შეამცირა სხვაობა, რომელმაც ბოლო მეოთხედის წინ ხუთი ქულა შეადგინა.

მეოთხე მეოთხედმა გვარიანად ანერვიულა მაყურებელი. თუმცა თავიდან ტექსასელები უნარიანად აკონტროლებდნენ თამაშს და სტუმრებს შანსს არ უტოვებდნენ. ნოვიცკი და ბარეა ისევ ზუსტად ისროდნენ და დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ შვიდქულიან უპირატესობას. მაგრამ ფლორიდელებმა ბოლოს მაინც გაისროლეს, თანაც ისე, რომ კინაღამ აართვეს მასპინძლებს თითქმის გარანტირებული გამარჯვება. გარდა იმისა, რომ სტუმრები კარგად გრძნობდნენ თავს დაცვაში, ისინი იოლ ქულებს აგროვებდნენ ფარქვეშ. თუმცა ამ ყველაფერში „დალასის“ კალათბურთელებიც იყვნენ დამნაშავენი, რომლებიც საკუთარ სამწამიანს დაუცველს ტოვებდნენ. საბოლოოდ, საფინალო სირენამდე სამწუთ-ნახევრით ადრე „ჰიტმა“ სამქულიანი უპირატესობა მიიღო.

მაგრამ „დალასისთვის“ ხასიათის დემონსტრირება ჩვეული ამბავია და არც ამჯერად უღალატა ტრადიციას. **ჯეისონ ტერის** სამქულიანმა ფანტასტიკურ გაქცევას დაუდო სათავე. „ჰიტის“ შეტევა საერთოდ მოიშალა, ლებრონ ჯეიმსს კი, რომელსაც იმ მომენტისთვის უკვე გაფორმებული ჰქონდა სამმაგი-დუბლი, ბოლო მეოთხედში ქულათა გრაფაში „ორიანი“ ეწერა. სტუმრებმა ნოკდაუნი **ჯეისონ კიდის** სამქულიანისგან მიიღეს - წუთნახევრით ადრე სხვაობა ხუთ ქულამდე ავიდა, ხოლო ნოკაუტი გახდა ტერის შორეული ტყორცნა - რვა ქულა. საქმე გაკეთებული იყო.

ახლა სერია მაიამიში ბრუნდება, სადაც „ჰიტს“ ზედიზედ ორი გამარჯვება სჭირდება. სწორედ ასეთ სიტუაციაში მოიგო შარშან ჩემპიონობა „ლეიკერსმა“, რომელიც ასევე აგებდა სერიას - 2:3. *„მთელი წელი იმისთვის ვიბრძოდით, რომ საკუთარი მოედნის უპირატესობა მოგვეპოვებინა. ახლა უბრალოდ უნდა დავიცვათ ის“*, - განაცხადა ბოშმა. რა თქმა უნდა, ეს იოლი საქმე არ იქნება.

ფინალი V მატჩი

დალასი-მაიამი	112:103

30:31, 30:26, 24:22, 28:24

დ: ნოვიცკი (29+6 მოხსნა+3 პასი), ტერი (21+6 პასი), ბარეა (17+5 პასი), ჩენდლერი (13+7 მოხსნა+2 დაფარება), კიდი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), მერიონი (8+3 პასი), სტივენსონი (4), კარდინალი (4), მაინმი (3).

მ: უეიდი (23+8 პასი), ბოში (19+10 მოხსნა), ჯეიმსი (17+10 მოხსნა+10 პასი), ჩელმერსი (15), ჰასლემი (10+5 მოხსნა), მილერი (9), ჰოვარდი (6), ენტონი (2), ბიბი (2), ჰაუსი.

სერია: 3-2

ნოვიცკის დანკი

სტერნი: შორს ვართ შეთანხმებისგან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** კიდევ ერთხელ უამბო ჟურნალისტებს იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომელიც კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის არსებობს. ეს წინააღმდეგობა ხელს უშლის ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას, ამას კი შეიძლება NBA-ში ლოკაუტი მოჰყვეს.

ამ კვირას დაპირისპირებულმა მხარეებმა რამდენიმე შეხვედრა გამართეს, კიდევ ორი რაუნდი მომავალ კვირას - სამშაბათსა და პარასკევს არის დანიშნული. თუმცა სტერნის სიტყვებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულების პერსპექტივა კვლავაც ბუნდოვანია, ხოლო ლოკაუტი სულ უფრო რეალური ჩანს.

„მფლობელებიც და მოთამაშეებიც ერთმანეთს ახალ-ახალ წინადადებებს სთავაზობენ, მაგრამ ეს შეთანხმებას ხელს არ უწყობს, - განაცხადა სტერნმა. - *ამ მომენტისთვის გარკვეული არაფერია. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ 30 ივნისამდე შეთანხმება არ შედგება, მაგრამ მოვლენათა ამგვარი განვითარება ყველაზე რეალური ჩანს. იმედია, მხარეები გააცნობიერებენ შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს და უფრო ეფექტურად წარმართავენ მუშაობას“.*

სტერნის კომენტარი რვა-ნახევარი წუთი გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში NBA-ის კომისარმა ფრაზა - *„შორს ვარ შეთანხმებისგან“* - ხუთჯერ გამოიყენა

● მძლეოსნობა

ბოლტს გრძელი სპრინტი უაღვილდება

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ბრილიანტის ლიგის მორიგი ეტაპი გაიმართა და მძლეოსნობის მოყვარულებს კვლავ მიეცათ სარბენ ბილიკზე მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის **უსაინ ბოლტის** ხილვის საშუალება. ოღონდ ამჯერად იამაიკელმა „გრძელ სპრინტში“ გამოსვლა გადაწყვიტა და გაცილებით მაღალი შედეგი დააფიქსირა, ვიდრე 100 მეტრზე გარბენებისას ჰქონდა.

ბოლტის დრო იყო 19,86 წამი, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია. უსაინმა მინიმუმ ხუთი მეტრით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი და ერთადერთი იყო ფინალის რვა მონაწილიდან, ვინც დისტანცია 20 წამზე ნაკლებ დროში დაფარა.

200 მ

1. **უსაინ ბოლტი (იამ) - 19,86**
2. **უეისუმა ნდურე (ნორ) - 20,43**
3. **მარიო ფორსაიტი (იამ) - 20,49**

■ ■ ■

წლევანდელ სეზონში ბოლტის მთავარი მეტოქე ამერიკელი **ტაისონ გაი** იქნება, რომელიც ჯერჯერობით 100 მეტრზე სეზონის საუკეთესო დროის მფლობელია. თუმცა ამერიკელისა და იამაიკელის დაპირისპირება მხოლოდ „მოკლე სპრინტში“ შედგება, რადგან ტაისონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წელს არ აპირებს 200 მეტრზე სირბილს. გაიმ ეს არასაკმარისი ფიზიკური ფორმით ახსნა.

„თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ 200 მეტრს არ გავირბენ. წელს ბარძაყის არეში ტკივილების გამო ბევრი ვარჯიში გამოვტოვე, თუმცა 100 მეტრზე შემიძლია სერიოზული კონკურენცია გავუწიო ბოლტს“, - ამბობს გაი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ „მოკლე სპრინტი“ 9,79-ში გაირბინა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა